სს BB ლიზინგი

2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტით
მომზადებული ფინანსური
ანგარიშები და
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

სს BB ლიზინგი

სარჩევი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 7
კაპიტალის ცვლილების ანგარიში 8

ფინანსური ანგარიშების განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია 13
2. აღრიცხვის საფუძველი 14
3. კრიტიკული საღრიცხვო მსჯელობა და წინასწარი შეფასების გაურკვევლობის მთავარი წყაროები14
4. ინფორმაცია მთავარი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ 15
5. ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა 26
6. ახალი ბუღალტრული განცხადებები 28
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 32
8. ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები 33
9. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები 42
10. ავანსები 42
11. საგადასახადო ვალდებულებები 42
12. სხვა აქტივები 44
13. ნასესხები სახსრები 44
14. ვაჭრობა და სხვა გადასახდელები 46
15. სააქციო კაპიტალი 46
16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 47
17. რისკების მართვა 48
18. პირობითი ვალდებულებები 60
19. სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებები 60
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეთა შორის 62
21. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 63

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება

სს BB ლიზინგის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სს BB ლიზინგის ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს BB ლიზინგის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

> სს BB ლიზინგის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სს BB ლიზინგის ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს BB ლიზინგის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შედარებადი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც IFRS სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ საქმიანობაზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასება.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შექმნა და განხორციელება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისი იმისთვის, რომ აჩვენოს და ახსნას კომპანიის ტრანზაქციები და გონივრული სიზუსტით ნებისმიერ დროს გაამჟღავნოს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და რომელიც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს, რომ ფინანსური ანგარიშები შეესაბამება IFRS-ს.

- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების დასაცავად ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც მას გონივრულად აქვს ხელმისაწვდომი; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის მენეჯმენტის საბჭოს მიერ 2024 წლის 22 ოქტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

_____	_____
კონსტანტინე სულამანიძე	ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
თბილისი	თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს BB ლიზინგის აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

აუდიტი ჩაუტარდა სს BB ლიზინგის („კომპანია“)ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRSs”) მიხედვით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან. ჩვენ ასევე შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური მოვალეობები. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი საკითხი

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებას, რომელიც აღწერს შესაბამისი მაჩვენებლების ხელახალ ჩამოყალიბებას და რეკლასიფიკაციას. ჩვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით შეცვლილი არ არის.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაციაში შედის მმართველობითი ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაგრამ არ შედის ფინანსური ანგარიშები და მათ შესახებ აუდიტის დასკვნა. მენეჯმენტის ანგარიში სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ფინანსური ანგარიშების ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტს, ჩვენი პასუხისმგებლობაა სხვა ინფორმაციის გაცნობა და ამ დროს იმაზე დაფიქრება, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშებთან ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან ან ხომ არ არის სხვაგვარად არსებითად არასწორად განცხადებული. თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოდან გამომდინარე დავასკვნით, რომ ადგილი აქვს ამ ან სხვა ინფორმაციის არსებითად არასწორად განცხადებას, ჩვენი მოვალეობაა ამ ფაქტის შესახებ განვაცხადოთ.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ის ასევე პასუხისმგებელია ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშებში მთლიანობაში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან

ტყუილი შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.

- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება. თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს მმართველობის ანგარიში კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და გაწეული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის დროს მიღებულ ჩვენს ცოდნას; და

მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის რეგულაციებს.

ჯამალ ჰასანოვი
შპს „დელოიტ და ტუშის“ სახელით

_____

2024 წლის 22 ოქტემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმარტება	31 დეკ, 2023	31 December, 2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	4,110	3,072
ფინ ლიზინგიდან მისაღ შემოსავლები	8	26,247	17,549
შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები	9	1,408	1,327
ავანსები	10	700	572
შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები		107	63
გამოყ უფლ მქონე აქტივები		9	17
სხვა აქტივები	12	279	282
მთლიანი აქტივები		**32,860**	**22,882**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13	10,505	7,245
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	14	301	219
სალიზინგო ვალდებულება		11	20
მიღებული ავანსები		10	15
დღგ ვალდებულება	11	87	23
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	11	115	219
მთლიანი ვალდებულებები		**11,029**	**7,741**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	15,000	11,000
გაუნაწილებელი მოგება		6,831	4,141
მთლიანი კაპიტალი		**21,831**	**15,141**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**32,860**	**22,882**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

_____ _____

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

სს BB ლიზინგი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	**განმ**	**2023**	**2022**
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		5,877	3,709
რეზერვი ლიზინგში წმინდა ინვესიციებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	8	(36)	(30)
წმინდა სალიზინგო სემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		**5,841**	3,679
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		337	466
სხვა შემოსავალი		205	142
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(3,007)	(1,972)
საპროცენტო ხარჯი		(743)	(308)
რეზერვი სხვა ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	7	57	8
მოგება დაბეგვრამდე		**2,690**	2,015
მოგების გადასახადი		-	(5)
წლის მოგება		**2,690**	**2,010**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	-
წლის სრული შემოსავალი სულ		**2,690**	**2,010**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

_____ _____

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალის ცვლილების ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	განმარტება	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარს		**11,000**	**2,131**	**13,131**
წლის სრული შემოსავალი სულ		-	2,010	2,010
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს		**11,000**	**4,141**	**15,141**
წლის სრული შემოსავალი სულ		-`	2,690	2,690
სააქციო კაპიტალის გამოშვება	15	4,000	-	4,000
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს		**15,000**	**6,831**	**21,831**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

_____ _____

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

სს BB ლიზინგი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	**განმ**	**2023**	**2022**
ფულ სახსრები საოპ საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,690	2,015
არაფულადი კორექტირებები:			
- რეზერვი ფინ ლიზ მისაღ შემოს-დან მოსალ საკრედ	8	36	30
- რეზერვის ამობრუნება სხვა ფინ აქტ-დან მოსალ საკრედ ზარალისთვის	7	(57)	(8)
- არაფინანსური აქტივების გაუფასურება		361	-
- ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		26	24
- დანაკარგები ლიზინგის მოდიფიკაც და შეწყ		-	1
- უცხ ვალ (მოგება)/ზარალი		18	(49)
- ბანკებში რიცხ დეპოზ-დან მისაღ შემოს წმ ცვლ		-	105
- საპროც გადასახდ წმინდა ცვლილება		48	15
საოპ ფულ სახს მოძრ სამუშ კაპიტალში ცვლილებებამდე		**3,122**	**2,133**
ცვლილებები საოპ აქტივებსა და ვალდებულებებში			
ცვლილება ფინანსური ლიზინგიდან მისაღებ შემოსავლებში	8	(8,660)	(9,682)
ცვლილება შეწყვეტ ლიზ დასაკ აქტივებში	9	(423)	(395)
ცვლილება ავანსებში	10	(128)	273
ცვლილება სხვა აქტივებში	12	(18)	(268)
ცვლილება ვაჭრობასა და სხვა გადასახდელებში	14	84	34
ცვლილება საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში	11	(41)	501
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		(4)	(1)
ოპერაციებიდან მიღებული ფული		**(6,068)**	**(7,405)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(5)
წმინდა ფულის გადინება საოპ საქმიანობიდან		**(6,068)**	**(7,410)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმ			
PPE და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(61)	(10)
ბანკებში განთავსებული დეპოზიტების გამოთხოვა		-	3,200
წმინდა ფული (გადინება)/შემოდინება საინვ საქმ		(61)	3,190
ფულადი სახსრების მოძრაობა დაფინანს საქმ			
სააქციო კაპიტალის გამოშვება		4,000	-
ნასესხები სახსრებიდან მიღებული თანხები	13	12,159	14,611
ნასესხები სახსრების ძირითადი თანხ დაფარვები	13	(9,014)	(8,968)
სალიზ ვალდ ძირითადი თანხის დაფარვები		(9)	(8)
წმინდა ფულადი სახსრები დაფინანსების საქმიანობიდან		**7,136**	**5,635**
უცხ ვალუტის კურსის ცვლილებების ეფექტი		(28)	(30)
მოსალ საკრედიტო დანაკარგების ცვლილებების ეფექტი		59	(25)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,038	1,360
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	3,072	1,712
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	4,110	3,072

არაფულადი ცვლილებები რომელიც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში არაა შეტანილი:

ათასი ლარი	**2023**	**2022**
ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები რომლებიც განეტოვებულია შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივებით	2,645	1,428

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი

თბილისი	თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და ოპერაციები. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, სს BB ლიზინგისათვის ("კომპანია").

კომპანია „BB ლიზინგი" დაარსდა 2017 წლის 27 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანოა საქართველოს შემოსავლების სამსახური. საიდენტიფიკაციო კოდი 406233534. კომპანია სააქციო საზოგადოებაა და საქართველოს რეგულაციების მიხედვით დაფუძნდა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო სს ბაზისბანკი, რომელიც საქართველოში დაარსდა და საბანკო ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან („სებ") 1993 წელს მიიღო. სს ბაზისბანკი სამ მთავარ შვილობილ კომპანიას ფლობს: სს BB ლიზინგს, სს BB დაზღვევას (წარსულში „ჰუალინგ დაზღვევა"), და Basis Asset Management Holding LLC-ს, თითოეულში ის 100% წილის მფლობელია, ერთად კი „ჯგუფად" მოიხსენიება.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო აქციონერები იყვნენ Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd, რომელიც დაფუძნებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (2023: 91.548%; 2022: 92.770%), ბატონი მი ზაიქი: 2023: 6.461; 2022: 6,547%) და სხვა მცირე წილის მფლობელი აქციონერები (2023: 1,991%; 2022: 0,682%). მშობელ კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს ბატონი მი ენხვა (ჩინეთი).

მთავარი საქმიანობა. კომპანია დაარსდა სალიზინგო საქმიანობის წარმოებისთვის როგორც საცალო, ისე საქართველოს სამეწარმეო პირებისთვის. 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის სააქციო კაპიტალი 15,000 ათასი ლარი იყო (2022: 11,000 ათასი ლარი). კომპანია კლიენტებს ფინანსური ლიზინგის შემდეგ პროდუქტებს სთავაზობს:

- ავტოლიზინგი
- ძირითადი საშუალებების ლიზინგი (მოწყობილობა, ტექნიკა და ა.შ.)
- შეღავათიანი აგროლიზინგი (APMA)
- ლიზინგი „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში
- უკულიზინგი

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1.

საქართველოს ბიზნესგარემო. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, განვითარებად ბაზარზე დინამიური და განვითარებადი ლანდშაფტით. ქვეყანაში არსებული სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემები ხშირად განახლდება და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც ბიზნესისთვის წარმოადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად გამოწვეული გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ მოულოდნელი გამძლეობა აჩვენა და მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. რეალური მშპ გაიზარდა 11.0%-ით, რასაც მხარს კაპიტალის ძლიერი შემოდინება და შიდა მოთხოვნის მატება უჭერდა. 2023 წლისთვის, ზრდის ტემპი ზომიერი გახდა, მაგრამ მყარი დარჩა, საშუალოდ 7,5%-ი, რაც გლობალური სასაქონლო ფასების ცვალებადობის გავლენამ გამოიწვია, და გავლენა მოახდინა სავაჭრო საქმიანობაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე და იმპორტზე. მიუხედავად ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მდგრადი იყო და ისეთი სექტორები, როგორიცაა ტურიზმი და ფულადი გზავნილები, კვლავ კარგად მუშაობდა, მაშინაც კი, როცა ადგილი ჰქონდა ისეთ დროებით გავლენას, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებული მიგრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ძალას ეკონომიკური შემოდინების ფართო სპექტრიდან იძენს, ის მაინც მგრძნობიარეა რეგიონულ და გლობალურ გარემოში ცვლილებების მიმართ. გეოპოლიტიკურ დაძაბულობას, განსაკუთრებით მას, რომელიც რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს უკავშირდება, შეიძლება ხანგრძლივი გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. გარდა ამისა, რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ კონფლიქტის რეგიონებში სამხედრო

აქტივობის განახლების რისკმა, ისევე როგორც გეოპოლიტიკურმა ძვრებმა სხვა რეგიონებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ვალუტის ცვალებადობის, ნავთობის ფასების ზრდისა და მიგრაციის მოდელების შესაძლო ცვლილებების ფონზე.

მიგრაციამ მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოს 2023 წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუმცა, სიტუაციის შებრუნებამ ან მნიშვნელოვანმა გადინებამ შეიძლება შეასუსტოს ეკონომიკური იმპულსი და ბიზნესს გამოწვევები შეუქმნას. ამის საპირისპიროდ, კონფლიქტების მშვიდობიანმა მოგვარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკის აღდგენას, რაც გამოიწვევს ზრდას როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში, რაც დადებითად იმოქმედებს საქართველოზე. თუმცა, ეს სცენარები უფრო ფართო გლობალურ მოვლენებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკამ ბოლო პერიოდის გლობალური გამოწვევების წინაშე ადაპტაციის უნარი აჩვენა, შემდგომი გარე შოკების, მათ შორის გეოპოლიტიკური მოვლენების, მიწოდების ჯაჭვის შეფერხების ან ჯანმრთელობის პოტენციური კრიზისების შესაძლებლობა მაინც რჩება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბიზნეს კლიმატზე და კომპანიის ოპერაციებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) განსაზღვრისას კომპანია ეყრდნობა მაკროეკონომიკური პირობების კარგად მხარდაჭერილ პროგნოზებს. თუმცა, როგორც ნებისმიერი მომავალი პროგნოზის შემთხვევაში, ეს შეფასებები ექვემდებარება დამახასიათებელ გაურკვევლობას და ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

2. აღრიცხვის საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) მიხედვით, და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია განმარტებაში 4.

ფუნქციონირებადი საწარმო. ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროს, მენეჯმენტს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ კომპანიას ადეკვატური რესურსები აქვს საიმისოდ, რომ ფუნქციონირება გააგრძელოს უახლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და პროგნოზირებად მომავალში მუშაობას გააგრძელებს.

ფუნქციური და სპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი(“GEL”), რომელიც კომპანიის ფუნქციური ვალუტაა, ასევე არის ის ვალუტა, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო მსჯელობა და წინასწარი შეფასების გაურკვევლობის მთავარი წყაროები

ფინანსური ანგარიშების IFRS-ის მიხედვით მომზადება მენეჯმენტისგან მსჯელობას, წინასწარი შეფასებების და დაშვებების გაკეთებას მოითხოვს, რაც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის და ხარჯების განცხადებულ ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ წინასწარი შეფასებებისგან.

წინასწარი შეფასებები და საფუძვლად გამოყენებული დაშვებები მუდმივად განიხილება. სააღრიცხვო წინასწარი შეფასებების გადასინჯვა აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც ეს შეფასებები გადაისინჯა და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებზეც გავლენა მოახდინა.

განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

ECL გაანგარიშება. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება 17-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. კომპანია რეგულარულად გადასინჯავს და ამტკიცებს მოდელებს და მათში გამოყენებულ კომპონენტებს, რათა შეამციროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებსა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის განსხვავება.

თუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ყველა ფინანსური ლიზინგიდან მისაღებ შემოსავალზე შეფასდება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ით (ანუ მათ შორის, რომლებიც ამჟამად 1 ეტაპზეა, 12-თვიანი ECL-ით გაიზომება), მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი 86 ათასი ლარით უფრო მაღალი იქნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2022 წელი: 183 ათასი ლარით მეტი).

საპროგნოზო მაკროეკონომიკურ დაშვებათა რიგის მინიჭებული წონის 10%-ით ცვლილება უშუალო დაღმავალი მიმართულებით გამოიწვევს ECL-ის ზრდას 3 ათასი ლარით 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წლის 31 დეკემბერი: 4 ათასი ლარით). შესაბამისი ცვლილება აღმავალი დაშვებებისკენ გამოიწვევს ECL-ის შემცირებას 3 ათასი ლარით 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წელი: 4 ათასი ლარით).

PD-ის შეფასებების 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვების ზრდას ან შემცირებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 20 ათასი ლარით (2022 წლის 31 დეკემბერი: 15 ათასი ლარი).

LGD-ის შეფასებების 10%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვების ზრდას ან შემცირებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 23 ათასი ლარით (2022 წლის 31 დეკემბერი: 19 ათასი ლარი).

4. ინფორმაცია მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით

შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში.

ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ კომპანია: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად;

(ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm’s length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. განმარტება 19.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი,

მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AC-ს მიხედვით.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) კომპანიის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (11) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს კომპანიას აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით"), ან (11) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები ("აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (11) მოდელი არ არის გამოყენებული, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) და ეფუძნება ყველა არსებულ შესაბამის მტკიცებულებას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების დღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორების, როგორებიცაა პორტფელის მიზნობრიობა და კომპოზიცია, წარსულის გამოცდილება, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, კომპანია აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, კომპანია ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას კომპანია იყენებს კრიტიკულ მსჯელობას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისათვის (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) კომპანია წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FFVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს კრედიტების დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანაგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

კომპანია გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ კომპანია თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის,

გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL“). იმისთვის, თუ როგორ ადგენს კომპანია, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება 17. თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის კომპანიისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში 17. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, (“POCI აქტივები”), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება 17 გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს კომპანიას საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. კომპანია ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს.

ბიზნესმოდელის შეფასება. ბიზნესმოდელი წარმართავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნედმოდელის შეფასებისას მენეჯმენტმა იმსჯელა ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა და პორტფელის განსაზღვრის შესახებ. გაყიდვების გარიგების შეფასებისას კომპანია განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო საქმიანობის შესახებ. გაყიდვების გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის შემცირებას კრედიტის გაუარესების გამო, „ამოღების მიზნით ფლობის" ბიზნესმოდელის შესაბამისად მიიჩნევა. ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკების მართვის საქმიანობასთან, ასევე შეესაბამება ბიზნესმოდელს „ამოღების მიზნით ფლობა“, იმ პირობით, რომ ისინი არაა ხშირი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ცალკე, ისე აგრეგირებულად.

კომპანია გაყიდვების ტრანზაქციების მნიშვნელობას ამგვარად აღგენს: გაყიდვების ღირებულებას ადარებს პორტფელის ღირებულებას, ამ დროს გააჩნია, როგორია ბიზნესმოდელის შეფასება პორტფელის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესის სცენარში, ან ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც კომპანიის კონტროლის მიღმაა, არაა განმეორებადი და არ შეიძლება კომპანიას მისი მოლოდინი ჰქონოდა, განიხილება, როგორც შემთხვევითი და ბიზნესმოდელის ამოცანას აცდენილი და არ იმოქმედებს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნესმოდელი „ამოღების და გაყიდვის მიზნით ფლობა“ ნიშნავს, რომ აქტივების ფლობის მიზანია ფულადი ნაკადების ამოღება, მაგრამ გაყიდვაც ასევე ბიზნესისმოდელის მიზნის ნაწილია, მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროებების მართვა, კონკრეტული ამონაგების მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთანხმება იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან, რომლებიც აფინანსებს ამ აქტივებს.

ნარჩენ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივების ის პორტფელები, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაციის მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, სადაც არსებობს ვაჭრობის მაგალითი. საკონტრაქტო ფულადი ნაკადის ამოღება ამ ბიზნესმოდელისთვის ხშირად შემთხვევითობის საფუძველზე ხდება.

იმის განსაზღვრა, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). იმის დადგენა, ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადი არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა, მსჯელობას მოითხოვს.

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება არ ემთხვევა სავალო ინსტურმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთში ჩადებულ შინაარსს, მაგალითად, სესხი იხდის სამთვიან ბანკთაშორის განაკვეთს, მაგრამ პროცენტი იცვლება ყოველ თვეში. ფულის შეცვლილი დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტთან შედარების საშუალებით, რომელსაც SPPI ფულადი ნაკადები აქვს, როგორც თითოეული პერიოდისთვის, ისე კუმულაციურად, ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. შეფასება ჩატარდა ყველა გონივრულად შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის გონივრულად შესაძლებელი ფინანსური სტრესის სიტუაციისთვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ ბაზრებზე. კომპანიამ გამოიყენა 10%-იანი ბარიერი იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა საორიენტაციო ინსტრუმენტებს დაპირისპირებული განსხვავებები. ფულადი ნაკადების მქონე სცენარის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საორიენტაციო მაჩვენებლისაგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტის აღრიცხვა ხდება FVTPL- ით.

კომპანიამ დაადგინა და გაითვალისწინა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან რაოდენობას. SPPI-ის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ადრეული ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, გარდა ამისა, გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას გამოკლებული შემდგომი ძირითადი დაფარვები, ანუ გადახდები პროცენტის გარდა, რომელიც განისაზღვრება ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით სტანდარტი ასევე ფარავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ წინასწარი გადახდის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ის შესასრულებლად შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება პრემიით ან დისკონტით, (ii) წინასწარი გადახდის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო პარიტეტულ თანხასა და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის, და (ii) წინასწარი გადახდის მახასიათებლის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყის აღიარებაში.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს SPPI ტესტი, აღირიცხება FVTPL-ით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ. კომპანია აფასებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია მნიშვნელოვანია თუ არა, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან მოგება საკუთარ კაპიტალზე), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ორი ან მეტი ფინანსური აქტივის აგრეგირება ერთ ფინანსურ აქტივად ან ფინანსური აქტივების სხვა ტიპის კონსოლიდაცია, ფინანსური აქტივები, რომელსაც არ აქვს წინასწარგანსაზღვრული ფულადი ნაკადები, ერთმანეთს ჩაანაცვლებს გრაფიკით ან პირიქით, როცა ფულად ნაკადებზე უფლებები თავდაპირველ კონტრაგენტებს შორის ამოიწურება იმის გამო, რომ

თავდაპირველ დებიტორს ჩაანაცვლებს ახალი (თუ ორივე დებიტორი საერთო კონტროლის ქვეშ არაა), ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკთან, ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როცა მსესხებელი არ არის ფინანსური სიძნელეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, კომპანია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, კომპანია თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. კომპანია ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

კომპანიასა და კომპანიის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება. თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი

ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

ჩამოწერის პოლიტიკა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. მოსაზრებების ჩამოყალიბება ესაჭიროება იმ ფულადი ნაკადების მოძრაობის დადგენას, რისთვისაც ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს.

ფინანსური ლიზინგი და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივების გადატანების და არაფინანსური აქტივების მესამე მხარეზე იჯარით გაცემის კლასიფიკაციის შეფასებისას, მენეჯმენტი მსჯელობს, რათა დაადგინოს, ხდება თუ არა მხარეებზე ფინანსური აქტივების და იჯარით გაცემული აქტივების ფლობის მნიშვნელოვანი რისკების და სარგებლის გადაცემა, კერძოდ, რომელი რისკი და სარგებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რას წარმოადგენს არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის მუხლებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები“ როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება, რადგან: 1) ისინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ინკასაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როცა კომპანია არის მეიჯარე ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მოიჯარეზე გადაცემას, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც ფინანსური ლიზინგის აქტივები და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური ლიზინგის აქტივები თავიდან წარმოშობისას განსაზღვრული სადისკონტო განაკვეთით (ლიზინგის ხელშეკრულების თარიღსა და სალიზინგო ხელშეკრულების მთავარ დებულებებზე მხარეთა თანხმობის თარიღს შორის უადრესი).

ბრუტო მისაღებ შემოსავალსა და მიმდინარე ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის განმავლობაში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე). ის ასახავს უკუგების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს. ლიზინგის მოლაპარაკებასთან და მოწყობასთან უშუალოდ დაკავშირებული დანამატი ხარჯები ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლის თავდაპირველ გაანგარიშებაშია შეტანილი და ამცირებს ლიზინგის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის თანხას. ლიზინგიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ჩაიწერება ცალკე მწკრივად.

ECL იმგვარადვე განისაზღვრება, როგორც AC-ით გაანგარიშებული სესხების და ავანსებისთვის და აღიარდება სარეზერვო ანგარიშის საშუალებით; ნაწილობრივ ჩამოიწერება მისაღები შემოსავლების წმინდა საბალანსო თანხა შეფარდებული მოსალოდნელი ფულადი ნაკარების მიმდინარე ღირებულებასთან და დისკონტირებული ფინანსური ლიზინგის თანმხლები საპროცენტო განაკვეთებით.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ლიზინგს დაქვემდებარებული აქტივების შეძენას ან გაყიდვას.

შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ის არაფინანსური აქტივებია, რომელთაც კომპანია იძენს ვადაგადაცილებული ფინანსური ლიზინგის ანგარიშსწორების შედეგად. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ანგარიშდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით, რომელსაც აკლდება გასაყიდი ხარჯები. კომპანია რეგულარულად ასრულებს შიდა შეფასებებს, რათა დარწმუნდეს, რომ საბალანსო ღირებულება არ აღემატება სამართლიან ღირებულებას გამოკლებულ გასაყიდ ხარჯებს. გადაფასება საბაზრო ფასების შესახებ არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

წინასწარი გადახდა. წინასწარი გადახდები, ძირითადად, მოიცავს ავანსებს, რომლებიც გადახდილია გასაყიდი ან ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის. წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. თუ წინასწარი გადახდის ანაზღაურებადი თანხა ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებადი ღირებულებამდე. სხვაობა, რომელიც არის გაუფასურების ზარალი, აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში იმ წლისთვის, რომელშიც ის წარმოიშობა. წინასწარი გადახდების გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები მოიცავს სესხებს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გაყიდვებთან დაკავშირებულ output დამატებული ღირებულების გადასახადს იხდიან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ: (ა) კლიენტისგან მისაღები შემოსავლის მიღებისას ან (ბ) კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს. input დღგ, როგორც წესი, ანაზღაურდება output დღგ-თი დღგ-ს ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ის წმინდად ანგარიშსწორებას. დამატებული ღირებულების გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია იჯარის წინასწარ გადახდასთან, აღირიცხება კლიენტებისგან მიღებული ავანსების სახით, შესაბამისი დღგ-ის თანხები გადაირიცხება ლიზინგის დაწყების თარიღისთვის გადასახდელ დღგ-ში.

მოგების გადასახადები. ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა სხვა ბიზნესერთეულების მიერ გამომუშავებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საქართველოში არ იბეგრება. კორპორაციული მოგების გადასახადი, გადახდილი დივიდენდებზე, იბეგრება მოგებაზე, რომელიც დივიდენდების სახითაა განაწილებული აქციონერებზე, რომლებიც არიან კერძო პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოშობილი კორპორაციული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდისთვის, როცა ხდება დივიდენდების დეკლარირება, მიუხედავად გადახდის უშუალო თარიღისა ან პერიოდისა, რომელშიც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ გარემოებებში, მოგების გადასახადის გადასახდელი ხარჯიდან კეთდება გაქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება, რომელიც შესაბამის განაწილებასთანაა დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნესერთეულებს არ წარმოეშობა გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე

დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული გადასახადის შეჩერება აღიარდება, როგორც გაქვითვა კაპიტალიდან, კაპიტალის ცვლილების ანგარიშში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს კორპორაციულ მოგების გადასახადს გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად მიიჩნევა (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით ტრანზაქციები, არა ბიზნესთან დაკავშირებული ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უფასოდ მიწოდება). ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და შემოსავლის უწყისში განცხადდება, როგორც მოგების გადასახადი (ხარჯი)/ბენეფიტი.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. კომპანიის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები გადაანგარიშდება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში ტრანზაქციის თარიღის დროს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება ფუნქციურ ვალუტაში იმ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი არის განსხვავება პერიოდის დასაწყისში ფუნქციური ვალუტის ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და გადახდებით ამ პერიოდის განმავლობაში, და ამორტიზებული ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, რომელიც გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, გადაანგარიშდება ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის განსხვავებები, რომლებიც გადაანგარიშებისას წარმოიშობა, აღიარდება მოგება-ზარალში.

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და დაკავშირებული დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობით დგინდება ამ ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა მინიჭებული, როცა ამგვარი ტრანზაქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განსჯის საფუძველი დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე ფასის დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. განმარტება 20 განიხილავს დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების პირობებს.

5. ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა

მიმდინარე წელს კომპანიამ დანერგა IFRS სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოცემული ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოს მიერ და რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის. მათ დანერგვას ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ გამჟღავნებებზე ან მასში ასახულ თანხებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია.

IFRS 17 დაზღვევის კონტრაქტები (IFRS 17-ში 2020 წლის ივნისისა და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებების ჩათვლით)	IFRS 17 ადგენს სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ანაცვლებს IFRS 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. IFRS 17 ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც მოდიფიცირებულია სადაზღვევო კონტრაქტებისთვის პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, რაც აღწერილია, როგორც ცვლადი გადასახადის მიდგომა. ზოგადი მოდელი გამარტივებულია, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია დარჩენილი დაფარვის ვალდებულების გაზომვის გზით, პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. ზოგადი მოდელი იყენებს მიმდინარე დაშვებებს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესაფასებლად და ის ცალსახად ზომავს გაურკვევლობის ხარჯებს. იგი ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და დაზღვეულის ოფციონებისა და გარანტიების გავლენას. კომპანიას არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას IFRS 17-ის მიხედვით.
ცვლილებები IAS 1-ში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და IFRS პრაქტიკის განცხადება 2 მატერიალურობის მსჯელობა - სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება	კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს დანერგა IAS 1-ის ცვლილებები. ეს ცვლილებები ეხება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ცვლილებების თანახმად, ტერმინი "მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა" ჩანაცვლდა ტერმინით "არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია". სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განხილვისას, გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. IAS 1-ის დამხმარე პუნქტებიც შეიცვალა იმის დასაზუსტებლად, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც არაარსებით ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს ეხება, არაარსებითია და მისი განმარტება საჭირო არ არის. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება არსებითი იყოს შესაბამისი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ხასიათის გამო, მაშინაც კი, როდესაც თანხები არაარსებითია. თუმცა, არსებით ოპერაციებთან, სხვა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული ყველა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია თავისთავად არ არის არსებითი. IASB-მ ასევე შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები IFRS პრაქტიკის მე-2 განცხადებაში აღწერილი "არსებითობის ოთხსაფეხურიანი პროცესის" გამოყენების ასახსნელად და საილუსტრაციოდ.
ცვლილებები IAS 12-ში მოგების გადასახადები — აქტივებთან და ერთი ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილ	IAS 12-ში შესწორებებს შემოაქვს კიდევ ერთი გამონაკლისი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისიდან. ცვლილებების მიხედვით, ბიზნესერთეული არ იყენებს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვას დაქვემდებარებულ დროებით სხვაობებს. მოქმედი საგადასახადო

ფინანსური ანგარიშების განმარტებები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	კანონმდებლობიდან გამომდინარე, თანაბარი დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები შეიძლება წარმოიშვას გარიგებაში აქტივისა და ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის ბიზნეს გაერთიანება და არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. IAS 12-ში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ბიზნესერთეულმა უნდა აღიაროს დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, ხოლო ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ექვემდებარება IAS 12-ის ანაზღაურების კრიტერიუმებს. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
ცვლილებები IAS 12-ში მოგების გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ ორის მოდელის წესები	IASB ცვლის IAS 12-ის მოქმედების სფეროს, რათა განმარტოს, რომ სტანდარტი გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული მოგების გადასახადების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებულია OECD-ის მიერ გამოქვეყნებული პილარ ორის მოდელის წესების განსახორციელებლად, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, რომელიც ახორციელებს იმ წესებში აღწერილ კვალიფიციურ შიდა მინიმალურ დამატებით გადასახადებს. ცვლილებები ახორციელებს დროებით გამონაკლისს IAS 12-ის გადავადებული გადასახადების აღრიცხვის მოთხოვნებიდან, ასე რომ, საწარმო არ აღიარებს და არ გაამჟღავნებს ინფორმაციას პილარ ორის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ცვლილებების შემდეგ, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, რომ გამოიყენა გამონაკლისი და ცალ-ცალკე გაამჟღავნოს თავისი მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავლები), რომელიც დაკავშირებულია პილარ ორის მოგების გადასახადებთან. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
ცვლილებები IAS 8-ში სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრულ აღრიცხვაში შეფასებები და შეცდომები - ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებების განმარტება	კომპანიამ IAS 8-ში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს მიიღო. ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტებას ცვლის სააღრიცხვო შეფასებების განმარტებით. ახალი განმარტებით, სააღრიცხვო შეფასებები არის „ფულადი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც ექვემდებარება გაზომვის გაურკვევლობას“. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტება წაიშალა.

6. ახალი ბუღალტრული განცხადებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონდა გამოყენებული შემდეგი ახალი და გადამუშავებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა:

ცვლილებები IFRS 10-სა და IAS 28-ში	აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის
ცვლილებები IAS 1-ში	ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად
ცვლილებები IAS 1-ში	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
ცვლილებები IAS 7-სა და IFRS 7-ში	მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები
ცვლილებები IFRS 16-ში	სალიზინგო ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებში

მენეჯმენტი არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღებას რამე მატერიალური გავლენა ექნება კომპანიის სამომავლო პერიოდის ფინანსურ ანგარიშებზე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

ცვლილებები IFRS 10 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და IAS 28 "ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" - აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის

IFRS 10-ისა და IAS 28-ის ცვლილებები ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც ხდება აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. კერძოდ, ცვლილებები ადგენს, რომ შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ისეთი შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვის შედეგად, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან განხორციელებულ ოპერაციაში (რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით), აღიარდება მშობელი საწარმოს მოგებაში ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორების წილის ფარგლებში ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ანალოგიურად, შემოსულობა და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო და აღირიცხება წილობრივი მეთოდით) შენარჩუნებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით გადაფასებიდან, აღიარდება ყოფილი მშობელი საწარმოს მოგებაში ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორების წილის ფარგლებში ახალ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია IASB-ს; თუმცა, დასაშვებია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, თუ ასეთი ოპერაციები განხორციელდება.

ცვლილებები IAS 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად

2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული IAS 1-ის ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად წარდგენაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არა რაიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის

აღიარების თანხაზე ან დროზე, ან ამ მუხლების შესახებ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად ეფუძნება უფლებებს, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, განსაზღვრავს, რომ კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს მოლოდინები იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას ვალდებულების დაფარვის გადავადებაზე, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს თუ კოვენანტები დაცულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და შემოაქვს "დაფარვის" განმარტება იმის გასარკვევად, რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაგენტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას.

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება. IASB-მა შეუთანხმა ძალაში შესვლის თარიღი IAS 1-ის 2022 წლის ცვლილებებს. თუ საწარმო 2020 წლის ცვლილებებს ადრეული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ასევე უნდა გამოიყენოს 2022 წლის ცვლილებებიც ვადაზე ადრე.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

ცვლილებები IAS 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ცვლილებები განსაზღვრავს, რომ მხოლოდ იმ კოვენანტებს, რომელთა დაცვაც საწარმოს მოეთხოვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მანამდე, აქვთ გავლენა საწარმოს უფლებაზე გადაავადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვით (და შესაბამისად, უნდა იქნას გათვალისწინებული ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირების შეფასებისას). ასეთი კოვენანტები გავლენას ახდენენ უფლების არსებობაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მაშინაც კი, თუ კოვენანტების დაცვის შეფასება ხდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ (მაგ., კოვენანტი, რომელიც ეფუძნება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო თარიღისთვის, მაგრამ მისი დაცვის შეფასება ხდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ).

IASB ასევე განმარტავს, რომ ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებაზე საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვით გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, თუ საწარმოს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოეთხოვება კოვენანტის დაცვა. თუმცა, თუ საწარმოს უფლება ვალდებულების დაფარვის გადავადებაზე დამოკიდებულია საწარმოს მიერ კოვენანტების დაცვაზე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს გაიგონ ვალდებულებების საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში დასაფარად გადაქცევის რისკი. ეს მოიცავს ინფორმაციას კოვენანტების შესახებ (მათ შორის კოვენანტების ხასიათისა და როდის მოეთხოვება საწარმოს მათი დაცვა), დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ფაქტებსა და გარემოებებს, თუ ასეთი არსებობს, რომლებიც მიუთითებს, რომ საწარმოს შესაძლოა ჰქონდეს სირთულეები კოვენანტების დაცვასთან დაკავშირებით.

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ცვლილებებს იყენებს ადრეული პერიოდისთვის, მან ასევე უნდა გამოიყენოს 2020 წლის ცვლილებებიც ვადაზე ადრე.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

ცვლილებები IAS 7 "ფულადი ნაკადების ანგარიშგება" და IFRS 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" - მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები

ცვლილებები IAS 7-ს ამატებს განმარტებით მიზანს, რომლის თანახმადაც საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების შესახებ, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. ამასთან, IFRS 7 შეიცვალა მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების დამატებით, როგორც მაგალითი იმ მოთხოვნების ფარგლებში, რომლებიც ეხება საწარმოს ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებას.

ტერმინი "მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები" არ არის განსაზღვრული. ამის ნაცვლად, ცვლილებები აღწერს იმ შეთანხმების მახასიათებლებს, რომლისთვისაც საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის მიწოდება.

განმარტებითი მიზნის შესასრულებლად, საწარმოს მოეთხოვება თავისი მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებებისთვის აგრეგირებულად გაამჟღავნოს:

- შეთანხმებების პირობები
- საბალანსო ღირებულება და შესაბამისი მუხლები, წარდგენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეთანხმებების ნაწილია
- საბალანსო ღირებულება და შესაბამისი მუხლები, რომლისთვისაც მომწოდებლებს უკვე მიღებული აქვთ გადახდა დამფინანსებლებისგან
- გადახდის ვადების დიაპაზონები როგორც იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმების ნაწილია, ასევე შესადარისი სავაჭრო ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმების ნაწილი
- ინფორმაცია ლიკვიდობის რისკის შესახებ

ცვლილებები, რომლებიც შეიცავს სპეციფიკურ გარდამავალ შეღავათებს პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, როდესაც საწარმო იყენებს ცვლილებებს, გამოიყენება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებები IFRS 16 "იჯარა" - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებში

IFRS 16-ის ცვლილებები ამატებს შემდგომი შეფასების მოთხოვნებს გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს IFRS 15-ის მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვისთვის. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ განსაზღვროს "საიჯარო გადახდები" ან "შესწორებული საიჯარო გადახდები" ისე, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობა ან ზარალი, რომელიც უკავშირდება გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას, დაწყების თარიღის შემდეგ.

ცვლილებები გავლენას არ ახდენს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ შემოსულობაზე ან ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შესაძლოა აღიარებული ჰქონოდა შემოსულობა მის

მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდა საიჯარო ვალდებულების გადაფასება (მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის ვადის ცვლილების შემდეგ) IFRS 16-ის ზოგადი მოთხოვნების გამოყენებით. ეს განსაკუთრებით შესაძლებელი იქნებოდა უკულიზინგის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლილებების ფარგლებში, IASB-მ შეცვალა საილუსტრაციო მაგალითი IFRS 16-ში და დაამატა ახალი მაგალითი გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომი შეფასების საილუსტრაციოდ, ცვლადი საიჯარო გადახდებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები ასევე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციიდან, რომელიც კვალიფიცირდება როგორც გაყიდვა IFRS 15-ის გამოყენებით, არის საიჯარო ვალდებულება.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ გამყიდველი-მოიჯარე იყენებს ცვლილებებს ადრეული პერიოდისთვის, მას მოეთხოვება ამ ფაქტის განმარტება.

გამყიდველი-მოიჯარე იყენებს ცვლილებებს რეტროსპექტულად IAS 8-ის შესაბამისად გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებისთვის, რომლებიც განხორციელდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება როგორც წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, როდესაც საწარმომ პირველად გამოიყენა IFRS 16.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31 2022**
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო ინსტიტუტებთან	4,110	3,129
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	-	(57)
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ	**4,110**	**3,072**

ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები იყო:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31 2022**
BB+	1	-
BB	-	-
B+	4,054	-
B	-	3,058
რეიტინგის გარეშე	55	14
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ	**4,110**	**3,072**

ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების რეიტინგებზე დაყრდნობით. იხილეთ განმარტება 17 ან კომპანიის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკების ქულების სისტემა. თანხები წარმოდგენილია საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გარეშე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას განთავსება ჰქონდა ერთ კონტრაგენტ ბანკში (2022: ერთი ბანკი) და ფულის და ფულის ეკვივალენტების აგრეგირებული ნაშთი კაპიტალის 10% აღემატებოდა. ამ ნაშთების მთლიანი აგრეგირებული თანხა (საკრედიტო დანაკარგების რეზერვის ჩათვლით) 4,054 ათასი იყო (2022: 3,058 ათასი) ან ფულის და ფულის ეკვივალენტების 98.6% (2021: 99.6%).

ECL გაანგარიშების მიზნით ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთები 1 ეტაპს მიეკუთვნება. ECL გაანგარიშების მიდგომა იხილეთ განმარტებაში 17.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე.

განმარტებაში 20 მოცემულია ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ. დაკავშირებულ მხარესთან (სს ბაზისბანკი) მიმდინარე ანგარიშზე განთავსებები ყოველდღიური ოპერაციებისთვისაა და არ ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი. იხ. განმარტება 23.

8. ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსურ ლიზინგში წმინდა და ბრუტო ინვესტიციები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში	36,817	25,615
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(10,336)	(7,868)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე	26,481	**17,747**
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(234)	(198)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	26,247	**17,549**

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის კომპონენტები 2023 და 2022 წლის 31 მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
ფინანსური ლიზინგისგან მისაღები შემოსავლები		
წელი 1	15,288	9,833
წელი 2	10,576	7,528
წელი 3	7,054	4,344
წელი 4	3,204	2,706
წელი 5	695	1,199
მომდევნო	-	5
არადისკონტირებული სალიზინგო გადასახდელები	36,817	**25,615**
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(10,336)	(7,868)
მისაღები სალიზინგო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება	26,481	17,747
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(234)	(198)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	26,247	**17,549**
არადისკონტირებული სალიზინგო გადასახდელები, გაანალიზებული:		
12 თვის შემდეგ ამოსაღები	21,529	15,782
12 თვის მანძილზე ამოსაღები	15,288	9,833
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები, გაანალიზებული:		
12 თვის შემდეგ ამოსაღები	12,760	11,202
12 თვის მანძილზე ამოსაღები	13,487	6,347

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მსხვილი კლიენტები და მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ყოფილა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავარაუდო გირაო 49,250 ათასი ლარი იყო (2022 წლის 31 დეკემბერს: 30,468 ათასი). გირაოს ღირებულების წინასწარი შეფასება ეფუძნება გირაოს ღირებულებას, რომელიც ლიზინგის წარმოშობისას შეფასდა, და როგორც წესი, განახლებას არ განიცდის. ლიზინგით გაცემულ აქტივთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება და ქურდობა, უმეტეს შემთხვევაში დაზღვეულია.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
საწყისი ნაშთი	**17,549**	**8,538**
ლიზინგის ბრუტო ინვესტიციის ზრდა ახალი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების წარმოშობის გამო	14,619	17,446
ლიზინგიდან მიღებული დაფარვების გამო ბრუტო ინვესტიციების შემცირება	(3,417)	(4,275)
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის ცვლილება	(2,468)	(4,130)
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ცვლილება	(36)	(30)
საბოლოო ნაშთი	**26,247**	**17,549**

კომპანიის საფასო პოლიტიკა ბაზარზეა აგებული და 2023 და 2022 წლების საქართველოს ფინანსური ბაზრის ზოგად ტენდენციას ასახავს. ფინანსური ლიზინგის შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ცვლად დაფარვებს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში გაკეთებული წმინდა ინვესტიციების საშუალო შეწონილ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
ავტო	32%	33%
მანქანა-დანადგარები	26%	23%
სხვა აღჭურვილობა	27%	27%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ანალიზი სექტორების მიხედვით:

ათასი ლარი	**December 31, 2023**	**December 31, 2022**
მანქანა-დანადგარები	20,913	14,780
ავტო	15,452	10,462
სხვა აღჭურვილობა	452	373
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(10,336)	(7,868)
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(234)	(198)

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	**26,247**	**17,549**

ავტოლიზინგის პორტფელი გაცემულია საცალო კლიენტებზე, დანარჩენი ლიზინგი კი ბიზნესებსა და მცირე მეწარმეებზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში გაკეთებული ინვესტიციების საკრედიტო რისკის პოზიციის ანალიზს. ლიზინგში წმინდა ინვესტიციების საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე აჩვენებს კომპანიის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე		
- ეტაპი 1	19,771	13,966
- ეტაპი 2	6,573	3,422
- ეტაპი 3	137	359
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი:		
- ეტაპი 1	(139)	(103)
- ეტაპი 2	(61)	(51)
- ეტაპი 3	(34)	(44)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	**26,247**	**17,549**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში ინვესტიციის ვადიანობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	**1 წელზე ნაკლები**	**1-5 წელი**	**სულ**
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში			
- ეტაპი 1	11,150	16,934	28,084
- ეტაპი 2	4,137	4,459	8,596
- ეტაპი 3	0	137	137
გამოკლებული: გამოუმუშავებელი შემოსავალი ფინ ლიზ			
- ეტაპი 1	(1,246)	(7,067)	(8,313)
- ეტაპი 2	(373)	(1,650)	(2,023)
- ეტაპი 3	-	-	-
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე	**13,668**	**12,813**	**26,481**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში ინვესტიციის ვადიანობას 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	**1 წელზე ნაკლები**	**1-5 წელი**	**სულ**
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში			
- ეტაპი 1	7,251	13,794	21,045
- ეტაპი 2	2,271	1,877	4,148
- ეტაპი 3	310	112	422

ფინანსური ანგარიშების განმარტებები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

გამოკლებული: გამოუმუშავებელი შემოსავალი ფინ ლიზ			
- ეტაპი 1	(2,836)	(4,243)	(7,079)
- ეტაპი 2	(492)	(234)	(726)
- ეტაპი 3	(49)	(14)	(63)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე	**6,455**	**11,292**	**17,747**

ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციის ცვლილება და დაკავშირებული საკრედიტო ზარალის რეზერვი 2022 წელს ასეთი იყო:

	საკრედიტო დანაკარგის რეზერვი				ლიზ მისაღ შემოსავლები საკრედიტო დანაკარგის რეზერვამდე			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 რს.მთლ.პერ. ECL	ეტაპი 3 რს.მთლ.პერ. SICR-ის თვის)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL	ეტაპი 2 რს.მთლ.პერ. ECL	ეტაპი 3 რს.მთლ.პერ. SICR-ის თვის)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	**(103)**	**(51)**	**(44)**	**(198)**	**13,966**	**3,422**	**359**	**17,747**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	46	(46)	-	-	(4,951)	4,951	-	-
- საკრედიტო რისკით გაუფას-ზე (1-ლი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	-	-	-	-	-	-	-	-
- 12-თვიან ECL-ზე (მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე და 1 ეტაპზე)	(1)	1	-	-	49	(49)	-	-
ახალი წარმოშობილი	(124)	-	-	(124)	16,676	-	-	16,676
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი	7	-	26	33	(1,223)	(9)	(215)	(1,447)
წმინდა დაფარვები	43	29	2	74	(5,958)	(1,919)	(7)	(7,884)
ცვლილებები მოდელებში/რისკის პარამეტრებში	(8)	2	(18)	(24)	-	-	-	-
ცვლილებები ეტაპებზე გადატანის გამო	1	4	-	5	-	-	-	-
სულ ცვლილებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა საკრედიტო ზარალის რეზერვზე	**(36)**	**(10)**	**10**	**(36)**	**4,593**	**2,974**	**(222)**	**7,345**
უცხ ვალ და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	1,212	177	-	1,389
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(139)**	**(61)**	**(34)**	**(234)**	**19,771**	**6,573**	**137**	**26,481**

ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციის ცვლილება და დაკავშირებული საკრედიტო ზარალის რეზერვი 2022 წელს ასეთი იყო:

	საკრედიტო დანაკარგის რეზერვი				წმინდა ინვესტიცია ლიზინგში საკრედიტო დანაკარგის რეზერვამდე			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (არს მთლ პერ ECL SICR)	ეტაპი 3 (არს მთლ პერ ECL საკრ რისკ გაუფას)	სულ	ეტაპი 1 12-months ECL)	ეტაპი 2 (არს მთლ პერ ECL SICR)	ეტაპი 3 (არს მთლ პერ ECL საკრ რისკ გაუფას)	სულ
2022 წლის 1 იანვარს	**(20)**	**(3)**	**(145)**	**(168)**	**7,780**	**656**	**270**	**8,706**
ცვლილებები, რომლებმაც იმოქმედა პერიოდის საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯზე:								
ტრანსფერები:								
- არს.მთლ.პერ-დან (1-დან მე-2 ეტაპზე)	23	(23)	-	-	(3,338)	3,338	-	-
- საკრედიტო რისკით გაუფას-ზე (1-ლი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	23	-	(23)	-	(359)	-	359	-
- 12-თვიან ECL-ზე (მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე და 1 ეტაპზე)	-	-	-	-	-	-	-	-
ახალი წარმოშობილი	(129)			(129)	12,840	-	-	12,840
პერიოდის განმავლობაში აღიარებაშეწყვეტილი	12	4	124	140	(376)	(362)	(234)	(972)
წმინდა დაფარვები	4	-	20	24	(2,941)	(208)	(35)	(3,184)
ცვლილებები მოდელებში/რისკის პარამეტრებში	(16)	(2)	-	(18)	-	-	-	-
ცვლილებები ეტაპებზე გადატანის გამო	-	(27)	(20)	(47)	-	-	-	-
სულ ცვლილებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა საკრედიტო ზარალის რეზერვზე	**(83)**	**(48)**	**101**	**(30)**	**5,826**	**2,768**	**90**	**8,684**
უცხ ვალ და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	360	(2)	(1)	357
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(103)**	**(51)**	**(44)**	**(198)**	**13,966**	**3,422**	**359**	**17,747**

ECL გაანგარიშების მიდგომა იხ. განმარტებაში 17.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში ინვესტიციის საკრედიტო რისკის პოზიციას კომპანიის შიდა რეიტინგებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას.)	სულ
- კარგი	28,084			28,084
- განსაკ. მონიტ. დაქვემდ.		8,596		8,596
- დეფოლტი			137	137
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში	**28,084**	**8,596**	**137**	**36,817**
გამოუმუშავებელი შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	(8,313)	(2,023)	-	(10,336)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(139)	(61)	(34)	(234)
ფინ ლიზ მისაღ შემოსავლები	**19,632**	**6,512**	**103**	**26,247**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ლიზინგში ინვესტიციის საკრედიტო რისკის პოზიციას კომპანიის შიდა რეიტინგების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL	ეტაპი 2 (არს.მთლ.პერ. ECL SICR-სთვის)	ეტაპი 3 (არს.მთლ.პერ. ECL საკრ.რისკ.გაუფას.)	სულ
- კარგი	21,045	-	-	21,045
- განსაკ. მონიტ. დაქვემდ.	-	4,148	-	4,148
- დეფოლტი	-	-	422	422
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში	**21,045**	**4,148**	**422**	**25,615**
გამოუმუშავებელი შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	(7,079)	(726)	(63)	(7,868)
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(103)	(51)	(44)	(198)
ფინ ლიზ მისაღ შემოსავლები	**13,863**	**3,371**	**315**	**17,549**

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლების ვადაგადაცილებული დღეების ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
არა ვადაგადაცილებული	22,198	16,644
1-დან 15 დღემდე ვადაგადაცილებული	3842	675
16-დან 30 დღემდე ვადაგადაცილებული	304	51
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	-	72
60-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-
90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	137	305
ფინ ლიზ მისაღ შემოს საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე	**26,481**	**17,747**
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(234)	(198)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	**26,247**	**17,549**

9. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები	1,408	1,327
შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები სულ	**1,408**	**1,327**

შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს აქტივებს (ავტომობილები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა), რომლებიც კომპანიას უბრუნდება ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად. კომპანია მოელის ამ აქტივების უახლოეს მომავალში ლიზინგით გაცემას ან განკარგვას.

2023 წელს შეწყვეტილი სალიზინგო ხელშეკრულებებიდან დაბრუნებულმა აქტივებმა სულ 2,645 ათასი ლარი შეადგინა (2022: 1,428 ათასი ლარი), კომპანიაში დაბრუნებული აქტივების 76% გამოყენებული აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები იყო (2022: 67%) დანარჩენი შეადგენდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ლიზინგით გაცემულ მსუბუქ მანქანებს;

2023 წელს შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივების გაუფასურება 341 ათას ლარს შეადგენდა (2022: არცერთი). შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივების გაუფასურება საანგარიშგებო თარიღისთვის მათი წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გადაფასების შედეგია. იგი წარმოდგენილია მუხლში „ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები“, როგორც „შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივების გაუფასურება“. იხილეთ განმარტება 19.

10. ავანსები

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
ლიზინგით გასაცემ აქტივებზე წინასწარ გადახდილი თანხები	686	566
სხვა ავანსები	14	6
ავანსები სულ	**700**	572

11. საგადასახადო ვალდებულებები

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
დღგ ვალდებულება	87	23
გადასახდელი ქონების გადასახადი	115	219
საგადასახადო ვალდებულებები სულ	**202**	**242**

12. სხვა აქტივები

ათასი ლარი	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
სალიზინგოდ ან გასაყიდად ფლობილი აქტივები	245	265
სხვა მისაღები შემოსავლები	34	17
სხვა აქტივები სულ	**279**	**282**

13. ნასესხები სახსრები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები შემდეგია:

ათასი ლარი	**ვალუტა**	**ვადიანობა**	**ნომინალური საპროცენტო განაკვეთი**	**დეკ 31, 2023**	**დეკ 31, 2022**
სს პაშა ბანკი	USD	07.03.2024	8.25%	4,053	-
სს ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა	USD	23.10.2024	7.00%	2,723	-
სს პაშა ბანკი	USD	06.04.2024	8.25%	2,434	-
სს პაშა ბანკი	USD	28.03.2024	8.5%	1,295	-
სს პაშა ბანკი	USD	09.03.2023	6.00%	-	4,068
სს პაშა ბანკი	USD	22.09.2023	7.50%	-	3,177
ნასესხები სახსრები სულ				**10,505**	**7,245**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10,558 ათასი ლარის ბრუტო საბალანსო ღირებულების მქონე სალიზინგო პორტფელი ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფად იყო გამოყენებული (2022: სალიზინგო პორტფელი ბრუტო საბალანსო ღირებულებით 8,886 ათასი ლარი).

სს „ფაშა ბანკთან“ დადებული სასესხო ხელშეკრულებებით, კომპანია ვალდებულია შეინარჩუნოს ვადაგადაცილებული ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრულ ფარგლებში. კომპანიამ დაარღვია ეს მოთხოვნა, მაგრამ 2024 წელს უზრუნველყო კრედიტორისგან ვეივერის წერილი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს 2023 წლის კომპანიის ნასესხები სახსრების ცვლილებებს:

ათასი ლარი	**იან 1, 2023**	**გაცემები**	**ძირითადი თანხის დაფარვა**	**დარიცხული პროცენტი**	**პროცენტის დაფარვა**	**უცხ ვალ კორექტირებ**	**დეკ 31, 2023**
ნასესხები სახსრები	7,245	12,159	(9,014)	741	(693)	67	10,505

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს 2022 წლის კომპანიის ნასესხები სახსრების ცვლილებებს:

ათასი ლარი	**იან 1, 2022**	**გაცემები**	**ძირითადი თანხის დაფარვა**	**დარიცხული პროცენტი**	**პროცენტის დაფარვა**	**უცხ ვალ კორექტირებ**	**დეკ 31, 2022**

ფინანსური ანგარიშების განმარტებები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები	**2,308**	**14,611**	**(8,968)**	**305**	**(290)**	**(721)**	**7,245**

14. ვაჭრობა და სხვა გადასახდელები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
გადასახდელი თანამშრომელთა კომპენსაცია	144	106
პროფესიული მომსახურებისთვის გადასახდელი ანაზღაურება	95	81
სადაზღვევო გადასახდელები	57	27
სხვა გადასახდელი ხარჯები	5	5
ვაჭრობა და სხვა გადასახდელი ხარჯები სულ	**301**	**219**

15. სააქციო კაპიტალი

ათასი ლარი	საწესდებო და გამოცემული სააქციო კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარს	**11,000**
2022 წლის 31 დეკემბერს	**11,000**
ახალი გამოშვებული აქციები	4,000
At 31 December 2023	**15,000**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი აქციების სრული ავტორიზებული რაოდენობაა 15,000 ათასი (2022: 11,000 ათასი), ნომინალური ღირებულებით 1 ლარი აქციაზე (2022: 1 ლარი თითო აქციაზე) და ჩვეულებრივი გამოშვებული აქციების რაოდენობა არის 15,000 ათასი. (2022: 11000 ათასი აქცია). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად არის გადახდილი. ყოველ ჩვეულებრივ აქციას აქვს ერთი ხმის უფლება.

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
თანამშრომელთა ბენეფიტები	1,030	847
ლიზინგით გაცემული ქონების დაზღვევა	915	504
საგადასახადო ხარჯები	353	303
შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივების გაუფასურება	341	-
აუდიტის ხარჯები	95	81
მარკეტინგის ხარჯები	90	77
საკომუნიკაციო ხარჯები	59	32
ცვეთის ხარჯები	26	24
ლიზინგით გასაცემი/გასაყიდი აქტივების გაუფასურება	20	
სხვა ხარჯები	78	104
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები სულ	**3,007**	**1,972**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროფესიული მომსახურების ხარჯები 95 ათასი ლარი გაწეულია აუდიტის და აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სხვა პროფესიული სერვისებისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (2022: 81 ათასი ლარი).

17. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა სხვადასხვა რისკის წინაშე დგას. შესაბამისად, რისკების მართვა სალიზინგო საქმიანობის კრიტიკული კომპონენტია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელია და მუდმივი გამოვლენის, შეფასების და ყოველდღიური კონტროლის საშუალებით იმართება, რისკების ლიმიტებიდან და სხვა კონტროლიდან გამომდინარე. კომპანიის თითოეული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია მის სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკების პოზიციებზე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი მთავარი ფინანსური რისკები უკავშირდება საპროცენტო განაკვეთების და გაცვლითი კურსების საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო ცვლილებებს და აქციების ფასებს. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

მმართველობის სისტემა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სისტემის უპირველესი ამოცანა კომპანიის ისეთი მოვლენებისგან დაცვაა, რომლებიც ხელს უშლის კომპანიის მიერ მდგრადი შედეგების მიღწევას, მათ შორის შესაძლებლობების ათვისებას. კომპანია აცნობიერებს რისკების მართვის ეფექტიანი და ეფექტური სისტემების ქონის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიის აღმასრულებელი მენეჯმენტი რეგულარულ შეხვედრებს მართავს, სადაც ამტკიცებს პოლიტიკის კომერციულ, მარეგულირებელ და საკუთარ საორგანიზაციო მოთხოვნებს. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების გამოვლენას და ინტერპრეტაციას, ზღუდავს სტრუქტურას, რითაც უზრუნველყოფს აქტივების სათანადო ხარისხსა და დივერსიფიკაციას და სტრატეგიის შესაბამისობას კომპანიის მიზნებთან, აკონკრეტებს საანგარიშგებო მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვის ამოცანები, პოლიტიკა და მიდგომა

კაპიტალის პოზიციაზე გავლენის მქონე რისკების მართვის მიზნით, კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი ამოცანები, პოლიტიკა და მიდგომა.
კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- კომპანიაში სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და კონტრაქტორების დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად განაწილება, იმის უზრუნველყოფა, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებს ამ კაპიტალის მიმწოდებლების და აქციონერების მოთხოვნებს და ამით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.
- ძლიერი ლიკვიდობის შენარჩუნებით ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება.
- ფინანსური სიძლიერის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის მხარდაჭერა და კონტრაქტორების, მარეგულირებელი ორგანოების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საკრედიტო რისკი

კომპანიის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც არის ის რისკი, რომ ერთი მხარე თავისი ვალდებულებებს ვერ შეასრულებს ვადის დადგომისას. მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში რისკების მართვა და მონიტორინგი კომპანიის კრედიტის მართვის კომიტეტის პასუხისმგებლობაა.

კომპანია აფასებს ნებისმიერი სალიზინგო პროექტის ფარგლებში აღებული რისკის ოდენობას. სადაც საჭიროა და ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში კომპანია იღებს შესაბამის აქტივს. ამგვარი რისკები მუდმივად კონტროლდება და ექვემდებარება ყოველთვიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კომპანია კრედიტების განხილვას აწარმოებს დაგვიანებული და ვადაგადაილებული დაფარვებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგების ალბათობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. რისკების მართვის და საკრედიტო დეპარტამენტი კლიენტის პროფილს ამზადებს ყველა შესაძლო და არსებული კლიენტის დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე. კლიენტის პროფილი მოიცავს ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს.

რისკების მართვის და საკრედიტო დეპარტამენტი პასუხისმგებელია კომპანიის საკრედიტო რისკის შემდეგი გზებით მართვაზე:

- უზრუნველყოფს, რომ კომპანიას საკრედიტო რისკის სათანადო პრაქტიკა და პოლიტიკა აქვს, რისი გამოყენებითაც აკეთებს კლიენტის რეიტინგს, ასევე აქვს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა, რათა სათანადოდ განსაზღვროს ადეკვატური პოტენციური საკრედიტო რისკი კომპანიის განცხადებული პოლიტიკის და პროცედურების თანახმად.
- გამოავლენს, აფასებს და ზომავს საკრედიტო რისკს მთელი კომპანიის მასშტაბით, ცალკეული ინსტრუმენტიდან პორტფელის დონემდე.
- ქმნის საკრედიტო პოლიტიკას, რათა კომპანია დაიცვას გამოვლენილი რისკებისგან, მათ შორის მეიჯარისგან ლიზინგის აქტივის მიღების მოთხოვნებს, შეასრულოს მეიჯარეების მძლავრი მუდმივი საკრედიტო შეფასება და მუდმივად აკონტროლის შიდა რისკების ლიმიტების პოზიციები.
- ზღუდავს პოზიციის კონცენტრაციებს აქტივის ტიპის, კონტრატენგების, გეოგრაფიული ლოკაციის და ა.შ. მიხედვით.
- აწესებს კონტროლის მძლავრ სისტემას, რომელიც ეხება საკრედიტო რესურსის დამტკიცების და განახლების ავტორიზაციის სტრუქტურას.
- ავითარებს და აყალიბებს კომპანიის მიერ ECL (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) შეფასების პროცესს, მათ შორის საკრედიტო რისკის მონიტორინგს, საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას და ECL-ის გაანგარიშების მეთოდს.
- უზრუნველყოფს, რომ კომპანიას აქვს ECL შეფასების და გაანგარიშებისთვის გამოყენებული მოდელების შენარჩუნების და ვალიდაციისთვის საჭირო პოლიტიკა და პროცედურები.
- აყალიბებს საკრედიტო რისკის აღრიცხვის, შეფასების და გაანგარიშების ჯანსაღ პროცესს, რომელიც მას უზრუნველყოფს საერთო სისტემების, ინსტრუმენტების და მონაცემების მძლავრი ბაზით და საშუალებას აძლევს, შეაფასოს საკრედიტო რისკი და აღრიცხოს ECL. სტრუქტურულ ქვედანაყოფებს უზრუნველყოფს კონსულტაციით, თანმიმდევრული მეგზურობით და სპეციალისტის ექსპერტიზით, რათა საკრედიტო რისკის მართვის საუკეთესო პრაქტიკა მთელ კომპანიაში გავრცელდეს.

  საკრედიტო რისკების შეფასების სისტემა. საკრედიტო რისკის შეფასების და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კატეგორიების მინიჭების მიზნით კომპანია იურიდიული პირებისთვის იყენებს შიდა რეიტინგების სისტემას, ან საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ შეფასებულ რისკის ქულებს. რეიტინგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. რეიტინგები და დეფოლტის ალბათობის ("PD") შესაბამისი დიაპაზონი მიესადაგება საბანკო განთავსებებს.

  შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები შესაბამისობაში მოიყვანება კომპანიის შიდა მთავარი შკალის საშუალებით დეფოლტის ალბათობის კონკრეტული სპექტრით, როგორც ეს ცხრილშია ნაჩვენები:

საკრედიტო რისკის კატეგორია მთავარი შკალით	კორპორაციის შიდა რეიტინგები	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული შესაბამისი რეიტინგები (Fitch)	საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული დეფოლტის ალბათობის შესაბამისი ინტერვალი (Fitch)
ძალიან კარგი	1 – 2	AAA to BB+	0,01% - 0,26%
კარგი	3 – 4	BB to B+	0,27% -1.48%
დამაკმაყოფილებელი	5 – 6	B, B-	1,49% - 3.03%
განსაკ მონიტ დაქვემდ	7 – 8	CCC+ to CC-	3.04% - 99,9%
დეფოლტი	9	C, D-I, D-II	100%

მთავარი შკალის თითოეული ქულა აღნიშნავს გადახდისუნარიანობის კონკრეტულ ხარისხს:

- ძალიან კარგი - კრედიტის მაღალი ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- კარგი - კრედიტის ადეკვატური ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი - კრედიტის ზომიერი ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;
- სპეციალურ მონიტორინგს დაქვემდებარებული - საკრედიტო რესურსი, რომელიც უფრო ყურადღებით მონიტორინგს და გამოსასწორებელ ქმედებას მოითხოვს; და
- დეფოლტი - საკრედიტო რესურსი, რომელზეც მოხდა დეფოლტი.

მიდგომა, რომელსაც ჯგუფი იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გასაზომად იყენებს, ექსპერტულ რეკომენდაციაზე დაყრდნობით შემუშავებული შიდა მოდელია, რომელიც მსესხებელს საკრედიტო რეიტინგს ანიჭებს სხვადასხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების მიხედვით. რეიტინგების მინიჭება ხდება საკრედიტო რისკის ოფიცრების მიერ, რომელსაც შემდეგ სესხის დამტკიცების პროცესში საკრედიტო რისკის კომიტეტის წევრები იხილავენ.

ის პოზიციები, რომელთაც შიდა რეიტინგი არ აქვს მინიჭებული, საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიცირდება, სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის გამოყენებით, ესენია: ვადაგადაცილების დღეები, რესტრუქტურიზაცია, უზრუნველყოფის არსებობა.

საკრედიტო რისკის კატეგორია	კრედიტის ხარისხის კრიტერიუმები
ძალიან კარგი	ვადაგადაცილება არ არის; მთლიანად დაფარულია დეპოზიტის, ძვირფასი ლითონის ან მთავრობის გარანტიით.
კარგი	ვადაგადაცილება არ აღემატება 15 დღეს ბოლო 12 თვის განმავლობაში და სესხს სრულად ფარავს უზრუნველყოფა (დეპოზიტი ან უძრავი ქონება);
დამაკმაყოფილებელი	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატება 15-30 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31 დღეზე ნაკლებია.
განსაკ. მონიტ.	ბოლო 12 თვის განმავლობაში ვადაგადაცილება არ აღემატებოდა 31-90 დღეს. ან თუ სესხი რესტრუქტურიზებული იქნა, ეს ერთ წელზე დიდი ხნის წინ მოხდა და მიმდინარე ვადაგადაცილება 31-90 დღეა.
დეფოლტი	სესხმა ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადა რესტრუქტურიზაცია ან ბოლო 12 თვის განმავლობაში მინიმალური ვადაგადაცილება 90 დღეა.

ECL-ის შეფასება: IFRS 9-ის თანახმად, ECL შეფასების პროცესში გადამწყვეტი ნაწილია აქტივების სათანადო კლასიფიკაცია რისკის კატეგორიებში მოსალოდნელი საკრედიტო რისკის მიხედვით. ამ

მიზნით გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების დღიდან საკრედიტო ხარისხის ცვლილებებზეა აგებული. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის კრედიტით გაუფასურებული, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. პირველი ეტაპის ფინანსური აქტივების ECL იზომება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის იმ ნაწილის ტოლი ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება შესაძლო დეფოლტის მოვლენების შედეგად მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან საკონტრაქტო ვადის დადგომამდე, თუ უფრო მოკლეა ("12-თვიანი ECL"). თუ თავდაპირველი აღიარების დღიდან გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი ECL იზომება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ, სახელშეკრულებო ვადამდე, თუმცა მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში ("არსებობის მთლიანი პერიოდის ECL"). თუ ფინანსური აქტივი კრედიტით გაუფასურებულია (გადეფოლტებული), აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL იზომება როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. ამჟამად, ივარაუდება, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა თავდაპირველი აღიარების დღიდან, როდესაც ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტი ხნით იყო ვადაგადაცილებული. SICR იდენტიფიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას რიგი რაოდენობრივი ფაქტორები, მათ შორის კონკრეტული კლიენტების პორტფელის ქცევითი ასპექტები.

დეფოლტის მოვლენა: იმის დასადგენად, მოხდა თუ არა დეფოლტის მოვლენა, გაანალიზებულია რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტები. ამჟამად, ივარაუდება, რომ დეფოლტის მოვლენა დაფიქსირდება, როდესაც ფინანსური აქტივები 90 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული ან ფინანსური აქტივის მიმართ განხორციელდა რთული რესტრუქტურიზაცია. სხვა ხარისხობრივი ფაქტორები გაანალიზებულია კლიენტების გადახდისუუნარობის შესაფასებლად (ITR):

ქვემოთ მოყვანილი სია არ არის ამომწურავი:

- მსესხებლის მუდმივი შემოსავლის წყარო აღარ იქნება ხელმისაწვდომი ბაზრის გაქრობის გამო, რაც გამოიწვევს მსესხებლის გაყიდვების შემცირებას;
- სხვა კრედიტორებისათვის გადახდების შეფერხება;
- მსესხებლის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვები ზარალით;
- მნიშვნელოვანი ხელშეკრულების შეწყვეტა (კლიენტი ან მიმწოდებელი), რომელიც წარსულში შემოსავლების ან შესყიდვების მნიშვნელოვან ნაწილს გამოიმუშავებდა;
- ხელშეკრულების დარღვევა და საკრედიტო ხელშეკრულების პირობები;
- სამართლებრივი პროცესების დაწყება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი გადინება;
- ჩნდება იმის ალბათობა, რომ მსესხებელი გადავა გაკოტრების რეჟიმში ან სხვა ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის;
- სექტორის კრიზისი, როცა კონტრაგენტი სექტორში სუსტი პოზიციის მქონე კონტრაგენტთან კომბინაციაში ოპერირებს.
-

ECL გაანგარიშება: ECL არის შემდეგი საკრედიტო რისკის პარამეტრების გამრავლებების ჯამი:

- დეფოლტის ალბათობა (PD)
- დანაკარგი დეფოლტისას (LGD); და

- დეფოლტის პოზიცია (EAD).

ეს რიცხვები როგორც წესი მიიღება კომპანიის შიგნით შემუშავებული სტატისტიკური მოდელებით და სხვა ისტორიული მონაცემების გამოყენებით და კორექტირდება ალბათობის მიხედვით შეწონილი საპროგნოზო ინფორმაციის ასახვის მიზნით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, LGD რეზერვის გაანგარიშების მთავარი მაჩვენებელია. ზოგადად ლიზინგის დარგის და კონკრეტულად კომპანიისთვის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის დონე ძალიან დაბალია. ეს იმიტომ ხდება, რომ ტრანზაქციის დადებისას მოიჯარე კომპანიას წინასწარ უხდის ავანსს, დაახლოებით 20-30%-ის ოდენობით; მისი გადეფოლტების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღჭურვილობა ექვემდებარება დაყადაღებას სასამართლო საქმის აღძვრის საჭიროების გარეშე, საბოლოოდ კი რეალიზაციას ფასად, რომელიც, როგორც წესი, აღემატება სალიზინგო დაფარვის ვალის ოდენობას.

LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის კრედიტორის მიერ აქტივიდან მისაღებს, შორის განსხვავებას.

უზრუნველყოფილი აქტივებისთვის, LGD მოდელები ითვალისწინებს ლიზინგის აქტივის სამომავლო გადაფასების პროგნოზებს და ამ კონტექსტში გაყიდვების დისკონტებს, შესაბამისი აქტივის რეალიზაციის დროს, ჯვარედინ გირაოთი უზრუნველყოფას და მოთხოვნის ხანდაზმულობას, შესაბამისი აქტივის რეალიზაციის ხარჯს. კალკულაცია დისკონტირებული ფულადი ნაკადის მიხედვით წარმოებს, სადაც ფულადი ნაკადები დისკონტირდება ლიზინგის ხელშეკრულების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (EIR). ბიზნეს-მსესხებლების ECL შეფასებისას გამოიყენება ორსაფეხურიანი LGD გაანგარიშება, სადაც ყველაზე მეტად რელევანტური გირაოს ტიპი სატრანსპორტო საშუალებებია. ამ მიზნით, საბოლოო LGD-ის კალკულაცია ორ საფეხურად სრულდება:

- LGD -ის გაანგარიშება პორტფელის მიხედვით ამოღების სტატისტიკის გათვალისწინებით; LGD1- მხოლოდ ფულის გადახდის მიხედვით ამოღებები;

- LGD-ის გაანგარიშება გირაოს კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით; LGD2 - კონკრეტული გირაოდან გამომდინარე მოსალოდნელი ამოღებები: პროგნოზით გათვალისწინებული გირაოს ღირებულება, გაყიდვებზე ისტორიული ფასდაკლებები და გირაოთი უზრუნველყოფილი სესხების სხვა ფაქტორები.

- საბოლოო LGD= LGD1*LGD2

EAD არის მომავლის დეფოლტის თარიღის პოზიციის წინასწარი შეფასება, რომელიც ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს და დამტკიცებული რესურსების მოსალოდნელ ათვისებებს. კომპანიის EAD მოდელირების მიდგომა ითვალისწინებს იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში არსებული ბალანსის მოსალოდნელ ცვლილებებს, რომლებიც ნებადართულია მიმდინარე სახელშეკრულებო პირობებით, როგორიცაა ამორტიზაციის პროფილები, ადრე დაფარვა ან ზედმეტის გადახდა, აუთვისებელი დამტკიცებული თანხის გამოყენების ცვლილებები და კრედიტის შემცირების ღონისძიებები დეფოლტამდე. კომპანია იყენებს EAD მოდელებს, რომლებიც ასახავს პორტფელის მახასიათებლებს.

PD დეფოლტის ალბათობის გაანგარიშების მიზნით, ჯგუფი განსაზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს, როგორც ზემოთაა განსაზღვრული. ფინანსური აქტივის ეტაპიდან გამომდინარე, ECL-ის საბოლოო გაანგარიშების პროცესში გამოიყენება ან 12-თვიანი PD ან არსებობის მთლიანი პერიოდის PD.

აქტივებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები აკლდება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებებს.

ECL მოდელებში კომპანია ასევე იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას კომპანია ECL-ის შეფასების ორ ყველაზე კრიტიკულ კომპონენტისთვის: PD და LGD მოდელებისთვის იყენებს. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“, „ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარი“ და „პესიმისტური ეკონომიკური სცენარი“) საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას იძლევა. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკებთან და ECL-ებთან.

შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზის შესრულებით, რათა გავიგოთ რა გავლენა ჰქონდა ისტორიულად ამ ცვლადებში მომხდარ ცვლილებებს დეფოლტის მაჩვენებლებზე. საბოლოო PD მოდელები კორექტირებულია შესაბამისი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დეფოლტის მაჩვენებლებზე: მაგალითად, 2023 ფინანსური წლის უმუშევრობაზე.

კომპანიამ მაკროეკონომიკური ცვლადები LGD-ის ფორმულებში შეიტანა, კერძოდ LGD2 ფორმულებში, და გააერთიანა უზრუნველყოფის ღირებულების კორექტირება უძრავი ქონების ფასის ინდექსის მიხედვით. მაკროეკონომიკური კორექტირება EAD-ისთვის არ განხორციელებულა, რადგან გავლენა უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული.

ამჟამად კომპანია გაუფასურების მოდელის მაკროეკონომიკური კორექტირებისთვის მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სცენარებს იყენებს. საბოლოო მოდელში სცენარის წონები არის სებ-ის პუბლიკაციაში განსაზღვრული წონების მიხედვით: 50% საბაზისო სცენარისთვის, 25%-25% ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისთვის.

როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზები და მოვლენის ალბათობა ექვემდებარება თანდაყოლილი გაურკვევლობის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც უკავშირდება ECL დონეს და მათ მინიჭებულ წონებს 2023 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

		მინიჭებული	დაშვება წლისთვის:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2024	2025	2026
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	5.00%	4.50%	5.00%
	ოპტიმ	25%	6.50%	5.50%	5.00%
	პესიმ	25%	3.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების საფასო ინდექსი ლარით (YoY	საბაზო	50%	106.00	105.50	105.50
	ოპტიმ	25%	106.50	105.75	105.50
	პესიმ	25%	106.00	105.75	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლ კურსი (YoY)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტიმ	25%	97.00	98.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	100.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.71	16.71	16.46
	ოპტიმ	25%	16.46	16.21	15.96
	პესიმ	25%	17.96	18.46	17.96

დაშვებები და მათთვის მინიჭებული წონები 2022 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

		მინიჭებული	დაშვება წლისთვის:		
ცვლადი	სცენარი	წონა	2023	2024	2025
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი %	საბაზო	50%	4.00%	5.50%	5.00%
	ოპტიმ	25%	6.00%	5.00%	5.00%
	პესიმ	25%	2.00%	4.00%	5.00%
უძრავი ქონების საფასო ინდექსი ლარით (YoY	საბაზო	50%	107.00	105.50	105.50
	ოპტიმ	25%	108.00	105.50	105.50
	პესიმ	25%	110.00	108.00	105.50
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური გაცვლ კურსი (YoY)	საბაზო	50%	100.00	100.00	100.00
	ოპტიმ	25%	98.00	100.00	100.00
	პესიმ	25%	115.00	95.00	95.00
უმუშევრობა (%)	საბაზო	50%	16.04	15.79	15.79
	ოპტიმ	25%	15.04	15.04	15.04
	პესიმ	25%	17.04	17.29	17.04

ზოგადად, ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული პარამენტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. საკრედიტო რისკის პარამეტრების პროგნოზირება ხდება თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული პოზიციის არსებობის მთელ პერიოდში, საბოლოოდ კი ECL არის მომავალი ფულის დანაკლისის მიმდინარე ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი წინასწარი შეფასება (მაგალითად, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, სადაც წონად გამოყენებულია დროის მოცემულ პერიოდში მომხდარი დეფოლტის შესაბამისი რისკები).

აქტივებზე მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვები აკლდება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური რისკი

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც დაწესებულება წააწყდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების სირთულეს. ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხები და ვადიანობა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მენეჯმენტის მიერ განისაზღვრება. მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიის ლიკვიდობის არსებული დონე საკმარისია მისი ყველა მიმდინარე ვალდებულების დროულად დასაკმაყოფილებლად და დასაფარად. კომპანიას შესაბამისობაში მოჰყავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ვადები და ნეგატიურ გეპებზე აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს.

მომდევნო ცხრილებში დეტალურადაა აღწერილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა შეთანხმებული დაფარვის ვადებით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე და აღნიშნულია ყველაზე ადრეული თარიღი, როცა კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული თანხა დისკონტირებულ ფულადი ნაკადებზეა აგებული. ცხრილი მოიცავს როგორც პროცენტებს, ისე ძირითად ფულად ნაკადებს.

ათასი ლარი	**საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი %**	**1 თვეზე ნაკლები GEL**	**1-დან 6 თვემდე GEL**	**6-დან 12 თვემდე GEL**	**12 თვიდან 5 წლამდე GEL**	**სულ GEL**	**საბალანსო ღირებულება GEL**
31 დეკ 2023							
ნასესხები სახსრები	8%	137	7,913	2,749	-	**10,799**	**10,505**
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	0%	301	-	-	-	**301**	**301**
სალიზინგო ვალდებულება	14%	1	5	6	1	**13**	**11**
სულ		**439**	**7,918**	**2,755**	**1**	**11,113**	**10,817**
31 დეკ 2022							
ნასესხები სახსრები	7%	61	4,175	3,227	-	**7,463**	**7,245**
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	0%	219	-	-	-	**219**	**219**

სალიზინგო ვალდებულება	14%	1	7	8	18	**34**	**20**
სულ		**281**	**4,182**	**3,235**	**18**	**7,716**	**7,484**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პრეზენტაცია ლიკვიდობის მიხედვით. კომპანიას არ გააჩნია მკაფიოდ გამოვლენილი ოპერაციული ციკლი და შესაბამისად მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე არ წარადგენს. ნაცვლად ამისა, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ლიკვიდობის რიგითობით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმ თანხებზე, რომელთა ამოღებაც ან ანგარიშსწორებაც მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტ თვემდე და მის შემდეგ.

	დეკ 31, 2023			**დეკ 31, 2022**		
	თანხები რომელიც მოსალოდნელია რომ ამოიღება ან დაიფარება			**თანხები რომელიც მოსალოდნელია რომ ამოიღება ან დაიფარება**		
ათასი ლარი	**საანგ პერიოდიდან 12 თვის განმავლ**	**საან პერიოდიდან 12 თვის შემდეგ**	**სულ**	**საანგ პერიოდიდან 12 თვის განმავლ**	**საან პერიოდიდან 12 თვის შემდეგ**	**სულ**
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალ	4,110	-	4,110	3,072	-	3,072
ფინ ლიზ მისაღ შემოსავლ	13,487	12,760	26,247	6,347	11,202	17,549
შეწყვეტილი ლიზინგ დასაკ აქტ	-	1,408	1,408	-	1,327	1,327
გამოყ უფლ მქ აქტივები	-	9	9	-	17	17
წინასწარი გადახდები	700	-	700	572	-	572
ქონება, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	-	107	107	-	63	63
სხვა აქტივები	-	278	278	-	282	282
მთლიანი აქტივები	**18,297**	**14,562**	**32,859**	**9,991**	**12,891**	**22,882**
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	10,505	-	10,505	7,245	-	7,245
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	301	-	301	219	-	219
სალიზინგო ვალდებულება	11	-	11	9	11	20
მიღებული ავანსები	10	-	10	15	-	15
დღგ ვალდებულება	87	-	87	-	23	23
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	115	-	115	219	-	219
მთლიანი ვალდებულებები	**11,029**	**-**	**11,029**	**7,707**	**34**	**7,741**
წმინდა პოზიცია	**7,268**	**14,562**	**21,830**	**2,284**	**12,857**	**15,141**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყევებს ისეთი საბაზრო ცვლადების ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და უცხოური ვალუტა. კომპანიას აქვს პოზიცია საბაზრო რისკებზე. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (ფასის რისკი) მერყეობის გამო; სულერთია, ფასის ეს ცვლილება ცალკეული ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის სპეციფიკური ფაქტორებითაა გამოწვეული თუ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილ ყველა ინსტრუმენტზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა იმ ალბათობისგან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი ნაკადების მოძრაობაზე. კომპანიის ფინანსური აქტივების საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია 8 და 9 განმარტებებში. კომპანიის ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთები გამჟღავნებულია განმარტებაში 13.

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზეგავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რყევები. ასეთი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი. მენეჯმენტი აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციას და აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს. კომპანია პერიოდულად აფასებს ზარალის შესაძლო ოდენობას, რითაც მართავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებული პირობების არასასურველი ცვლილებებისგან.

სავალუტო რისკი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე გავლენას ახდენს დომინანტი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის ეფექტები. კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოური ვალუტებით და შესაბამისად, წარმოიშობა პოზიცია გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის პოზიცია გაცვლითი კურსის რისკის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	GEL	USD USD 1 =2.6894 GEL	დეკ 31, 2023 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,105	5	4,110
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	16,256	9,991	26,247
ფინანსური აქტივები სულ	**20,361**	**9,996**	**30,357**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	10,505	10,505

ფინანსური ანგარიშების განმარტებები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	206	95	301
სალიზინგო ვალდებულება	11	-	11
ფინანსური ვალდებულებები სულ	217	10,600	10,817
ღია პოზიცია	20,144	(604)	19,540

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის პოზიცია გაცვლითი კურსის რისკის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	GEL	USD USD 1 =2.702 GEL	დეკ 31, 2022 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,068	4	3,072
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	10,722	6,827	17,549
ფინანსური აქტივები სულ	**13,790**	**6,831**	**20,621**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	7,245	7,245
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	138	81	219
სალიზინგო ვალდებულება	20	-	20
ფინანსური ვალდებულებები სულ	**158**	**7,326**	**7,484**
ღია პოზიცია	**13,632**	**(495)**	**13,137**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ფუნქციური ვალუტის უცხოური ვალუტების მიმართ 20%-ით გამყარების/დასუსტებისადმი კომპანიის მგრძნობელობას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ასევე გავრცელდა ანგარიშგების დღეს არსებულ შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად მუხლებზე.

	31 დეკ, 2023	31 დეკ, 2022
ათასი ლარი	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(121)	(99)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	121	99

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეები

პერიოდულად, ბიზნესის ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობისას, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნები. საკუთარი შეფასებით და შიდა პერსონალის პროფესიონალური კონსულტაციით, მენეჯმენტი იმ აზრისაა, რომ ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკს არ მიადგება რაიმე სახის მნიშვნელოვანი ზარალი, შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ ითვალისწინებს შესაბამის რეზერვს მასთან მიმართებაში.

საგადასახადო სიტუაციები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შემუშავდა, ან ძირითადად შემუშავდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, როცა კომპანიის ტრანზაქციებსა და საქმიანობას მიესადაგება. შესაბამისად, მენეჯმენტის მხრიდან გადასახადებთან და თანმხლებ ოფიციალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით დაკავებულ პოზიციას საგადასახადო ორგანოები შეიძლება არ დაეთანხმონ. საგადასახადო წელიწადი მიყოლებით სამი კალენდარული წლის განმავლობაში (განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინამორბედი) ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, განხილვას შეიძლება უფრო ხანგრძლივი დრო დასჭირდეს.

„BB ლიზინგის“ საგადასახადო შემოწმება ჯერ არ ჩატარებულა, ასე რომ, საგადასახადო ინსპექციისთვის ღია პერიოდი 2021-2023 წლებია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებების შესრულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ პოზიციაზე, თუ ეს ორგანოები წარმატებით შეასრულებენ ამ ინტერპრეტაციებს.

19. სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა გამჟღავნების მიზნით. კომპანიას მუდმივად არ აქვს სამართლიანი ღირებულებით ნაანგარიშები ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიან ღირებულებებს კატეგორიები ენიჭება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის მიხედვით, რაც შეფასების ტექნიკის ამოსავალი მონაცემებიდან გამომდინარეობს:

- დონე 1 - კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისათვის;
- დონე 2 - შეფასების ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის შეტანა, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების გაანგარიშებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასები) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) შეინიშნება;
- დონე 3 - შეფასების ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების გაანგარიშებისთვის, არ არის დაკვირვებადი.

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე იყოს კატეგორიზებული, მაშინ სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მთლიანად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთელი გაანგარიშებისთვის.

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკ 2023				31 დეკ 2022			
ათასი ლარი	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირება	დონე 1 სამ ღირ	დონე 2 სამ ღირ	დონე 3 სამ ღირ	საბალ ღირებ
აქტივები								
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	4,110	-	4,110	-	3,072	-	3,072
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	-	-	31,390	26,247	-	-	20,758	17,549
ფინანსური აქტივები სულ	**-**	**4,110**	31,390	**30,357**	**-**	**3,072**	**20,758**	**20,621**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	10,505	-	10,505	-	7,245	-	7,245
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	-	301	-	301	-	219	-	219
სალიზინგო ვალდებულება	-	-	11	11	-	-	20	20
ფინანსური ვალდებულებები სულ	**-**	**10,806**	**11**	**10,817**	**-**	**7,464**	**20**	**7,484**

„ფულის და ფულის ეკვივალენტების“ და „ვაჭრობის და სხვა გადასახდელი ხარჯების“ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ საბალანსო ღირებულებები სამართლიან ღირებულებას უახლოვდება, როცა მათი ვადიანობა ხანმოკლეა (სამ თვეზე ნაკლები).

„ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების“, „ბანკებში განთავსებული დეპოზიტების“ და „ნასესხები სახსრების“ სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით - მოსალოდნელი მისაღები/გადასახდელი სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდა იმ ახალი გარიგებების (ინსტრუმენტების) საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი ვადიანობა ჰქონდა, და რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსკენ დაიდო. არადაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს (დისკონტური განაკვეთები) და ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის ინვერსიული დამოკიდებულება არსებობს.

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეთა შორის

ა) მთავარი მენეჯმენტის ანაზღაურება

მთავარი მენეჯმენტი გულისხმობს (აღმასრულებელ) დირექტორებს.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ხარჯები	დარიცხული ვალდებულება 31 დეკ 2023	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ხარჯები	დარიცხული ვალდებულება 31 დეკ 2022
ხელფასები და ბონუსები	377	122	312	106
დაზღვევა	1	-	1	-
მთავარი მენეჯმენტის ანაზღაურება სულ	**378**	**122**	**313**	**106**

ბ) ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი იყო:

	2023			2022		
ლარი	ერთეულები საერთო კონტროლის ქვეშ*	მშობელი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	ერთეულები საერთო კონტროლის ქვეშ*	მშობელი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	4,054	-	-	3,058	-
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	-	-	-	-	-	31
მთლიანი აქტივები	**-**	**4,054**	**-**	**-**	**3,058**	**31**
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	**2,723**	-	-			
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	57	2	-	27	-	-
სალიზინგო ვალდებულება	-	11	-	-	20	-
მთლიანი ვალდებულებები	**2,780**	**13**	**-**	**27**	**20**	**-**

	2023			2022		
ლარი	ერთეულები საერთო კონტროლის	მშობელი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	ერთეულები საერთო კონტროლის	მშობელი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
მოგება-ზარალის ანგარიში						
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან	-	-	2	-	-	4
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	-	196	-	-	58	-
ლიზინგით გაცემული ქონების დაზღვევა	(915)	-	-	(504)	-	-
საპროცენტო ხარჯები	(34)	(2)	-	-	(3)	-

მთლიანი (ხარჯები)	(949)	2	(504)		4
შემოსავალი	194			55	

*კომპანიები, რომელთაც საერთო საბოლოო აქციონერი ან მისი მშობელი კომპანია აკონტროლებს.

21. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, კომპანიამ შეიძინა შპს "ჯორჯიან ლიზინგ კომპანიის" საცალო და ბიზნეს სალიზინგო პორტფელები, შესაბამისად 3,690 ათასი და 2,484 ათასი ლარის ოდენობით.

დამატებით, კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 3 მილიონი ლარით, სადაც ახალი აქციები სრულად შესყიდულ იქნა მშობელი კომპანიის, სს ბაზისბანკის მიერ.

მენეჯმენტის ანგარიში

გენერალური დირექტორის წერილი

ძვირფასო დაინტერესებულ მხარეებო,

როცა 2023 წელს ვიხსენებთ, მტკიცედ ვრჩებით ჩვენი მთავარი პრინციპის ერთგული: ესაა ჩვენი კლიენტების ზრდის ხელშეწყობა. BB ლიზინგის მიერ განხორციელებული ყოველი სტრატეგიული ინვესტიცია შექმნილია ჩვენი კლიენტების საწარმოო შესაძლებლობების მხარდასაჭერად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად. ჩვენი მისია სცილდება უბრალოდ ფინანსური სერვისების მიწოდებას - ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ კატალიზატორი იმ ბიზნესების, ინდუსტრიებისა და საზოგადოებების მდგრადი ზრდისთვის, რომლებსაც ვემსახურებით.

საქართველოში ლიზინგის სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და ვამაყობთ, რომ ამჟამად ბაზარზე მეორე პოზიციას ვიკავებთ. კონკურენტული ლანდშაფტი კვლავ გვიბიძგებს, რომ მთელი ძალები მოვიკრიბოთ და აქტიურად ვიმოქმედოთ. ის გვაძლევს გამოწვევას, რომ მუდმივად ვიბრძოლოთ საკუთარ საზღვრებს მიღმა და ვეძებოთ გზები ბაზრის ზრდის ტემპის გადასწრებისთვის. სრულყოფილებისკენ მიმავალ გზა საფუძვლად უდევს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, პროდუქტის ინოვაციებით დაწყებული რისკების მენეჯმენტით და მომხმარებელთა მომსახურებით დამთავრებული.

2023 წელი ჩვენთვის განსაკუთრებული პროგრესის წელი იყო. ჩვენმა სალიზინგო პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და წლის ბოლომდე 26 მილიონ ლარს (18 მილიონი 2022 წელს) მიაღწია, რაც თავისთავად შესანიშნავი მიღწევაა. ამ ზრდასთან ერთად, ჩვენ მივაღწიეთ მყარ მომგებიანობას, წმინდა მოგება გაიზარდა 2.6 მილიონ ლარამდე, რაც წინა წელთან შედარებით 34%-ი გაუმჯობესებაა. უფრო შთამბეჭდავი კი ისაა, რომ 30-დღიანი PAR-ის 0%-ის (პორტფელი რისკის ქვეშ) მქონე უნაკლო პორტფელი შევინარჩუნეთ, რაც ხაზს უსვამს რისკების პასუხისმგებელი მართვისა და პორტფელის სრულყოფილებისადმი ჩვენს განუხრელ ერთგულებას.

ჩვენი კლიენტების მზარდი საჭიროებების მოსმენა და მათი დაკმაყოფილება ყოველთვის ჩვენი წარმატების საყრდენი იყო. 2023 წელს ავტო და ძირითადი საშუალებების შესყიდვის სალიზინგო პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტი წარმოვადგინეთ, რომელიც მორგებულია როგორც საცალო, ისე კორპორატიული კლიენტების საჭიროებებზე. ამასთან, ვაგრძელებთ ჩვენი გადაწყვეტების დახვეწას, კლიენტებს ვთავაზობთ უფრო მეტ მოქნილობას და ინოვაციებს. 2024 წლისთვის, მზად ვართ, ფინანსური ინვესტიციები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ინდივიდს და თითოეულ ბიზნესს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენი ყოვლისმომცველი სალიზინგო გადაწყვეტებით შეუძლია ისარგებლოს.

ჩვენი ამ წლის მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი განსაკუთრებული გუნდის თავდადებისა და პროფესიონალიზმის გარეშე, ისევე როგორც ჩვენი ღირებული ბიზნეს პარტნიორების ურყევი მხარდაჭერის გარეშე. ჩვენ ერთად შევიმუშავეთ ინოვაციური, ერთობლივი ლიზინგის აქტივების შეძენის პროდუქტები, რომლებმაც დიდი წარმატება მოიტანა. დიდად ვაფასებთ ჩვენს პარტნიორებს და მადლობელი ვართ იმ დადებითი შედეგებისა და ფასდაუდებელი გამოხმაურებისთვის, რომელსაც ჩვენი კლიენტებისგან ყოველდღიურად ვიღებთ.

ახლა, როცა 2024 წლისკენ მივდივართ, მოხარული ვართ იმ შესაძლებლობებით, რომლებიც წინ გველის და კვლავ განსაკუთრებული ღირებულების მიწოდებაზე, ინოვაციების შეთავაზებასა და

საქართველოს ეკონომიკაზე გრძელვადიანი დადებითი გავლენის მოხდენაზე ვართ ორიენტირებული.

პატივისცემით,

კონსტანტინე სულამანიძე

BB ლიზინგის აღმასრულებელი დირექტორი

განვითარების სტრატეგია

BB ლიზინგი ესწრაფვის ბაზარზე მდგრად განვითარებასა და წინსვლას. მისი ამოცანაა, ისეთი სტაბილური და თანამედროვე ინსტიტუტი გახდეს, რომლის სტრატეგიის ცენტრშიც კლიენტი დგას და რომელიც არა მხოლოდ აკმაყოფილებს, არამედ აჭარბებს კლიენტის მოლოდინს.

კომპანიას განვითარებისა და პროგრესის ხუთლიანი ისტორიის მანძილზე კომპანიამ შეძლო ბიზნესის ჩამოყალიბება და მყარი საფუძველის შექმნა. ჩვენი ყურადღება გამახვილებულია ცნობიერების ამაღლებაზე, ნდობის მოპოვებაზე და ინოვაციური, მარტივი და დახვეწილი ფინანსური გადაწყვეტების შეთავაზებით გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბებაზე. კომპანია კარგად შეიცნობს კლიენტთა საჭიროებებს და ცდილობს მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. BB ლიზინგის მიზანია იყოს ლიდერი და ნოვატორი ქართულ სალიზინგო ბაზარზე, ჰქონდეს ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა და კლიენტები საუკეთესო გამოცდილებას აზიაროს.

„BB ლიზინგი“ ემსახურება კლიენტთა ფართო სპექტრს - როგორც ფიზიკურ პირებს, ისე მცირე და საშუალო ბიზნესს და მსხვილ კორპორაციებს. საცალო კლიენტებს ისეთ პროდუქტებს ვთავაზობთ, რომლებიც იოლი პროცესებისა და ხელსაყრელი ფასების გამო კლიენტებისთვის სარგებლის მომტანი და დროის დამზოგავია. სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის რესურსების, ვაჭრობის, სამედიცინო დანადგარების, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სფეროებში დასაქმებულ კერძო მეწარმეებს და იურიდიულ პირებს BB ლიზინგი მორგებული მომსახურებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფს. კლიენტებს შეუძლიათ სარგებელი მიიღონ დროული გადაწყვეტების გამოყენებით, სალიზინგო კომპანიის, მისი პარტნიორების და თანამშრომლების გამოცდილებით და მომსახურებით. მათ სალიზინგო პროდუქტების უზარმაზარი გამოცდილება აქვთ, და მზად არიან აირჩიონ, დაუკავშირდნენ, მოელაპარაკონ და კლიენტებს ხარისხიანი პროდუქცია დროულად გადასცენ.

იმის გაგებით, რომ ჩვენი კლიენტების მომსახურებისას დრო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, ჩვენ რეგულარულად ვაუმჯობესებთ პროცესებს, რათა შევამციროთ ჩვენი საბოლოო პროდუქტების მიწოდების დრო. ჩვენ მუდმივად ვაფასებთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს და ვადგენთ მიზნებს, რათა მივაღწიოთ უფრო სწრაფად მომსახურებას, რაც ჩვენი კლიენტების მოლოდინების დაკმაყოფილებას და ჩვენთან ურთიერთობისას მიღებული გამოცდილების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

გრძელვადიან თანამშრომლობაზე ორიენტაცია და სალიზინგო პროდუქტებისა და მომსახურების გამჭვირვალე პირობების ჩამოყალიბება პასუხისმგებლიანი დაფინანსების მთავარი პირობაა. BB ლიზინგი შუამავალია ჩინურ კომპანიებსა და ქართველ მომხმარებლებს შორის, რომლებიც ისარგებლებენ ჩვენი ჩინელი ინვესტორებისა და პარტნიორების შესაძლებლობებით, ასევე ჩვენი დამფუძნებლის - სს ბაზისბანკისა და საბოლოო აქციონერის - ჰუალინგ ჯგუფის ფინანსური ძალითა და მხარდაჭერით. ქართველ კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ფართო შესაძლებლობებით, რასაც მათ საჭიროებებზე მორგებული ჩინური ლიზინგის მიმწოდებლების არჩევა იძლევა, რაც ქმნის შესაძლებლობებს ბიზნესის შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის.

ჩვენი სტრატეგიული მოდელი სცდება ლიზინგის საზღვრებს. BB ლიზინგი BB ჯგუფის მთავარი მოთამაშეა; ჯგუფისა, რომელიც ლიზინგთან ერთად ბაზისბანკსა და BB დაზღვევას აერთიანებს. ჯგუფის სინერგია კლიენტებს ფინანსური პროდუქტების ყოვლისმომცველ ასორტიმენტს - არა მხოლოდ ლიზინგის, არამედ საბანკო და სადაზღვევო გადაწყვეტებს სთავაზობს. ეს

ინტეგრირებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ჩვენი კლიენტების სხვადასხვა ფინანსური საჭიროებები ერთი ფანჯრის პრინციპით დავაკმაყოფილოთ, რაც სერვისების სრულ პაკეტს უზრუნველყოფს.

კომპანიის გამართულ, კარგად განვითარებულ გაყიდვების ქსელს და დაფარვის ფართო არეალს ბაზისბანკის ფინანსური ჯგუფი უზრუნველყოფს. ჩვენმა მრავალწლიანმა წარმატებულმა ოპერაციებმა, ბიზნეს საზოგადოებაში მოპოვებულმა ნდობამ და ფინანსურ შუამავლებთან გრძელვადიანმა პარტნიორობამ სალიზინგო ბაზარზე მთავარ მოთამაშედ გვაქცია. ჩვენ სისწრაფის, ხარისხისა და მოქნილობის რეპუტაცია მოვიპოვეთ - ეს ის სამი ძირითადი პრინციპია, რომლებიც ჩვენი ჯგუფის იდენტობას განსაზღვრავს.

კომპანიის სტრატეგიული აქცენტი მცირე და საშუალო საწარმოებზე (SME) აუცილებელია მუდმივი ზრდისთვის. ჩვენ გვესმის, რომ ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესი და ინდივიდუალური მეწარმე აწყდება დაფინანსების სირთულეებს, რომლებიც ხშირად საკუთარი კაპიტალით ან ტრადიციული საბანკო სესხების ლიმიტებით შემოიფარგლება. ლიზინგი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ შეზღუდვების გადალახვაში, რაც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს წვდომა მიიღონ მათთვის საჭირო აქტივებზე, დაზოგონ ადმინისტრაციული ხარჯები და ისარგებლონ ძლიერი ფინანსური პარტნიორის დაცვით.

მომავალში, BB ჯგუფი გეგმავს ჯვარედინი გაყიდვების ინიციატივებით კიდევ უფრო განავითაროს სალიზინგო შეთავაზებები და გაამყაროს ჩვენი, როგორც ინტეგრირებული ფინანსური ჰაბის პოზიცია. ფინანსური მომსახურების სრული სპექტრის - ლიზინგის, საბანკო და სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა და ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდება საშუალებას გვაძლევს, კლიენტებს დამატებული ღირებულება მივცეთ.

BB ლიზინგში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს ვიცავთ და მზად ვართ, ახალგაზრდა პროფესიონალებს შევთავაზოთ ზრდის შესაძლებლობები. ჩვენი კორპორატიული კულტურა ხელს უწყობს მომხმარებელზე ორიენტაციას, ინოვაციებს და გუნდურ მუშაობას, და საფუძვლად უდევს ჩვენს საერთო სურვილს შევქმნათ ორმხრივად მომგებიანი პროდუქტები და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი გამოცდილება.

მშობელი კომპანია

BB ჯგუფი მე-4 უმსხვილესი ფინანსური ჯგუფია საქართველოში. ბაზისბანკი, თავისი 30 წლიანი ისტორიით, ბაზარზე პოზიციონირებს, როგორც უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი, მე-3 ბანკის პოზიციის დაკავება აქვს განზრახული, მოქმედებს პასუხისმგებლობით და იძენს კლიენტების, პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების გრძელვადიან ლოიალობას.

ერთ-ერთი პირველი კომერციული ბანკია საქართველოში, რომელიც ფინანსურ ბაზარზე 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. თითქმის 30 წლიანი ისტორიის მქონე BB იმ ქართულ ბანკებს შორისაა, რომელმაც მოცულობის ზრდა და ბიზნესის იმპულსი, ბაზრის წილის მატება და მყარი წარმატებები შეინარჩუნა. ამას კი ბიზნესისა და რისკის გულმოდგინე მართვის მეშვეობით მიაღწია, რასაც მხარს უჭერს ჯგუფის კორპორაციული სტრატეგიის და ბიზნეს კულტურის მთავარი საფუძველი - ჯანსაღი კორპორაციული მმართველობა და ფოკუსი ბიზნესის გამჭვირვალობაზე.



ბიზნესის დაფინანსებით ბანკი მე-3 უმსხვილესი ბანკია, საცალო საბანკო მომსახურებით - მე-4. მისი სტრატეგიული აქცენტი ეხება საცალო და ბიზნეს სერვისების ყველა ძირითად სფეროში პოზიციების გაძლიერებას, ახალ წინადადებებს და უმაღლეს გადაწყვეტებს, რათა კომპანიის ძლიერ მხარეები მომხმარებელზე, მომავალზე ორიენტირებული ბანკის შენების ამოცანას მოახმაროს.

ჯგუფი 200 000-ზე მეტ ბიზნეს და საცალო კლიენტს ემსახურება. 40 ფილიალის ქსელისა და 900-ზე მეტი თანამშრომლისგან შემდგარი ძლიერი ჯგუფის მეშვეობით მისი მომსახურება მოიცავს ყველა რეგიონს.

მყარი კაპიტალის ბაზითა და დაბალანსებული, ძლიერი ფინანსური მხარდაჭერით, ჯგუფმა ბიზნესის კეთებაში უმაღლესი გამოცდილება დააგროვა და ბაზარზე ბიზნესის მხარდამჭერის კონკურენტული უპირატესობა მოიპოვა.

ორი შვილობილი კომპანიის, BB დაზღვევისა და BB ლიზინგის დახმარებითა და მრავალარხიანი სადისტრიბუციო პლატფორმის საშუალებით, კლიენტთა ყველა სეგმენტს ჯგუფი მორგებულ საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო მომსახურებას სთავაზობს. ამ ბიზნესხაზების კოორდინირებული ფუნქციონირება ქმნის იმ სინერგიას, რომელიც კლიენტთა ყველა სეგმენტისთვის ფართომასშტაბიანი ფინანსური სერვისების შეთავაზებას ემსახურება.



BB's და BB Group-ის საბოლოო აქციონერია ჩინური კონგლომერატი, უმსხვილესი ჩინელი ინვესტორი საქართველოში - Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. ჰუალინგ ჯგუფმა 2012 წელს ბანკის აქციების 90% შეიძინა, დღეს ის 91.6% -ის მფლობელია.

ჰუალინგ ჯგუფი ქართულ ბაზარზე 2006 წლიდან ოპერირებს. ჯგუფის ინტერესების სფეროები ფართო და ყოვლისმომცველია, მათ შორისაა ხის და სატყეო მრეწველობის დამუშავება და მოპოვება, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ფართომასშტაბიანი თანამედროვე კომერციული ბაზარი, სასტუმრო და ტურიზმი და ა.შ. ჯგუფის ხედვაა გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში საქმიანობის უპირატესობა, განვითარდეს „აბრეშუმის გზის“ პროექტის ინიციატივასთან ერთად და აღადგინოს საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ცენტრის ისტორიული როლი, რაც ჰუალინგის ბაზრებს თანდათანობით ორი რეგიონის შემაკავშირებლად აქცევს.

საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

2023 წელს საქართველომ მშპ-ის 7.5%-იან ზრდას მიაღწია. 2021 და 2022 წლებში ორნიშნა ზრდის საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მტკიცე დარჩა, რასაც მხარს ძლიერი სახელმწიფო და ფისკალური პოლიტიკა, გაზრდილი მოხმარება და ძლიერი ფინანსური სექტორი უჭერდა.

2024 წელს საქართველო აგრძელებს დაჩქარებულ ზრდას, პირველი 8 თვის განმავლობაში მშპ-ის 10%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მოსალოდნელია, რომ ზრდის ტენდენცია 2024 წელს შენარჩუნდება და 2025-2026 წლებში საშუალოდ 5% იქნება, რაც მოხმარებით იქნება გამოწვეული, რასაც მსყიდველუნარიანობა გააძლიერებს დაბალი ინფლაციისა და რეალური ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, რასაც დაკრედიტება დაუჭერს მხარს.

ზრდა შეიძლება შეაფერხოს გაზრდილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ და სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების ბოლოდროინდელმა დაძაბვამ.

წლიური ინფლაცია საქართველოში 2023 წლის შუა რიცხვებიდან 3%-ის მიზნობრივ დონეს (ამჟამად 1%-ზე დაბალი) დგას. სავარაუდოა, რომ 2024 წელს ინფლაცია მოკლევადიან პერსპექტივაში მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი დარჩება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იქნება მოსალოდნელზე დაბალი ფაქტობრივი ინფლაციისა და ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსით. თუმცა, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლა კვლავ შესამჩნევია.

გაზრდილი გაურკვევლობა ზრდის მაღალი ინფლაციის რისკს. გაზრდილი შიდა მოთხოვნა წარმოადგენს ინფლაციურ რისკს, რადგან დაკრედიტების სწრაფი ტემპი აჩქარებს მოხმარებას ინვესტიციებთან ერთად, რაც პოტენციურად ზეწოლას ახდენს ფასებზე, განსაკუთრებით ერთეული შრომის ღირებულების მუდმივი ზრდის ფონზე.

პოლიტიკურმა გაურკვევლობამ საარჩევნო ციკლის განმავლობაში შეიძლება კვლავ იქონიოს ზეწოლა ლარსა და საერთაშორისო რეზერვებზე.

<u>ლიზინგის ბაზრის მიმოხილვა</u>

ქართული ლიზინგის ბაზარი შედარებით მცირეა და მშპ-ის დაახლოებით 1%-ს შეადგენს, თუმცა მას აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების მსგავსად, ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. 2023 წლის ბოლოსთვის, საქართველოს ლიზინგის საერთო პორტფელი დაახლოებით 495 მილიონი ლარით შეფასდა, ხოლო ზრდა ძირითადად კორპორატიულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციებით იყო გამოწვეული. სს თიბისი ლიზინგმა ბაზრის დაახლოებით 85%-იანი წილით დომინანტური პოზიცია შეინარჩუნა, ხოლო BB ლიზინგი დაახლოებით 5%-იან წილს ფლობდა და მეორე ადგილზე იყო.

ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და წარმოება კვლავ ლიზინგის აქტიურ სექტორებად რჩება. მიუხედავად ამისა, განახლებადი ენერგიის სექტორი კაპიტალის მაღალი მოთხოვნის გამო ჯერ კიდევ განუვითარებელია. BB ლიზინგმა საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტებში პოტენციური შესაძლებლობები დასახა, რომლებიც მთავრობის კონტრაქტებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით უფრო მეტად ვითარდება.

ინდუსტრიის ანგარიშების უახლესი მონაცემების საფუძველზე, 2023 წელს საქართველოს ლიზინგის ბაზარმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა, რაც გლობალურ ტენდენციებსაც ესადაგება, სადაც ლიზინგი კვლავ პოპულარულ ფინანსურ ინსტრუმენტად რჩება. ისეთი კომპანიები, როგორიცაა თიბისი ლიზინგი, პორტფელი აქტიურად განავითარეს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში (MSME) და მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციებისა და პერსონალიზებული გადაწყვეტების წყალობით 28%-იანი ზრდა მოახერხეს. საერთო ჯამში, ლიზინგის სექტორის ზრდა საქართველოში უზრუნველყოფილია ეკონომიკური სტაბილურობით, სტრატეგიული ინვესტიციებით და პარტნიორობების გაფართოებით, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო მომარაგების ჯაჭვების ინტეგრაციას.

ადგილობრივ ავტოიმპორტიორებთან დადებული შეთანხმებების საშუალებით BB ლიზინგმა პოზიცია ავტოლიზინგის სექტორშიც გააძლიერა. კომპანიის მიერ ამოქმედებული სერვისები, რომლებიც ავტომობილების იმპორტს, რემონტსა და აშშ-ის აუქციონებიდან მათ ხელახლა გაყიდვას უკავშირდება, მის პორტფელის ზრდაზე დადებითად აისახა.

მიუხედავად ინფლაციური ზეწოლისა და ეკონომიკური გაურკვევლობისა, BB ლიზინგი 2024 წლისთვის პორტფელის 45-50%-იან ზრდას პროგნოზირებს. ამ ზრდის ძირითად სტრატეგიებს ბრენდის განვითარებაზე ფოკუსირება, ციფრული სერვისების გაუმჯობესება და ახალი ლიზინგის სეგმენტებში გაფართოება წარმოადგენს, რაც ლიზინგის გლობალურ ტენდენციებს შეესაბამება. 2023 წელს BB ლიზინგმა მოლაპარაკებები დაიწყო "ქართული ლიზინგის კომპანიის" კორპორატიული და საცალო პორტფელების შესაძენად, რაც 2024 წლის დასაწყისში დასრულდა. ამ სტრატეგიულმა ნაბიჯმა BB ლიზინგს ბაზრის წილის გაზრდის და კლიენტთა ბაზის დივერსიფიცირების საშუალება მისცა, რითაც ქართულ ლიზინგის ბაზარზე თავისი პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა.

2023 წლის შედეგები

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

BB ლიზინგმა ოპერირება დაიწყო 2019 წლის პირველ კვარტალში და მას შემდეგ ძლიერი ზრდა აჩვენა. 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების მოცულობა 32.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 21.8 მილიონი ლარის სოლიდური კაპიტალის ბაზას ემყარება, მათ შორის 4 მილიონი ლარის კაპიტალის ინექცია მისმა აქციონერმა, სს ბაზისბანკმა განახორციელა. ეს მუდმივი ფინანსური ვალდებულება ჰუალინგ ჯგუფის სტრატეგიული მხარდაჭერის და BB ლიზინგის მუდმივი გაფართოების პოტენციალის მიმართ ნდობის გამოხატულებაა.

საბაზრო პოზიცია და ზრდა

2023 წელს BB ლიზინგმა საქართველოს სალიზინგო ბაზარზე ძლიერი მეორე პოზიცია შეინარჩუნა. პორტფელის მუდმივი ზრდის შედეგად, კომპანიის ბაზრის წილი ოდნავ 5.2%-მდე გაიზარდა, რომელიც ახლა 26 მილიონ ლარს შეადგენს. ბაზრის წილის უმნიშვნელო ზრდა სტრატეგიული ინიციატივების წარმატებას აჩვენებს, რომლებიც კლიენტთა ჩართულობის გაძლიერებისა და ინდუსტრიაში BB ლიზინგის პოზიციის განმტკიცებისკენაა მიმართული.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის ბრუნვა სამშენებლო ტექნიკის ჩინელ მწარმოებლებთან, რაც ამ მწარმოებლებთან პარტნიორობის გაღრმავებას ასახავს. ეს გაფართოებული თანამშრომლობა BB ლიზინგს საშუალებას აძლევს ქართულ ბიზნესს წვდომა მისცეს მაღალი ხარისხის ჩინურ სამშენებლო აღჭურვილობაზე ხელსაყრელი პირობებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ამ სეგმენტში კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას.

პროდუქტების შედეგები და განვითარება

BB ლიზინგის სალიზინგო პროდუქტების მრავალფეროვანი პორტფელი აგრძელებს კლიენტების განვითარებადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. 2023 წელს მოთხოვნამ პროდუქციის ყველა სფეროში აჩვენა მცირე ზრდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტომობილების იმპორტის ლიზინგი. ავტოიმპორტის ლიზინგის პორტფელი გაფართოვდა პროდუქტის სტრუქტურის გაუმჯობესების გამო, მათ შორის კლიენტის სავალდებულო პირველი შენატანის 10%-მდე შემცირების გამო. ამ გაფართოებამ პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახადა კლიენტების ფართო სპექტრისთვის და ხელი შეუწყო პორტფელის ზრდას.

- **ავტოლიზინგი** BB ლიზინგი აგრძელებს ავტომობილების ლიზინგის კონკურენტუნარიანი ვარიანტების შეთავაზებას კერძო პირების და ბიზნესებისთვის, სადაც აქცენტი ეკოლოგიურ სატრანსპორტო გადაწყვეტებზე კეთდება. კომპანიის ლიზინგის მოქნილმა პირობებმა და გარემოსდაცვითი მდგრადობისადმი ერთგულებამ ხელი შეუწყო ამ პროდუქტის პოპულარობას. კლიენტებს შეუძლიათ ახალი ან მეორადი მანქანების ლიზინგით სარგებლობა ადგილობრივი ბაზრიდან ან მანქანების იმპორტი აშშ-დან გაუმჯობესებული პირობებით.
- **ძირითადი საშუალებების ლიზინგი** მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) ზრდის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად რჩება. BB ლიზინგი სთავაზობს გადახდის მოქნილ გრაფიკს, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს კლიენტის შემოსავლების ციკლზე ან ბიზნესის სეზონურობაზე, რაც მას მიმზიდველ ვარიანტად აქცევს იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ განაახლონ ან შეიძინონ მანქანები და აღჭურვილობა.
- **უკულიზინგი**: BB ლიზინგი განაგრძობს იურიდიული პირებისთვის უკულიზინგის გადაწყვეტების შეთავაზებას, მაქსიმალური ოდენობით 500 000 ლარი. ციფრული და პირდაპირი მარკეტინგის არხების საშუალებით კომპანია კვლავ ამ პროდუქტის გაზრდაზე ზრუნავს, რათა ფართო აუდიტორიას მისწვდეს.
- **APMA პროექტის ლიზინგი** ანუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგი: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან (APMA) თანამშრომლობა კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებს აგროლიზინგის პროდუქტების განვითარებაში, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებასა და გადამამუშავებელ საწარმოებს ემსახურება. ამ პროდუქტით BB ლიზინგს წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაციაში.
- **ლიზინგი პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში:** პროგრამა Enterprise in Georgia-სთან თანამშრომლობა კვლავ უაღრესად მნიშვნელოვანია მეწარმეობისა და ბიზნესის გაფართოების მხარდასაჭერად. BB ლიზინგი გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქნილი სალიზინგო გადაწყვეტების მიწოდებაში, რათა ბიზნესს დაეხმაროს გაფართოებაში, ხელახლა აღჭურვაში ან მოდერნიზაციაში.

ბაზარი და ეკონომიკური გარემო

საქართველოში ლიზინგის ბაზარი, რომელიც გავლენას ახდენს უფრო ფართო ეკონომიკურ პირობებზე, როგორიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ზომიერი ზრდა, განაგრძობს დაფინანსების მოქნილი გადაწყვეტების შეთავაზებას. BB ლიზინგის სტრატეგიული პოზიციონირება, ბაზისბანკის ძლიერ მხარდაჭერასთან და ჰუალინგ ჯგუფის საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად, კომპანიას საშუალებას აძლევს მდგრადი ზრდის შენარჩუნებით გაუმკლავდეს ეკონომიკურ გამოწვევებს.

პარტნიორობა და გეოგრაფიული დაფარვა

BB ლიზინგმა გააძლიერა პარტნიორობა ძირითად საერთაშორისო მწარმოებლებთან, განსაკუთრებით სამშენებლო ტექნიკის ჩინელი მწარმოებლების რეგიონალურ პარტნიორებთან. ამ გაღრმავებულმა თანამშრომლობამ გამოიწვია ბრუნვის გაზრდა და ქართული ბიზნესი უზრუნველყო მაღალი ხარისხის აღჭურვილობაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობით, რაც BB ლიზინგს იმ საწარმოების სანდო პარტნიორად აქცევს, რომლებიც თავიანთი ოპერაციების მოდერნიზებას ცდილობენ.

კომპანია აგრძელებს ფართო გეოგრაფიული დაფარვის შენარჩუნებას, ფოკუსირებულია ძირითად ქალაქებზე, როგორიცაა თბილისი, რუსთავი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და მათი მიმდებარე ტერიტორიები.

ტექნოლოგია და ინოვაცია

BB ლიზინგის ციფრულ ტრანსფორმაციაზე ფოკუსირება გაგრძელდება 2023 წელს, აქცენტი კეთდება ციფრული მარკეტინგის არხების გამოყენებაზე, ვებსაიტის ფუნქციონალის გაძლიერებაზე და პირდაპირი მარკეტინგის საშუალებით კლიენტთა ჩართულობის გაუმჯობესებაზე. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს სალიზინგო გადაწყვეტების მეტი ხელმისაწვდომობის და ყველა კლიენტისთვის გამოყენენების მეტი სიიოლის უზრუნველყოფას.

სამომავლო ხედვა

BB ლიზინგის მომავალი წლების ზრდის სტრატეგია ორიენტირებული რჩება ბაზრის ლიდერთან არსებული სიცარიელის შემცირებაზე. ბაზისბანკის და ჰუალინგ ჯგუფის მყარი მხარდაჭერით, კომპანია გააგრძელებს პარტნიორობისა და პროდუქტის გაუმჯობესებას, რათა შეინარჩუნოს ზრდის კურსი.

ფინანსური შედეგები

2023 წელს BB ლიზინგმა განაგრძო ზრდის მყარი კურსით სვლა და დინამიური ბიზნეს გარემოს მიუხედავად, ბაზარზე თავისი პოზიცია კიდევ უფრო გააძლიერა. კომპანია კვლავ ფინანსურად ძლიერია და ძალას ავლენს როგორც სტაბილურობის, ისე გაფართოების გზით. BB ლიზინგის აქტივები 32.9 მლნ ლარამდე გაიზარდა (2022 წლის 22.8 მლნ ლარიდან), ფინანსური ლიზინგის პორტფელში შესამჩნევი 49.6%-იანი (წ/წ) ზრდა დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რომელმაც 26.2 მლნ ლარს მიაღწია (2022წ: 17.5 მილიონი ლარი). ეს შედეგი ხაზს უსვამს ზრდისა და საოპერაციო სრულყოფილებისადმი კომპანიის მდგრად ერთგულებას.

BB ლიზინგი, როგორც ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანია, განუხრელად ასრულებს ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებს და მის მომსახურებას სალიზინგო პროდუქტების გაფართოებული ასორტიმენტის მეშვეობით ავსებს. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომით, კომპანია კვლავ გრძელვადიან პარტნიორობასა და გამჭვირვალობაზე აკეთებს აქცენტს, რაც პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრაქტიკის საფუძველია. BB ლიზინგის წვლილი ჯგუფის დაბეგვრამდე მოგებაში 2.7 მილიონი ლარი იყო, რაც 33.6% წლიურ ზრდას წარმოადგენს და ჯგუფისთვის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

შემოსავლებისა და მოგების ზრდა

BB ლიზინგის შემოსავალს ძირითადად კვლავ მისი სალიზინგო ოპერაციები განაპირობებდა, სადაც ლიზინგიდან ფინანსურმა შემოსავალმა 5.9 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2022 წლის 3.7 მილიონი ლარიდან შთამბეჭდავი 58.5% წლიური ზრდაა. სხვა შემოსავლების ნაკადები მოიცავდა 337 ათას ლარს საბანკო დეპოზიტების პროცენტიდან, ხოლო სადაზღვევო

კომისიებიდან და სხვა საოპერაციო შემოსავლებიდან შემოსავალმა 205 ათასი ლარი შეადგინა. შემოსავლის ეს მრავალფეროვანი ნაზავი კომპანიის პორტფელში შემოსავლის მაქსიმიზაციაზე ფოკუსირებას ასახავს.

რისკების მართვა და აქტივების ხარისხი

კომპანიამ დიდი ყურადღება გაამახვილა რისკების მართვაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი წლის განმავლობაში შეადგენდა 234 ათას ლარს და ოდნავ აღემატებოდა 2022 წლის დონეს (197 ათასი ლარი), რაც საკრედიტო რისკის მართვის მიმართ გონივრულ მიდგომას ასახავს. BB ლიზინგი აგრძელებს მჭიდრო მონიტორინგს და უმოქმედო აქტივების სწრაფად ამოღებას. 2023 წელს, შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ზღვრულად გაიზარდა 1.4 მილიონ ლარამდე (2022 წლის 1.3 მილიონი ლარიდან); ამოღების ეფექტურმა პროცედურებმა მინიმუმამდე დაიყვანა ნებისმიერი გახანგრძლივებული გავლენა ბალანსზე.

მომგებიანობა და კაპიტალის ზრდა

2023 წელს BB ლიზინგის წმინდა მოგება 2,69 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 2022 წლის 2,01 მილიონი ლარიდან 34%-იან ზრდას ასახავს. კომპანიის ამონაგები საშუალო კაპიტალზე იყო 14,3%, რაც ხაზს უსვამს მისი კაპიტალის გენერირების შესაძლებლობებს. 4 მილიონი ლარის სააქციო კაპიტალის ინექციამ მთლიანი კაპიტალი 21.8 მილიონ ლარამდე გაზარდა, რაც 2022 წელს 15.1 მილიონი ლარი იყო.

ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის ვალდებულებები 11 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც 2022 წლის 7,7 მლნ ლარიდან 43%-იანი ზრდაა და კომპანიის გაზრდილი სალიზინგო პორტფელის დასაფინანსებლად სესხების 45%-იანი ზრდითაა გამოწვეული. ამ დაფინანსების უმეტესი ნაწილი ქართული ბანკებიდან მოდის, სესხები კომპანიის მთლიანი ვალდებულებების 95%-ს აფინანსებს. ამ მძლავრმა დაფინანსებამ BB ლიზინგს საშუალება მისცა გაეგრძელებინა თავისი ოპერაციების მასშტაბირება და ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ბაზრის პირობები და სტრატეგიული ფოკუსი

ლიზინგის მთლიანმა ბაზარმა საქართველოში 2023 წელს მდგრადობა აჩვენა, რასაც მხარს გაუჭანსაღებული ეკონომიკა უჭერდა. საავტომობილო და სამშენებლო ტექნიკის ლიზინგის მოთხოვნა კვლავ მაღალი იყო, რაც გამოწვეული იყო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გაზრდით და მზარდი კერძო სექტორით. კომპანიის ავტოლიზინგის პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რაც გამოწვეულია პროდუქტის გაუმჯობესებით, როგორიცაა კლიენტის სავალდებულო საწყისი შენატანის მოთხოვნის შემცირება.

BB ლიზინგის 2024 წლის სტრატეგიული მიზანია შეინარჩუნოს პორტფელის სტაბილურობა მდგრადი ზრდის დროს. კომპანია მიზნად ისახავს ამას მიაღწიოს კლიენტების ფრთხილად შერჩევით, პროდუქტის გაუმჯობესებული შეთავაზებებით და რისკების მართვაზე მუდმივი ფოკუსირებით.

კორპორაციული მმართველობა

კომპანია BB ლიზინგის მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. ის წარმართავს აქციონერთა საერთო კრებას. კრება იღებს კომპანიისთვის ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა: წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, აქციების ბაზარზე გატანა, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და მისი ბიუჯეტის დამტკიცება, წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება, წმინდა მოგების განაწილება და გამოყენება, კაპიტალის ზრდა/შემცირება.

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის პოლიტიკას, აძლევს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს მის დირექტორატს. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. იგი ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, უზრუნველყოფს საიმედო და ეფექტური შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით, მაგრამ მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორს და მისი მოადგილეებს და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას, ირჩევს კომპანიის აუდიტორს. საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები. საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის შესახებ მოახსენებს საერთო კრებას.

დირექტორატი საქმიანობას წარმართავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული საქმიანობის პოლიტიკის შესაბამისად, ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორის (რომელიც ხელმძღვანელობს დირექტორატის მუშაობას) და და გენერალური დირექტორის ორი მოადგილისგან - კომერციული და ფინანსების მიმართულებებით. გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილეების ხელმძღვანელობის და სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს მათი უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღების და კომპანიის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის უფლებას. მათ კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ რომელიმე მათგანი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია კომპანიას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. დირექტორატი კომპანიის წინაშე პასუხს აგებს სოლიდარულად და ინდივიდუალურად, მთელი თავისი აქტივებით, პირდაპირ და უშუალოდ.

BB ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

მი ზაიქი - თავმჯდომარე

სს “BB ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობის პარალელურად მი ზაიქი არის სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე და „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო. 2011 წლიდან დღემდე მი ზაიქი სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო.

დავით ცაავა - წევრი

BB ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2017 წლის დეკემბრიდან. ამავე პერიოდიდან დღემდე ბაზისბანკის სხვა შვილობილი კომპანიის: „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018: ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დავით ცაავას საფინანსო სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა 2004 წელს საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი, 2008 წლამდე, კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2010 წლებში კორპორაციული მიმართულების დირექტორად დაინიშნა, 2010-2011 წლებში იყო გენერალური დირექტორი.

დავით ცაავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმის და ფინანსების ბაკალავრის ხარისხი მიიღო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

ლი ხვეი - წევრი

სს “BB ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის პარალელურად ლი ხვეი არის სს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით და ბაზისბანკის სხვა შვილობილი კომპანიის: „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
2015-2018: სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბუღალტრის და საკრედიტო ოფიცრის პოზიციებზე. აქვს მუშაობის და მართვის მდიდარი გამოცდილება და კარგად იცნობს საბანკო ბიზნესს. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო.

ლი ხვეის ჩინეთის ფინანსური უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს.

BB ლიზინგის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

კონსტანტინე სულამანიძე, გენერალური დირექტორი

სს“BB ლიზინგის“ და სს „BB დაზღვევის“ გენერალური დირექტორი. კონსტანტინე სულამანიძეს საბანკო, სადაზღვევო და ლიზინგის სფეროებში, ასევე ფინანსური სექტორის საზედამხედველო სააგენტოებში მმართველობით პოზიციებზე მუშაობის 22 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. 2018 წლიდან დღემდე არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრიც. 2016-2018 წლებში ხელმძღვანელობდა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს. 2008-2014 წლებში იყო „პროგრეს ბანკის“ გენერალური დირექტორი.

2005-2008 წლებში საერთაშორისო საბანკო ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის“ წევრ „ბანკ რესპუბლიკაში“ მუშაობდა უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის იყო დაკრედიტების მიმართულების დირექტორი. 2002-2005 წლებში „ვითიბი ბანკში“ სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობდა. კონსტანტინე სულამანიძე ფლობს დოქტორის ხარისხს ფინანსებსა და საბანკო საქმეში. 2015 წელს ბიზნესის ადმინისტრირების MBA ხარისხი ჰალტის საერთაშორისო უნივერსიტეტში (Hult International Business School) (ბოსტონი, აშშ; ლონდონი, გაერთიანებული სამეფო) მიიღო.

ლია ასლანიკაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე

2018 წლის დეკემბრიდან დღემდე: “BB ლიზინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 2017-2018 წლებში: “BB ლიზინგის“ გენერალური დირექტორი. ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2012 წლიდან დღემდე. 2017 წლიდან 2023 წლის მარტამდე: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიის, „BB დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით. ლია ასლანიკაშვილს საბანკო სექტორში მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება აქვს. 1999-2002 წლებში ბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერი იყო, 2002-2005 წლებში, ამავე დეპარტამენტს ხელმძღვანებლობდა. 2005-2007 წლებში ამგაროშსწორების დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში, 2007-2008 წლებში კი ხაზინის დეპარტამენტის უფროსი გახდა. 2008-2012 წლებში ის ფინანსური დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. ლია ასლანიკაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული.

მალხაზ ხარჩილავა - გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციული მიმართულებით

„BB ლიზინგის“ დირექტორის მოადგილეობამდე (2018 წლის დეკემბრიდან) მალხაზ ხარჩილავა ბაზისბანკის ბიზნესის დეპარტამენტში აგრობიზნესის ჯგუფს ხელმძღვანელობდა (2017-2018). 2015-2016 წლებში ბაზისბანკის მარკეტინგის და პროდუქტების განვითარების მენეჯერი იყო და აგრომიმართულებას უძღვებოდა. 2007 წლიდან 2014 წლის ჩათვლთ მალხაზ ხარჩილავა პროკრედიტ ბანკში საკრედიტო, მარკეტინგის და აგრობიზნესის სფეროებში მუშაობდა. მას საბანკო სფეროში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს. მალხაზ ხარჩილავამ ეკონომიკის თეორიაში ბაკალავრის ხარისხი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, გამოყენებით ფსიქოლოგიაში მაგისტრის ხარისხი კი -საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA).

რისკის პროფილი და რისკების მართვის სისტემა


BB ლიზინგი რისკების მართვას სპეციალური კომიტეტის მეშვეობით არეგულირებს. ლიზინგის კომიტეტი თავის საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის შიდა სამართლებრივი აქტებით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისად და დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ახორციელებს. კომიტეტი საკრედიტო განაცხადზე გადაწყვეტილებას იღებს ორ დონეზე. კომიტეტის დონეებია: სალიზინგო კომპანიის დირექტორატი (გასაცემ თანხაზე ≤ 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით) და სამეთვალყურეო საბჭო (გასაცემ თანხაზე 100 000< აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით). კომიტეტს მოეთხოვება, სათანადოდ დაასაბუთოს არასტანდარტული ფასი და გამონაკლისი პირობები. ფასის შემცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომერციული მარჟის მომგებიანობის შენარჩუნების ფარგლებში. კომიტეტი ასევე ვალდებულია, განახორციელოს საკრედიტო რისკების (სასეხო პორტფელის სტრუქტურა, კონცენტრაციის და სესხების ვადაგადაცილების ანალიზი, დაწესებული ლიმიტების დაცვის კონტროლი და სხვა) შეფასება. საკრედიტო კომიტეტის თითოეულ დონეზე გადაწყვეტილება

მიიღება ამ კომიტეტის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის იმ ჯგუფის სასარგებლოდ, რომელსაც ეთანხმება გენერალური დირექტორი. ლიზინგის საგანი უმეტეს შემთხვევაში ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას. ეს ამცირებს დაზიანების, დაკარგვის, გაუჩინარების,არასამართლებრივი მოპყრობის რისკებს. ლიზინგის საგნის შეფასება ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკებისგან დაზღვევის მიზნით. შეფასების დროს სალიზინგო საგნის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სალიზინგო ინვესტიციის თანხა არ სცდებოდეს საგნის სალიკვიდაციო ღირებულებას. გონივრული თანამონაწილეობა რისკების დაზღვევის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან თანამონაწილეობით რეგულირდება სალიზინგო საგნის საბოლოო რისკი. გაცემის შემდგომი მონიტორინგი მნიშვნელოვანი პროცესია და ხორციელდება დადგენილ ვადებში, რათა სალიზინგო საგნის მდგომარეობა სათანადოდ იქნას შეფასებული. კომპანია „BB დაზღვევა“, როგორც BB ჰოლდინგის წევრი, სალიზინგო საგნის ხელსაყრელ პირობებში დაზღვევის გარანტორია. კლიენტებისთვის მაქსიმალური სარგებელი მიიღწევა ფინანსური მომსახურების სრული სპექტრის ერთი ჯგუფისგან მიღებით.

სალიზინგო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მონიტორინგი მოიცავს ლიზინგის გაცემის შემდეგ ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის კონტროლს და ვალდებულების დაფარვის პროცესზე დაკვირვებას, ასევე, კლიენტის მდგომარეობის პერიოდულ შესწავლას, შესაძლო პრობლემების პრევენციის ან/და მათ ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით. სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის მონიტორინგს ახორციელებს აქტივების მართვის მენეჯერი სტანდარტულად 3 თვეში ერთხელ. შინაარსობრივად მონიტორინგი შესაძლოა დაიყოს სამ ნაწილად: ა) ვიზუალური მონიტორინგი (ფოტოსურათების გადაღება და მისი ფაილინგი რომელზეც პასუხისმგებელია აქტივების მართვის მენეჯერი); ბ) ტექნიკურ-ფუნქციური დათვალიერება (სალიზინგო საგნის ექსპლუატაციის პირობების მონიტორინგი და სპეციალური ფორმის შევსება; გ) დაბალრისკიანი აქტივების გეგმიური დისტანციური მონიტორინგი; რაც სიძლიერის გამომხატველია.

რისკების მართვის მძლავრი მიდგომის შედეგად, ჩვენ წარმატებით შევქმენით მყარი პორტფელი 0% რისკის ქვეშ (PAR) 2023 წლის ბოლოსთვის, რაც ხაზს უსვამს ჩვენს ძლიერებასა და ლიზინგის პასუხისმგებლიანი პრაქტიკის მიმართ ვალდებულებას.

BB ლიზინგის ორგანიზაციული სტრუქტურა


სამეთვალყურეო
აუდიტი
გენერალური
კომერციული
მარკეტინგი და
პროდუქტების
განვითარება
ავტოლიზინგის
ანალიტიკის
ბიზნეს ლიზინგის
ანალიტიკის
ქოლცენტრი
რისკების
რისკები
იურიდიული
სამსახური
აქტივების
მართვის ჯგუფი
ადმინისტრაციის
ჯგუფი
საინფორმაციო
ფინანსური
ბუღალტრული
აღრიცხვის ჯგუფი
ადამიანური

სს BB ლიზინგი

2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტით
მომზადებული ფინანსური
ანგარიშები და
დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

სს BB ლიზინგი

სარჩევი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 7
კაპიტალის ცვლილების ანგარიში 8

ფინანსური ანგარიშების განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია 16
2. აღრიცხვის საფუძველი 17
3. კრიტიკული საღრიცხვო მსჯელობა და წინასწარი შეფასების გაურკვევლობის მთავარი წყაროები 18
4. ინფორმაცია მთავარი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ 19
5. ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა 31
6. ახალი ბუღალტრული განცხადებები 33
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 37
8. ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები 39
9. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები 48
10. ავანსები 48
11. საგადასახადო ვალდებულებები 48
12. სხვა აქტივები 50
13. ნასესხები სახსრები 50
14. ვაჭრობა და სხვა გადასახდელები 52
15. სააქციო კაპიტალი 52
16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 53
17. რისკების მართვა 54
18. პირობითი ვალდებულებები 67
19. სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებები 67
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეთა შორის 70
21. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 71

Deloitte.

სს BB ლიზინგი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება

სს BB ლიზინგის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სს BB ლიზინგის ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს BB ლიზინგის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

> სს BB ლიზინგის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სს BB ლიზინგის ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარადგენს სს BB ლიზინგის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მოგება-ზარალის ანგარიშს, სრული შემოსავლის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს („ფინანსური ანგარიშები“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შედარებადი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც IFRS სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ საქმიანობაზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასება.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შექმნა და განხორციელება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისი იმისთვის, რომ აჩვენოს და ახსნას კომპანიის ტრანზაქციები და გონივრული სიზუსტით ნებისმიერ დროს გაამჟღავნოს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და რომელიც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს, რომ ფინანსური ანგარიშები შეესაბამება IFRS-ს.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების დასაცავად ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც მას გონივრულად აქვს ხელმისაწვდომი; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის მენეჯმენტის საბჭოს მიერ 2024 წლის 22 ოქტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე გენერალური დირექტორი თბილისი	ლია ასლანიკაშვილი ფინანსური დირექტორი თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს BB ლიზინგის აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

აუდიტი ჩაუტარდა სს BB ლიზინგის („კომპანია")ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით

დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRSs") მიხედვით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით". პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან. ჩვენ ასევე შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური მოვალეობები. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.

საკითხის ხაზგასმა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებაზე, რომელიც აღწერს შესაბამისი მაჩვენებლების ხელახალ განცხადებას და რეკლასიფიკაციას. ჩვენი დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა.

მნიშვნელოვანი საკითხი

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ფინანსური ანგარიშგების მე-**Error! Reference source not found.** განმარტებას, რომელიც აღწერს შესაბამისი მაჩვენებლების ხელახალ ჩამოყალიბებას და რეკლასიფიკაციას. ჩვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით შეცვლილი არ არის.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაციაში შედის მმართველობითი ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მაგრამ არ შედის ფინანსური ანგარიშები და მათ შესახებ აუდიტის დასკვნა. მენეჯმენტის ანგარიში სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ფინანსური ანგარიშების ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტს, ჩვენი პასუხისმგებლობაა სხვა ინფორმაციის გაცნობა და ამ დროს იმაზე დაფიქრება, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშებთან ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან ან ხომ არ არის სხვაგვარად არსებითად არასწორად განცხადებული. თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოდან გამომდინარე დავასკვნით, რომ ადგილი აქვს ამ ან სხვა ინფორმაციის არსებითად არასწორად განცხადებას, ჩვენი მოვალეობაა ამ ფაქტის შესახებ განვაცხადოთ.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ის ასევე პასუხისმგებელია ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებშიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშებში მთლიანობაში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.

- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, მუშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება. თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

ჯამალ ჰასანოვი
შპს „დელოიტ და ტუშის“ სახელით

2024 წლის 22 ოქტემბერი
თბილისი, საქართველო

Deloitte.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	განმარტება	31 დეკ, 2023	31 December, 2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	Error! Reference source not found.	4,110	3,072
ფინ ლიზინგიდან მისაღ შემოსავლები	Error! Reference source not found.	26,247	17,549
შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები	Error! Reference source not found.	1,408	1,327
ავანსები	10	700	572
შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები		107	63
გამოყ უფლ მქონე აქტივები		9	17
სხვა აქტივები	Error! Reference source not found.	279	282
მთლიანი აქტივები		**32,860**	**22,882**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	Error! Reference source not found.	10,505	7,245
ვაჭრობა და სხვა გადასახდელები	Error! Reference source not found.	301	219
სალიზინგო ვალდებულება		11	20
მიღებული ავანსები		10	15
დღგ ვალდებულება	Error! Reference source not found.	87	23
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	Error! Reference source not found.	115	219
მთლიანი ვალდებულებები		**11,029**	**7,741**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	Error! Reference source not found.	15,000	11,000
გაუნაწილებელი მოგება		6,831	4,141
მთლიანი კაპიტალი		**21,831**	**15,141**

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**32,860**	**22,882**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

სს **BB** ლიზინგი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში **2023** წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	განმ	**2023**	**2022**
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან		5,877	3,709
რეზერვი ლიზინგში წმინდა ინვესიციებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	**ERROR! REFERENCE SOURCE NOT FOUND.**	(36)	(30)
წმინდა სალიზინგო სემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		**5,841**	3,679
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		337	466
სხვა შემოსავალი		205	142
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**ERROR! REFERENCE SOURCE NOT FOUND.**	(3,007)	(1,972)
საპროცენტო ხარჯი		(743)	(308)
რეზერვი სხვა ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	**ERROR! REFERENCE SOURCE NOT FOUND.**	57	8
მოგება დაბეგვრამდე		**2,690**	2,015
მოგების გადასახადი		-	(5)
წლის მოგება		**2,690**	**2,010**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი სულ		**2,690**	**2,010**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

სს **BB** ლიზინგი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში **2023** წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	განმარტება	საქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარს		**11,000**	**2,131**	**13,131**
წლის სრული შემოსავალი სულ		-	2,010	2,010
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს		**11,000**	**4,141**	**15,141**
წლის სრული შემოსავალი სულ		-	2,690	2,690
საქციო კაპიტალის გამოშვება	**Error! Reference source not found.**	4,000	-	4,000
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს		**15,000**	**6,831**	**21,831**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი
თბილისი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი
თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

სს **BB** ლიზინგი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში **2023** წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი	განმ	**2023**	**2022**
ფულ სახსრები საოპ საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,690	2,015
არაფულადი კორექტირებები:			
- რეზერვი ფინ ლიზ მისაღ შემოს-დან მოსალ საკრედ	Error!	36	30
- რეზერვის ამობრუნება სხვა ფინ აქტ-დან მოსალ საკრედ	Error!	(57)	(8)
ზარალისთვის	Reference		
- არაფინანსური აქტივების გაუფასურება		361	-
- ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		26	24
- დანაკარგები ლიზინგის მოდიფიკაც და შეწყ		-	1
- უცხ ვალ (მოგება)/ზარალი		18	(49)
- ბანკებში რიცხ დეპოზ-დან მისაღ შემოს წმ ცვლ		-	105
- საპროც გადასახდ წმინდა ცვლილება		48	15
საოპ ფულ სახს მოძრ სამუშ კაპიტალში ცვლილებებამდე		**3,122**	**2,133**
ცვლილებები საოპ აქტივებსა და ვალდებულებებში			
ცვლილება ფინანსური ლიზინგიდან მისაღებ	Error!	(8,660)	(9,682)
ცვლილება შეწყვეტ ლიზ დასაკ აქტივებში	Error!	(423)	(395)
ცვლილება ავანსებში	10	(128)	273
ცვლილება სხვა აქტივებში	Error!	(18)	(268)
ცვლილება ვაჭრობასა და სხვა გადასახდელებში	Error!	84	34
ცვლილება საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში	Error!	(41)	501
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		(4)	(1)
ოპერაციებიდან მიღებული ფული		**(6,068)**	**(7,405)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(5)
წმინდა ფულის გადინება საოპ საქმიანობიდან		**(6,068)**	**(7,410)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმ			
PPE და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(61)	(10)
ბანკებში განთავსებული დეპოზიტების გამოთხოვა		-	3,200
წმინდა ფული (გადინება)/შემოდინება საინვ საქმ		(61)	3,190
ფულადი სახსრების მოძრაობა დაფინანს საქმ			
საკუთრ კაპიტალის გამოშვება		4,000	-
ნასესხები სახსრებიდან მიღებული თანხები	Error!	12,159	14,611
ნასესხები სახსრების ძირითადი თანხ დაფარვები	Error!	(9,014)	(8,968)
საიჯარო ვალდ ძირითადი თანხის დაფარვები		(9)	(8)
წმინდა ფულადი სახსრები დაფინანსების საქმიანობიდან		**7,136**	**5,635**
უცხ ვალუტის კურსის ცვლილებების ეფექტი		(28)	(30)
მოსალ საკრედიტო დანაკარგების ცვლილებების ეფექტი		59	(25)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,038	1,360
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	Error!	3,072	1,712
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	Error!	4,110	3,072

არაფულადი ცვლილებები რომელიც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში არაა შეტანილი:

ათასი ლარი	**2023**	**2022**
ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები რომლებიც განეტოვებულია შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივებით	2,645	1,428

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 ოქტემბერს.

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
ფინანსური დირექტორი

თბილისი	თბილისი

9-56 გვერდებზე მოცემული განმარტებები ამ ფინანსური ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და ოპერაციები. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, სს BB ლიზინგისათვის ("კომპანია").

კომპანია „BB ლიზინგი" დაარსდა 2017 წლის 27 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრაციის ორგანოა საქართველოს შემოსავლების სამსახური. საიდენტიფიკაციო კოდი 406233534. კომპანია სააქციო საზოგადოებაა და საქართველოს რეგულაციების მიხედვით დაფუძნდა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო სს ბაზისბანკი, რომელიც საქართველოში დაარსდა და საბანკო ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან („სებ") 1993 წელს მიიღო. სს ბაზისბანკი სამ მთავარ შვილობილ კომპანიას ფლობს: სს BB ლიზინგს, სს BB დაზღვევას (წარსულში „ჰუალინგ დაზღვევა"), და Basis Asset Management Holding LLC-ს, თითოეულში ის 100% წილის მფლობელია, ერთად კი „ჯგუფად" მოიხსენიება.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო აქციონერები იყვნენ Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd, რომელიც დაფუძნებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (2023: 91.548%; 2022: 92.770%), ბატონი მი ზაიქი: 2023: 6.461; 2022: 6,547%) და სხვა მცირე წილის მფლობელი აქციონერები (2023: 1,991%; 2022: 0,682%). მშობელ კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს ბატონი მი ენხვა (ჩინეთი).

მთავარი საქმიანობა. კომპანია დაარსდა სალიზინგო საქმიანობის წარმოებისთვის როგორც საცალო, ისე საქართველოს სამეწარმეო პირებისთვის. 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის სააქციო კაპიტალი 15,000 ათასი ლარი იყო (2022: 11,000 ათასი ლარი). კომპანია კლიენტებს ფინანსური ლიზინგის შემდეგ პროდუქტებს სთავაზობს:

- ავტოლიზინგი
- ძირითადი საშუალებების ლიზინგი (მოწყობილობა, ტექნიკა და ა.შ.)
- შეღავათიანი აგროლიზინგი (APMA)
- ლიზინგი „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში
- უკულიზინგი

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1.

საქართველოს ბიზნესგარემო. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, განვითარებად ბაზარზე დინამიური და განვითარებადი ლანდშაფტით. ქვეყანაში არსებული სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემები ხშირად განახლდება და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც ბიზნესისთვის წარმოადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად გამოწვეული გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ მოულოდნელი გამძლეობა აჩვენა და მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. რეალური მშპ გაიზარდა 11.0%-ით, რასაც მხარს კაპიტალის ძლიერი შემოდინება და შიდა მოთხოვნის მატება უჭერდა. 2023 წლისთვის, ზრდის ტემპი ზომიერი გახდა, მაგრამ მყარი დარჩა, საშუალოდ 7,5%-ი, რაც გლობალური სასაქონლო ფასების ცვალებადობის გავლენამ გამოიწვია, და გავლენა მოახდინა სავაჭრო საქმიანობაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე და იმპორტზე. მიუხედავად ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მდგრადი იყო და ისეთი სექტორები, როგორიცაა ტურიზმი და ფულადი გზავნილები, კვლავ კარგად მუშაობდა, მაშინაც კი, როცა ადგილი ჰქონდა ისეთ დროებით გავლენას, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებული მიგრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ძალას ეკონომიკური შემოდინების ფართო სპექტრიდან იძენს, ის მაინც მგრძნობიარეა რეგიონულ და გლობალურ გარემოში ცვლილებების მიმართ. გეოპოლიტიკურ დაძაბულობას, განსაკუთრებით მას, რომელიც რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს უკავშირდება, შეიძლება ხანგრძლივი გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. გარდა ამისა, რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ კონფლიქტის რეგიონებში სამხედრო აქტივობის განახლების რისკმა, ისევე როგორც გეოპოლიტიკურმა ძვრებმა სხვა რეგიონებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ვალუტის ცვალებადობის, ნავთობის ფასების ზრდისა და მიგრაციის მოდელების შესაძლო ცვლილებების ფონზე.

მიგრაციამ მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოს 2023 წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუმცა, სიტუაციის შებრუნებამ ან მნიშვნელოვანმა გადინებამ შეიძლება შეასუსტოს ეკონომიკური იმპულსი და ბიზნესს გამოწვევები შეუქმნას. ამის საპირისპიროდ, კონფლიქტების მშვიდობიანმა მოგვარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკის აღდგენას, რაც გამოიწვევს ზრდას როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში, რაც დადებითად იმოქმედებს საქართველოზე. თუმცა, ეს სცენარები უფრო ფართო გლობალურ მოვლენებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკამ ბოლო პერიოდის გლობალური გამოწვევების წინაშე ადაპტაციის უნარი აჩვენა, შემდგომი გარე შოკების, მათ შორის გეოპოლიტიკური მოვლენების, მიწოდების ჯაჭვის შეფერხების ან ჯანმრთელობის პოტენციური კრიზისების შესაძლებლობა მაინც რჩება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბიზნეს კლიმატზე და კომპანიის ოპერაციებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) განსაზღვრისას კომპანია ეყრდნობა მაკროეკონომიკური პირობების კარგად მხარდაჭერილ პროგნოზებს. თუმცა, როგორც ნებისმიერი მომავალი პროგნოზის შემთხვევაში, ეს შეფასებები ექვემდებარება დამახასიათებელ გაურკვევლობას და ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან.

2. აღრიცხვის საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") მიხედვით, და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია განმარტებაში **Error! Reference source not found.**.

ფუნქციონირებადი საწარმო. ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროს, მენეჯმენტს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ კომპანიას ადეკვატური რესურსები აქვს საიმისოდ, რომ ფუნქციონირება გააგრძელოს უახლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და პროგნოზირებად მომავალში მუშაობას გააგრძელებს.

ფუნქციური და საპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი("GEL"), რომელიც კომპანიის ფუნქციური ვალუტაა, ასევე არის ის ვალუტა, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო მსჯელობა და წინასწარი შეფასების გაურკვევლობის მთავარი წყაროები

ფინანსური ანგარიშების IFRS-ის მიხედვით მომზადება მენეჯმენტისგან მსჯელობას, წინასწარი შეფასებების და დაშვებების გაკეთებას მოითხოვს, რაც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის და ხარჯების განცხადებულ ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ წინასწარი შეფასებებისგან.

წინასწარი შეფასებები და საფუძვლად გამოყენებული დაშვებები მუდმივად განიხილება. სააღრიცხვო წინასწარი შეფასებების გადასინჯვა აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც ეს შეფასებები გადაისინჯა და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებზეც გავლენა მოახდინა.

განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

ECL გაანგარიშება. ECL-ების შეფასება მნიშვნელოვანი პროგნოზია, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის დადგენას, მოდელების და მონაცემების გამოყენებას. ECL მეთოდოლოგია დეტალურად მოცემულია განმარტება **Error! Reference source not found.**-ში. საკრედიტო ზარალის რეზერვზე დიდი ზეგავლენა შემდეგ კომპონენტებს აქვს: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, დეფოლტის ალბათობა, (PD) რისკი დეფოლტის შემთხვევაში (EAD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), ასევე მაკროეკონომიკური სცენარის მოდელებს. კომპანია რეგულარულად გადასინჯავს და ამტკიცებს მოდელებს და მათში გამოყენებულ კომპონენტებს, რათა შეამციროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებსა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის განსხვავება.

თუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ყველა ფინანსური ლიზინგიდან მისაღებ შემოსავალზე შეფასდება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ით (ანუ მათ შორის, რომლებიც ამჟამად 1 ეტაპზეა, 12-თვიანი ECL-ით გაიზომება), მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი 86 ათასი ლარით უფრო მაღალი იქნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (2022 წელი: 183 ათასი ლარით მეტი).

საპროგნოზო მაკროეკონომიკურ დაშვებათა რიგის მინიჭებული წონის 10%-ით ცვლილება უშუალო დაღმავალი მიმართულებით გამოიწვევს ECL-ის ზრდას 3 ათასი ლარით 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წლის 31 დეკემბერი: 4 ათასი ლარით). შესაბამისი ცვლილება აღმავალი დაშვებებისკენ გამოიწვევს ECL-ის შემცირებას 3 ათასი ლარით 2023 წლის 31 დეკემბერს (2022 წელი: 4 ათასი ლარით).

PD-ის შეფასებების 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვების ზრდას ან შემცირებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 20 ათასი ლარით (2022 წლის 31 დეკემბერი: 15 ათასი ლარი).

LGD-ის შეფასებების 10%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვების ზრდას ან შემცირებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 23 ათასი ლარით (2022 წლის 31 დეკემბერი: 19 ათასი ლარი).

4. ინფორმაცია მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტები – გაანგარიშების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივ ტრანზაქციაში გაანგარიშების დღეს. სამართლიანი ღირებულების ყველაზე უკეთესი მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე მისი ფასია. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომელიც საკმარისია ფასწარმოქმნის შესახებ მუდმივად ინფორმაციის მიღებისთვის. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ითვლება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის და ბიზნესერთეულის მფლობელობაში მყოფი რაოდენობის პროდუქტი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემისთვის (კონკრეტული რისკის პოზიციის სანაცვლოდ) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ორმხრივ კომერციულ ტრანზაქციაში.

ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივების მიმართ, თუ კომპანია: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ბიზნესერთეულის წმინდა პოზიციის საფუძველზე, ამ ბიზნესერთეულის რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად;

(ბ) ამ საფუძველზე, აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბიზნესერთეულის მთავარ მენეჯმენტს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, ფინანსური აქტივებით და ფინანსური ვალდებულებებით გამოწვეული კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ბიზნესერთეულის პოზიციის ხანგრძლივობა არსებითად იგივეა.

შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ (ე.წ. arm's length) პრინციპით შესრულებული ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციის ობიექტების ფინანსური მონაცემების განხილვა, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის, რომლებზეც საერთაშორისო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი დონეების მიხედვით: (ა) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ბ) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (გ) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია,

რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხ. განმარტება **Error! Reference source not found.**.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გადაცემის გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დაფარვები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალის რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას და დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL -ით თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტით სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ბაზრების დაკვირვებად

მაჩვენებლებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ECL რეზერვის აღიარება ხდება ფინანსური აქტივებისათვის, რომლების შეფასებაც ხდება AC-ს მიხედვით.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა), აღირიცხება გარიგების დღეს, რომლის დროსაც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების შეფასების კლასიფიკაციას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: FVTPL სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით,, FVOCI - სამართლიანი ღირებულება სხვა შემოსავლის საშულებით და AC - ამორტიზირებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) კომპანიის შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვის ბიზნესმოდელზე და (11) აქტივების ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნესი მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს რათა ფულადი ნაკადი აწარმოოს, იმის მიუხედავად, მიზნად აქვს კომპანიას აღებული: (1) აქტივებიდან მიიღოს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულის ნაკადები ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით"), ან (11) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები ("აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით) ან, თუ არც (1) და არც (11) მოდელი არ არის გამოყენებული, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნესმოდელი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) და ეფუძნება ყველა არსებულ შესაბამის მტკიცებულებას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების დღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად. ბიზნესმოდელის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორების, როგორებიცაა პორტფელის მიზნობრიობა და კომპოზიცია, წარსულის გამოცდილება, თუ როგორ გროვდებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისათვის, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და როგორ ხორციელდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როცა ბიზნესმოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, კომპანია აფასებს, ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). როცა დგინდება მათი ფულადი ნაკადების მოძრაობა SPPI მახასიათებლის შესაბამისია თუ არა, ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიცავს წარმოებულებს, განიხილება მთლიანობაში. შეფასების დროს, კომპანია ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადი დაკრედიტების პირობებს, ანუ პროცენტი შეიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის ანაზღაურებას, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებს და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის პოზიციას ან ცვალებადობას, რომელიც

შეუთავსებელია ძირითადი დაკრედიტების პირობებთან, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის პირველადი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი ხელახალი შეფასება. ფინანსური აქტივების SPPI ტესტირებისას კომპანია იყენებს კრიტიკულ მსჯელობას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება პორტფელის მთლიანობაში მართვის ბიზნესმოდელი. რეკლასიფიკაციას პერსპექტივის ეფექტი აქვს და ხდება ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას ბიზნესმოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდებში არ შეუცვლია და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-ისათვის (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები) კომპანია წინასწარ აფასებს ECL-ს, AC-ით და FFVOCI-ით სავალო ინსტრუმენტებისთვის და ასევე სასესხო ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიებით გამოწვეული პოზიციებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს კრედიტების დანაკარგების რეზერვებს ყოველ საანაგარიშო თარიღისათვის. ECL-ის მაჩვენებელი ასახავს: (ა) მიუკერძოებლობას და შეწონილი თანხის ალბათობას, რომელიც დგინდება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით; (ბ) ფულის დროით ღირებულებას, (გ) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველგვარი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების თაობაზე საანგარიშო პერიოდის დასასრულს.

კომპანია გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკის მიხედვით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1 ეტაპზე. 1 ეტაპის ფინანსურ აქტივებზე ECL ითვლება თანხით, რომელიც უდრის არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს მომდევნო 12 თვეში ან ვადის ბოლომდე მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან, თუ უფრო მოკლეა. („12-თვიანი ECL) თუ კომპანია თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), აქტივი 2 ეტაპზე გადადის და მისი ECL ითვლება არსებობის მთლიანი პერიოდის ECL-ის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ბოლომდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების, თუ ასეთი არის, გათვალისწინებით („არსებობის მთელი პერიოდის ECL"). იმისთვის, თუ როგორ ადგენს კომპანია, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდა, იხ. განმარტება **Error! Reference source not found.**. თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკის მიხედვითაა გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი ECL ითვლება, როგორც არსებობის მთელი პერიოდის ECL. საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის კომპანიისეული დეფინიცია იხ. განმარტებაში **Error! Reference source not found.**. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არის შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ("POCI აქტივები"), ECL ყოველთვის ითვლება, როგორც არსებობის მთლიანი პერიოდის ECL. განმარტება **Error! Reference source not found.** გვთავაზობს ინფორმაციას მონაცემების, ვარაუდების და საპროგნოზო ტექნიკის შესახებ, რომლებიც ECL-ის გაანგარიშებისას გამოიყენება, მათ შორის ახსნას, თუ როგორ შეაქვს კომპანიას საპროგნოზო ინფორმაცია ECL მოდელებში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR). იმისათვის, რათა განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში მომხდარ დეფოლტის რისკს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს. შეფასება ითვალისწინებს საკრედიტო

რისკის შედარებით ზრდას და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს რისკის გარკვეული დონის მიღწევას. კომპანია ითვალისწინებს ყველა არასათანადო ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე არსებულ გონივრულ და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის კონკრეტული კლიენტთა პორტფელების ქცევით ასპექტებს.

ბიზნესმოდელის შეფასება. ბიზნესმოდელი წარმართავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნედმოდელის შეფასებისას მენეჯმენტმა იმსჯელა ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა და პორტფელის განსაზღვრის შესახებ. გაყიდვების გარიგების შეფასებისას კომპანია განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო საქმიანობის შესახებ. გაყიდვების გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის შემცირებას კრედიტის გაუარესების გამო, „ამოღების მიზნით ფლობის" ბიზნესმოდელის შესაბამისად მიიჩნევა. ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკების მართვის საქმიანობასთან, ასევე შეესაბამება ბიზნესმოდელს „ამოღების მიზნით ფლობა", იმ პირობით, რომ ისინი არაა ხშირი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ცალკე, ისე აგრეგირებულად.

კომპანია გაყიდვების ტრანზაქციების მნიშვნელობას ამგვარად ადგენს: გაყიდვების ღირებულებას ადარებს პორტფელის ღირებულებას, ამ დროს გააჩნია, როგორია ბიზნესმოდელის შეფასება პორტფელის საშუალო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესის სცენარში, ან ცალკეული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც კომპანიის კონტროლის მიღმაა, არაა განმეორებადი და არ შეიძლება კომპანიას მისი მოლოდინი ჰქონოდა, განიხილება, როგორც შემთხვევითი და ბიზნესმოდელის ამოცანას აცდენილი და არ იმოქმედებს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნესმოდელი „ამოღების და გაყიდვის მიზნით ფლობა" ნიშნავს, რომ აქტივების ფლობის მიზანია ფულადი ნაკადების ამოღება, მაგრამ გაყიდვაც ასევე ბიზნესისმოდელის მიზნის ნაწილია, მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროებების მართვა, კონკრეტული ამონაგების მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთანხმება იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან, რომლებიც აფინანსებს ამ აქტივებს.

ნარჩენ კატეგორიაში შედის ფინანსური აქტივების ის პორტფელები, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაციის მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, სადაც არსებობს ვაჭრობის მაგალითი. საკონტრაქტო ფულადი ნაკადის ამოღება ამ ბიზნესმოდელისთვის ხშირად შემთხვევითობის საფუძველზე ხდება.

იმის განსაზღვრა, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვებს (SPPI). იმის დადგენა, ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადი არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა, მსჯელობას მოითხოვს.

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება არ ემთხვევა სავალო ინსტურმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთში ჩადებულ შინაარსს, მაგალითად, სესხი იხდის სამთვიან ბანკთაშორის განაკვეთს, მაგრამ პროცენტი იცვლება ყოველ თვეში. ფულის შეცვლილი დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტთან შედარების საშუალებით, რომელსაც SPPI ფულადი ნაკადები აქვს, როგორც თითოეული პერიოდისთვის, ისე კუმულაციურად, ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. შეფასება ჩატარდა ყველა გონივრულად შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის გონივრულად შესაძლებელი ფინანსური სტრესის სიტუაციისთვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ ბაზრებზე. კომპანიამ გამოიყენა 10%-იანი ბარიერი იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა საორიენტაციო

ინსტრუმენტებს დაპირისპირებული განსხვავებები. ფულადი ნაკადების მქონე სცენარის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საორიენტაციო მაჩვენებლისაგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტის აღრიცხვა ხდება FVTPL- ით.

კომპანიამ დაადგინა და გაითვალისწინა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან რაოდენობას. SPPI-ის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ადრეული ანგარიშსწორების საშუალებას იძლევა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, გარდა ამისა, გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას გამოკლებული შემდგომი ძირითადი დაფარვები, ანუ გადახდები პროცენტის გარდა, რომელიც განისაზღვრება ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით სტანდარტი ასევე ფარავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ წინასწარი გადახდის მახასიათებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ის შესასრულებლად შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება პრემიით ან დისკონტით, (ii) წინასწარი გადახდის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო პარიტეტულ თანხასა და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის, და (ii) წინასწარი გადახდის მახასიათებლის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყის აღიარებაში.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს SPPI ტესტი, აღირიცხება FVTPL-ით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და თან 1) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან 2) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება, როცა კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ხანდახან კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას მართავს ან სხვაგვარად ცვლის მათ. კომპანია აფასებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია მნიშვნელოვანია თუ არა, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან მოგება საკუთარ კაპიტალზე), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, ორი ან მეტი ფინანსური აქტივის აგრეგირება ერთ ფინანსურ აქტივად ან ფინანსური აქტივების სხვა ტიპის კონსოლიდაცია, ფინანსური აქტივები, რომელსაც არ აქვს წინასწარგანსაზღვრული ფულადი ნაკადები, ერთმანეთს ჩაანაცვლებს გრაფიკით ან პირიქით, როცა ფულად ნაკადებზე უფლებები თავდაპირველ კონტრაგენტებს შორის ამოიწურება იმის გამო, რომ თავდაპირველ დებიტორს ჩაანაცვლებს ახალი (თუ ორივე დებიტორი საერთო კონტროლის ქვეშ არაა), ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკთან, ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როცა მსესხებელი არ არის ფინანსური სიძნელეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, კომპანია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. აღიარების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დადგენისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებულ აქტივს შორის განსხვავება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავების არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ მიეწერება.

ისეთ სიტუაციაში, სადაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების გაკეთების უუნარობით, კომპანია თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რითაც აფასებს, აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. კომპანია ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც საბოლოოდ AC-ით დათვლილი, გარდა, 1) FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება დერივატივებზე, რეალიზაციისთვის განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციებზე), შემსყიდველის მიერ აღიარებულ ვალდებულებებზე ბიზნესკომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და 2) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

კომპანიასა და კომპანიის სავალო ინსტრუმენტების თავდაპირველი კრედიტორებს შორის ძირეულად განსხვავებული პირობების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების ძირეული მოდიფიკაციები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები ძირეულად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები, მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა ინსტრუმენტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის ტიპების ცვლილება, ინსტრუმენტის ახალი კონვერსიის მახასიათებლები და სესხების კოვენანტების ცვლილება. თუ სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც ამოწურული, შესაბამისი ხარჯები და საკომისიოები აღიარდება, როგორც ამოწურვის მოგების ან ზარალის ნაწილი. თუ

ურთიერთგაცვლა და მოდიფიკაცია არ აღიარდება ამოწურვად, ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება გაწეული ხარჯებით და საკომისიოებით და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების არსებობის დარჩენილ პერიოდზე.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ სრულდება ამოწურვით, აღირიცხება, როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებების განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციებს არ მიეწერება.

ჩამოწერის პოლიტიკა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. მოსაზრებების ჩამოყალიბება ესაჭიროება იმ ფულადი ნაკადების მოძრაობის დადგენას, რისთვისაც ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს.

ფინანსური ლიზინგი და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივების გადატანების და არაფინანსური აქტივების მესამე მხარეზე იჯარით გაცემის კლასიფიკაციის შეფასებისას, მენეჯმენტი მსჯელობს, რათა დაადგინოს, ხდება თუ არა მხარეებზე ფინანსური აქტივების და იჯარით გაცემული აქტივების ფლობის მნიშვნელოვანი რისკების და სარგებლის გადაცემა, კერძოდ, რომელი რისკი და სარგებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რას წარმოადგენს არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის მუხლებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებებს და რეპო და უკურეპო ხელშეკრულებებს სხვა ბანკებთან, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფული და ფულის ეკვივალენტები“ როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, ისე ფულადი ნაკადების მოძრაობის განცხადების მიზნებისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტები AC-ით აღირიცხება, რადგან: 1) ისინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ინკასაციისთვისაა განკუთვნილი და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და 2) ისინი არ არის FVTPL-ის დანიშნულების.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები. როცა კომპანია არის მეიჯარე ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მოიჯარეზე გადაცემას, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება როგორც ფინანსური ლიზინგის აქტივები და აისახება სამომავლო იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური ლიზინგის აქტივები თავიდან წარმოშობისას განსაზღვრული სადისკონტო განაკვეთით (ლიზინგის ხელშეკრულების თარიღსა და სალიზინგო ხელშეკრულების მთავარ დებულებებზე მხარეთა თანხმობის თარიღს შორის უადრესი).

ბრუტო მისაღებ შემოსავალსა და მიმდინარე ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის განმავლობაში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე). ის ასახავს უკუგების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს. ლიზინგის მოლაპარაკებასთან და მოწყობასთან უშუალოდ დაკავშირებული დანამატი ხარჯები ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლის თავდაპირველ გაანგარიშებაშია შეტანილი და ამცირებს ლიზინგის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის

თანხას. ლიზინგიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ჩაიწერება ცალკე მწკრივად.

ECL იმგვარადვე განისაზღვრება, როგორც AC-ით გაანგარიშებული სესხების და ავანსებისთვის და აღიარდება სარეზერვო ანგარიშის საშუალებით; ნაწილობრივ ჩამოიწერება მისაღები შემოსავლების წმინდა საბალანსო თანხა შეფარდებული მოსალოდნელი ფულადი ნაკარების მიმდინარე ღირებულებასთან და დისკონტირებული ფინანსური ლიზინგის თანმხლები საპროცენტო განაკვეთებით.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ლიზინგს დაქვემდებარებული აქტივების შეძენას ან გაყიდვას.

შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ის არაფინანსური აქტივებია, რომელთაც კომპანია იძენს ვადაგადაცილებული ფინანსური ლიზინგის ანგარიშსწორების შედეგად. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ანგარიშდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით, რომელსაც აკლდება გასაყიდი ხარჯები. კომპანია რეგულარულად ასრულებს შიდა შეფასებებს, რათა დარწმუნდეს, რომ საბალანსო ღირებულება არ აღემატება სამართლიან ღირებულებას გამოკლებულ გასაყიდ ხარჯებს. გადაფასება საბაზრო ფასების შესახებ არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

წინასწარი გადახდა. წინასწარი გადახდები, ძირითადად, მოიცავს ავანსებს, რომლებიც გადახდილია გასაყიდი ან ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის. წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. თუ წინასწარი გადახდის ანაზღაურებადი თანხა ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებადი ღირებულებამდე. სხვაობა, რომელიც არის გაუფასურების ზარალი, აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში იმ წლისთვის, რომელშიც ის წარმოიშობა. წინასწარი გადახდების გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები მოიცავს სესხებს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გაყიდვებთან დაკავშირებულ output დამატებული ღირებულების გადასახადს იხდიან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ: (ა) კლიენტისგან მისაღები შემოსავლის მიღებისას ან (ბ) კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს. input დღგ, როგორც წესი, ანაზღაურდება output დღგ-თი დღგ-ს ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ის წმინდად ანგარიშსწორებას. დამატებული ღირებულების გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია იჯარის წინასწარ გადახდასთან, აღირიცხება კლიენტებისგან მიღებული ავანსების სახით, შესაბამისი დღგ-ის თანხები გადაირიცხება ლიზინგის დაწყების თარიღისთვის გადასახდელ დღგ-ში.

მოგების გადასახადები. ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა სხვა ბიზნესერთეულების მიერ გამომუშავებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საქართველოში არ იბეგრება. კორპორაციული მოგების გადასახადი, გადახდილი დივიდენდებზე, იბეგრება მოგებაზე, რომელიც დივიდენდების სახითაა განაწილებული აქციონერებზე, რომლებიც არიან კერძო პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოშობილი კორპორაციული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდისთვის, როცა

ხდება დივიდენდების დეკლარირება, მიუხედავად გადახდის უშუალო თარიღისა ან პერიოდისა, რომელშიც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ გარემოებებში, მოგების გადასახადის გადასახდელი ხარჯიდან კეთდება გაქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება, რომელიც შესაბამის განაწილებასთანაა დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნესერთეულებს არ წარმოეშობა გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული გადასახადის შეჩერება აღიარდება, როგორც გაქვითვა კაპიტალიდან, კაპიტალის ცვლილების ანგარიშში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს კორპორაციულ მოგების გადასახადს გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად მიიჩნევა (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით ტრანზაქციები, არა ბიზნესთან დაკავშირებული ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უფასოდ მიწოდება). ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და შემოსავლის უწყისში განცხადდება, როგორც მოგების გადასახადი (ხარჯი)/ბენეფიტი.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. უშუალოდ ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც გამოქვითვა მიღებული ანაზღაურებიდან, დაბეგვრის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სამართლიანი ღირებულების თანხა იწერება კაპიტალში, როგორც საემისიო შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი იწერება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის კონტრაქტის საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, (როგორც საპროცენტო მოგების და ხარჯის ნაწილი) რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს წარმოშობის საკომისიოებს, რომლებიც კომპანიამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და ჩაწერის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. კომპანიის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემული სესხებისთვის მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე 1) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპის), რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება AC-ზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გავრცელებით, ECL რეზერვის გამოკლებით, და 2) იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შესყიდული ან წარმოშობილი საკრედიტო რისკითაა გაუფასურებული, რისთვისაც საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება AC-ით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები გადაანგარიშდება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში ტრანზაქციის თარიღის დროს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება ფუნქციურ ვალუტაში იმ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი არის განსხვავება პერიოდის დასაწყისში ფუნქციური ვალუტის ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და გადახდებით ამ პერიოდის განმავლობაში, და ამორტიზებული ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, რომელიც გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, გადაანგარიშდება ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის განსხვავებები, რომლებიც გადაანგარიშებისას წარმოიშობა, აღიარდება მოგება-ზარალში.

ოფსეტირება. ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა. ასეთი ოფსეტირების უფლება ა) არ უნდა იყოს პირობითი მომავლის მოვლენაზე და ბ) უნდა იყოს კანონის ძალის მქონე ყველა ჩამოთვლილ გარემოებაში: 1) ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას, 2) დეფოლტის შემთხვევაში და 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

თანამშრომელთა ხარჯები და დაკავშირებული დაგროვებითი სქემები. ხელფასები, ანაზღაურებული წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დაირიცხება იმ წელს, როცა შესაბამისი მომსახურება გაიწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გააკეთოს საპენსიო ან მსგავსი ბენეფიტური გადახდები, გარდა კანონით დადგენილი დაგროვებითი სქემისა.

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობით დგინდება ამ ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა მინიჭებული, როცა ამგვარი ტრანზაქციებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განსჯის საფუძველი დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებზე ფასის დადგენა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. განმარტება **Error! Reference source not found.** განიხილავს დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების პირობებს.

5. ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა

მიმდინარე წელს კომპანიამ დანერგა IFRS სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოცემული ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოს მიერ და რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის. მათ დანერგვას ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ გამჟღავნებებზე ან მასში ასახულ თანხებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია.

IFRS 17 დაზღვევის კონტრაქტები (IFRS 17-ში 2020 წლის ივნისისა და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებების ჩათვლით)	IFRS 17 ადგენს სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ანაცვლებს IFRS 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. IFRS 17 ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც მოდიფიცირებულია სადაზღვევო კონტრაქტებისთვის პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, რაც აღწერილია, როგორც ცვლადი გადასახადის მიდგომა. ზოგადი მოდელი გამარტივებულია, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია დარჩენილი დაფარვის ვალდებულების გაზომვის გზით, პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. ზოგადი მოდელი იყენებს მიმდინარე დაშვებებს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესაფასებლად და ის ცალსახად ზომავს გაურკვევლობის ხარჯებს. იგი ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და დაზღვეულის ოფციონებისა და გარანტიების გავლენას. კომპანიას არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას IFRS 17-ის მიხედვით.
ცვლილებები IAS 1-ში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და IFRS პრაქტიკის განცხადება 2 მატერიალურობის მსჯელობა - სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება	კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს დანერგა IAS 1-ის ცვლილებები. ეს ცვლილებები ეხება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ცვლილებების თანახმად, ტერმინი "მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა" ჩანაცვლდა ტერმინით "არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია". სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განხილვისას, გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. IAS 1-ის დამხმარე პუნქტებიც შეიცვალა იმის დასაზუსტებლად, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც არაარსებით ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს ეხება, არაარსებითია და მისი განმარტება საჭირო არ არის. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება არსებითი იყოს შესაბამისი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ხასიათის გამო, მაშინაც კი, როდესაც თანხები არაარსებითია. თუმცა, არსებით ოპერაციებთან, სხვა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული ყველა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია თავისთავად არ არის არსებითი. IASB-მ ასევე შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები IFRS პრაქტიკის მე-2 განცხადებაში აღწერილი "არსებითობის ოთხსაფეხურიანი პროცესის" გამოყენების ასახსნელად და საილუსტრაციოდ.
ცვლილებები IAS 12-ში მოგების გადასახადები	IAS 12-ში შესწორებებს შემოაქვს კიდევ ერთი გამონაკლისი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისიდან. ცვლილებების მიხედვით, ბიზნესერთეული

ფინანსური ანგარიშების განმარტებები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

— აქტივებთან და ერთი ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	არ იყენებს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვას დაქვემდებარებულ დროებით სხვაობებს. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, თანაბარი დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები შეიძლება წარმოიშვას გარიგებაში აქტივისა და ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის ბიზნეს გაერთიანება და არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. IAS 12-ში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ბიზნესერთეულმა უნდა აღიაროს დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, ხოლო ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ექვემდებარება IAS 12-ის ანაზღაურების კრიტერიუმებს. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
ცვლილებები IAS 12-ში მოგების გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ ორის მოდელის წესები	IASB ცვლის IAS 12-ის მოქმედების სფეროს, რათა განმარტოს, რომ სტანდარტი გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული მოგების გადასახადების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებულია OECD-ის მიერ გამოქვეყნებული პილარ ორის მოდელის წესების განსახორციელებლად, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, რომელიც ახორციელებს იმ წესებში აღწერილ კვალიფიციურ შიდა მინიმალურ დამატებით გადასახადებს. ცვლილებები ახორციელებს დროებით გამონაკლისს IAS 12-ის გადავადებული გადასახადების აღრიცხვის მოთხოვნებიდან, ასე რომ, საწარმო არ აღიარებს და არ გაამჟღავნებს ინფორმაციას პილარ ორის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ცვლილებების შემდეგ, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, რომ გამოიყენა გამონაკლისი და ცალ-ცალკე გაამჟღავნოს თავისი მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავლები), რომელიც დაკავშირებულია პილარ ორის მოგების გადასახადებთან. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
ცვლილებები IAS 8-ში სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრულ აღრიცხვაში შეფასებები და შეცდომები - ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებების განმარტება	კომპანიამ IAS 8-ში ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს მიიღო. ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტებას ცვლის სააღრიცხვო შეფასებების განმარტებით. ახალი განმარტებით, სააღრიცხვო შეფასებები არის „ფულადი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც ექვემდებარება გაზომვის გაურკვევლობას“. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განმარტება წაიშალა.

6. ახალი ბუღალტრული განცხადებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონდა გამოყენებული შემდეგი ახალი და გადამუშავებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა:

ცვლილებები IFRS 10-სა და IAS 28-ში	აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის
ცვლილებები IAS 1-ში	ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად
ცვლილებები IAS 1-ში	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
ცვლილებები IAS 7-სა და IFRS 7-ში	მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები
ცვლილებები IFRS 16-ში	სალიზინგო ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებში

მენეჯმენტი არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღებას რამე მატერიალური გავლენა ექნება კომპანიის სამომავლო პერიოდის ფინანსურ ანგარიშებზე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

ცვლილებები IFRS 10 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და IAS 28 "ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" - აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის

IFRS 10-ისა და IAS 28-ის ცვლილებები ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც ხდება აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. კერძოდ, ცვლილებები ადგენს, რომ შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ისეთი შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვის შედეგად, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან განხორციელებულ ოპერაციაში (რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით), აღიარდება მშობელი საწარმოს მოგებაში ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორების წილის ფარგლებში ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ანალოგიურად, შემოსულობა და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო და აღირიცხება წილობრივი მეთოდით) შენარჩუნებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით გადაფასებიდან, აღიარდება ყოფილი მშობელი საწარმოს მოგებაში ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორების წილის ფარგლებში ახალ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია IASB-ს; თუმცა, დასაშვებია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, თუ ასეთი ოპერაციები განხორციელდება.

ცვლილებები IAS 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად

2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული IAS 1-ის ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად წარდგენაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არა რაიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის აღიარების თანხაზე ან დროზე, ან ამ მუხლების შესახებ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად ეფუძნება უფლებებს, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, განსაზღვრავს, რომ კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს მოლოდინები იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას ვალდებულების დაფარვის გადავადებაზე, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს თუ კოვენანტები დაცულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და შემოაქვს "დაფარვის" განმარტება იმის გასარკვევად, რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაგენტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას.

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება. IASB-მა შეუთანხმა ძალაში შესვლის თარიღი IAS 1-ის 2022 წლის ცვლილებებს. თუ საწარმო 2020 წლის ცვლილებებს ადრეული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ასევე უნდა გამოიყენოს 2022 წლის ცვლილებებიც ვადაზე ადრე.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

ცვლილებები IAS 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ცვლილებები განსაზღვრავს, რომ მხოლოდ იმ კოვენანტებს, რომელთა დაცვაც საწარმოს მოეთხოვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მანამდე, აქვთ გავლენა საწარმოს უფლებაზე გადაავადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვით (და შესაბამისად, უნდა იქნას გათვალისწინებული ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირების შეფასებისას). ასეთი კოვენანტები გავლენას ახდენენ უფლების არსებობაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მაშინაც კი, თუ კოვენანტების დაცვის შეფასება ხდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ (მაგ., კოვენანტი, რომელიც ეფუძნება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო თარიღისთვის, მაგრამ მისი დაცვის შეფასება ხდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ).

IASB ასევე განმარტავს, რომ ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებაზე საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვით გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, თუ საწარმოს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოეთხოვება კოვენანტის დაცვა. თუმცა, თუ საწარმოს უფლება ვალდებულების დაფარვის გადავადებაზე დამოკიდებულია საწარმოს მიერ კოვენანტების დაცვაზე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს გაიგონ ვალდებულებების საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში დასაფარად გადაქცევის რისკი. ეს მოიცავს ინფორმაციას კოვენანტების შესახებ (მათ შორის კოვენანტების ხასიათისა და როდის მოეთხოვება საწარმოს მათი დაცვა), დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ფაქტებსა და

გარემოებებს, თუ ასეთი არსებობს, რომლებიც მიუთითებს, რომ საწარმოს შესაძლოა ჰქონდეს სირთულეები კოვენანტების დაცვასთან დაკავშირებით.

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ცვლილებებს იყენებს ადრეული პერიოდისთვის, მან ასევე უნდა გამოიყენოს 2020 წლის ცვლილებებიც ვადაზე ადრე.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

ცვლილებები IAS 7 "ფულადი ნაკადების ანგარიშგება" და IFRS 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" - მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები

ცვლილებები IAS 7-ს ამატებს განმარტებით მიზანს, რომლის თანახმადაც საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების შესახებ, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. ამასთან, IFRS 7 შეიცვალა მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებების დამატებით, როგორც მაგალითი იმ მოთხოვნების ფარგლებში, რომლებიც ეხება საწარმოს ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებას.

ტერმინი "მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები" არ არის განსაზღვრული. ამის ნაცვლად, ცვლილებები აღწერს იმ შეთანხმების მახასიათებლებს, რომლისთვისაც საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის მიწოდება.

განმარტებითი მიზნის შესასრულებლად, საწარმოს მოეთხოვება თავისი მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებებისთვის აგრეგირებულად გაამჟღავნოს:

- შეთანხმებების პირობები
- საბალანსო ღირებულება და შესაბამისი მუხლები, წარდგენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეთანხმებების ნაწილია
- საბალანსო ღირებულება და შესაბამისი მუხლები, რომლისთვისაც მომწოდებლებს უკვე მიღებული აქვთ გადახდა დამფინანსებლებისგან
- გადახდის ვადების დიაპაზონები როგორც იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმების ნაწილია, ასევე შესადარისი სავაჭრო ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმების ნაწილი
- ინფორმაცია ლიკვიდობის რისკის შესახებ

ცვლილებები, რომლებიც შეიცავს სპეციფიკურ გარდამავალ შეღავათებს პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, როდესაც საწარმო იყენებს ცვლილებებს, გამოიყენება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებები IFRS 16 "იჯარა" - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებში

IFRS 16-ის ცვლილებები ამატებს შემდგომი შეფასების მოთხოვნებს გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს IFRS 15-ის მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვისთვის. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ განსაზღვროს "საიჯარო გადახდები" ან "შესწორებული საიჯარო გადახდები" ისე, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობა ან ზარალი, რომელიც უკავშირდება გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას, დაწყების თარიღის შემდეგ.

ცვლილებები გავლენას არ ახდენს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ შემოსულობაზე ან ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შესაძლოა აღიარებული ჰქონოდა შემოსულობა მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდა საიჯარო ვალდებულების გადაფასება (მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის ვადის ცვლილების შემდეგ) IFRS 16-ის ზოგადი მოთხოვნების გამოყენებით. ეს განსაკუთრებით შესაძლებელი იქნებოდა უკულიზინგის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლილებების ფარგლებში, IASB-მ შეცვალა საილუსტრაციო მაგალითი IFRS 16-ში და დაამატა ახალი მაგალითი გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომი შეფასების საილუსტრაციოდ, ცვლადი საიჯარო გადახდებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები ასევე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციიდან, რომელიც კვალიფიცირდება როგორც გაყიდვა IFRS 15-ის გამოყენებით, არის საიჯარო ვალდებულება.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ გამყიდველი-მოიჯარე იყენებს ცვლილებებს ადრეული პერიოდისთვის, მას მოეთხოვება ამ ფაქტის განმარტება.

გამყიდველი-მოიჯარე იყენებს ცვლილებებს რეტროსპექტულად IAS 8-ის შესაბამისად გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებისთვის, რომლებიც განხორციელდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება როგორც წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, როდესაც საწარმომ პირველად გამოიყენა IFRS 16.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31 2022
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო ინსტიტუტებთან	4,110	3,129
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	-	(57)
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ	**4,110**	**3,072**

ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები იყო:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31 2022
BB+	1	-
BB	-	-
B+	4,054	-
B	-	3,058
რეიტინგის გარეშე	55	14
ფული და ფულის ეკვივალენტები სულ	**4,110**	**3,072**

ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების რეიტინგებზე დაყრდნობით. იხილეთ განმარტება **Error! Reference source not found.** ან კომპანიის მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკების ქულების სისტემა. თანხები წარმოდგენილია საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გარეშე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას განთავსება ჰქონდა ერთ კონტრაგენტ ბანკში (2022: ერთი ბანკი) და ფულის და ფულის ეკვივალენტების აგრეგირებული ნაშთი კაპიტალის 10% აღემატებოდა. ამ ნაშთების მთლიანი აგრეგირებული თანხა (საკრედიტო დანაკარგების რეზერვის ჩათვლით) 4,054 ათასი იყო (2022: 3,058 ათასი) ან ფულის და ფულის ეკვივალენტების 98.6% (2021: 99.6%).

ECL გაანგარიშების მიზნით ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთები 1 ეტაპს მიეკუთვნება. ECL გაანგარიშების მიდგომა იხილეთ განმარტებაში **Error! Reference source not found.**.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ საკრედიტო რისკის პოზიციას ამ აქტივებზე.

განმარტებაში **Error! Reference source not found.** მოცემულია ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ნაშთების შესახებ. დაკავშირებულ მხარესთან (სს ბაზისბანკი) მიმდინარე ანგარიშზე განთავსებები ყოველდღიური ოპერაციებისთვისაა და არ ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი. იხ. განმარტება 23.

8. ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსურ ლიზინგში წმინდა და ბრუტო ინვესტიციები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
ბრუტო ინვესტიცია ლიზინგში	36,817	25,615
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(10,336)	(7,868)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები საკრედიტო დანაკარგების რეზერვამდე	26,481	**17,747**
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(234)	(198)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	26,247	**17,549**

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის კომპონენტები 2023 და 2022 წლის 31 მდგომარეობით ასეთია:

ათასი ლარი	დეკ 31, 2023	დეკ 31, 2022
ფინანსური ლიზინგისგან მისაღები შემოსავლები		
წელი 1	15,288	9,833
წელი 2	10,576	7,528
წელი 3	7,054	4,344
წელი 4	3,204	2,706
წელი 5	695	1,199
მომდევნო	-	5
არადისკონტირებული სალიზინგო გადასახდელები	36,817	**25,615**
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(10,336)	(7,868)
მისაღები სალიზინგო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება	26,481	17,747
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(234)	(198)
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები	26,247	**17,549**
არადისკონტირებული სალიზინგო გადასახდელები, გაანალიზებული:		
12 თვის შემდეგ ამოსაღები	21,529	15,782
12 თვის მანძილზე ამოსაღები	15,288	9,833
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები შემოსავლები, გაანალიზებული:		
12 თვის შემდეგ ამოსაღები	12,760	11,202

12 თვის მანძილზე ამოსაღები	13,487	6,347

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მსხვილი კლიენტები და მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ყოფილა.

საქართველოში ლიზინგის სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და ვამაყობთ, რომ ამჟამად ბაზარზე მეორე პოზიციას ვიკავებთ. კონკურენტული ლანდშაფტი კვლავ გვიბიძგებს, რომ მთელი ძალები მოვიკრიბოთ და აქტიურად ვიმოქმედოთ. ის გვაძლევს გამოწვევას, რომ მუდმივად ვიბრძოლოთ საკუთარ საზღვრებს მიღმა და ვეძებოთ გზები ბაზრის ზრდის ტემპის გადასწრებისთვის. სრულყოფილებისკენ მიმავალ გზა საფუძვლად უდევს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, პროდუქტის ინოვაციებით დაწყებული რისკების მენეჯმენტით და მომხმარებელთა მომსახურებით დამთავრებული.

2023 წელი ჩვენთვის განსაკუთრებული პროგრესის წელი იყო. ჩვენმა სალიზინგო პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და წლის ბოლომდე 26 მილიონ ლარს (18 მილიონი 2022 წელს) მიაღწია, რაც თავისთავად შესანიშნავი მიღწევაა. ამ ზრდასთან ერთად, ჩვენ მივაღწიეთ მყარ მომგებიანობას, წმინდა მოგება გაიზარდა 2.6 მილიონ ლარამდე, რაც წინა წელთან შედარებით 34%-ი გაუმჯობესებაა. უფრო შთამბეჭდავი კი ისაა, რომ 30-დღიანი PAR-ის 0%-ის (პორტფელი რისკის ქვეშ) მქონე უნაკლო პორტფელი შევინარჩუნეთ, რაც ხაზს უსვამს რისკების პასუხისმგებელი მართვისა და პორტფელის სრულყოფილებისადმი ჩვენს განუხრელ ერთგულებას.

ჩვენი კლიენტების მზარდი საჭიროებების მოსმენა და მათი დაკმაყოფილება ყოველთვის ჩვენი წარმატების საყრდენი იყო. 2023 წელს ავტო და ძირითადი საშუალებების შესყიდვის სალიზინგო პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტი წარმოვადგინეთ, რომელიც მორგებულია როგორც საცალო, ისე კორპორატიული კლიენტების საჭიროებებზე. ამასთან, ვაგრძელებთ ჩვენი გადაწყვეტების დახვეწას, კლიენტებს ვთავაზობთ უფრო მეტ მოქნილობას და ინოვაციებს. 2024 წლისთვის, მზად ვართ, ფინანსური ინვესტიციები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ინდივიდს და თითოეულ ბიზნესს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენი ყოვლისმომცველი სალიზინგო გადაწყვეტებით შეუძლია ისარგებლოს.

ჩვენი ამ წლის მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი განსაკუთრებული გუნდის თავდადებისა და პროფესიონალიზმის გარეშე, ისევე როგორც ჩვენი ღირებული ბიზნეს პარტნიორების ურყევი მხარდაჭერის გარეშე. ჩვენ ერთად შევიმუშავეთ ინოვაციური, ერთობლივი ლიზინგის აქტივების შეძენის პროდუქტები, რომლებმაც დიდი წარმატება მოიტანა. დიდად ვაფასებთ ჩვენს

პარტნიორებს და მადლობელი ვართ იმ დადებითი შედეგებისა და ფასდაუდებელი გამოხმაურებისთვის, რომელსაც ჩვენი კლიენტებისგან ყოველდღიურად ვიღებთ.

ახლა, როცა 2024 წლისკენ მივდივართ, მოხარული ვართ იმ შესაძლებლობებით, რომლებიც წინ გველის და კვლავ განსაკუთრებული ღირებულების მიწოდებაზე, ინოვაციების შეთავაზებასა და საქართველოს ეკონომიკაზე გრძელვადიანი დადებითი გავლენის მოხდენაზე ვართ ორიენტირებული.

პატივისცემით,

კონსტანტინე სულამანიძე

BB ლიზინგის აღმასრულებელი დირექტორი

კომპანიის პროფილი და სტრატეგია

განვითარების სტრატეგია

BB ლიზინგი ესწრაფვის ბაზარზე მდგრად განვითარებასა და წინსვლას. მისი ამოცანაა, ისეთი სტაბილური და თანამედროვე ინსტიტუტი გახდეს, რომლის სტრატეგიის ცენტრშიც კლიენტი დგას და რომელიც არა მხოლოდ აკმაყოფილებს, არამედ აჭარბებს კლიენტის მოლოდინს.

კომპანიას განვითარებისა და პროგრესის ხუთლიანი ისტორიის მანძილზე კომპანიამ შეძლო ბიზნესის ჩამოყალიბება და მყარი საფუძველის შექმნა. ჩვენი ყურადღება გამახვილებულია ცნობიერების ამაღლებაზე, ნდობის მოპოვებაზე და ინოვაციური, მარტივი და დახვეწილი ფინანსური გადაწყვეტების შეთავაზებით გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბებაზე. კომპანია კარგად შეიცნობს კლიენტთა საჭიროებებს და ცდილობს მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. BB ლიზინგის მიზანია იყოს ლიდერი და ნოვატორი ქართულ სალიზინგო ბაზარზე, ჰქონდეს ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა და კლიენტები საუკეთესო გამოცდილებას აზიაროს.

„BB ლიზინგი" ემსახურება კლიენტთა ფართო სპექტრს - როგორც ფიზიკურ პირებს, ისე მცირე და საშუალო ბიზნესს და მსხვილ კორპორაციებს. საცალო კლიენტებს ისეთ პროდუქტებს ვთავაზობთ, რომლებიც იოლი პროცესებისა და ხელსაყრელი ფასების გამო კლიენტებისთვის სარგებლის მომტანი და დროის დამზოგავია. სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის რესურსების, ვაჭრობის, სამედიცინო დანადგარების, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სფეროებში დასაქმებულ კერძო მეწარმეებს და იურიდიულ პირებს BB ლიზინგი მორგებული მომსახურებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფს. კლიენტებს შეუძლიათ სარგებელი მიიღონ დროული გადაწყვეტების გამოყენებით, სალიზინგო კომპანიის, მისი პარტნიორების და თანამშრომლების გამოცდილებით და მომსახურებით. მათ სალიზინგო პროდუქტების უზარმაზარი გამოცდილება აქვთ, და მზად არიან აირჩიონ, დაუკავშირდნენ, მოელაპარაკონ და კლიენტებს ხარისხიანი პროდუქცია დროულად გადასცენ.

იმის გაგებით, რომ ჩვენი კლიენტების მომსახურებისას დრო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, ჩვენ რეგულარულად ვაუმჯობესებთ პროცესებს, რათა შევამციროთ ჩვენი საბოლოო პროდუქტების მიწოდების დრო. ჩვენ მუდმივად ვაფასებთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს და ვადგენთ მიზნებს, რათა მივაღწიოთ უფრო სწრაფად მომსახურებას, რაც ჩვენი კლიენტების მოლოდინების დაკმაყოფილებას და ჩვენთან ურთიერთობისას მიღებული გამოცდილების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

გრძელვადიან თანამშრომლობაზე ორიენტაცია და სალიზინგო პროდუქტებისა და მომსახურების გამჭვირვალე პირობების ჩამოყალიბება პასუხისმგებლიანი დაფინანსების მთავარი პირობაა. BB ლიზინგი შუამავალია ჩინურ კომპანიებსა და ქართველ მომხმარებლებს შორის, რომლებიც ისარგებლებენ ჩვენი ჩინელი ინვესტორებისა და პარტნიორების შესაძლებლობებით, ასევე ჩვენი დამფუძნებლის - სს ბაზისბანკისა და საბოლოო აქციონერის - ჰუალინგ ჯგუფის ფინანსური

ძალითა და მხარდაჭერით. ქართველ კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ფართო შესაძლებლობებით, რასაც მათ საჭიროებებზე მორგებული ჩინური ლიზინგის მიმწოდებლების არჩევა იძლევა, რაც ქმნის შესაძლებლობებს ბიზნესის შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის.

ჩვენი სტრატეგიული მოდელი სცდება ლიზინგის საზღვრებს. BB ლიზინგი BB ჯგუფის მთავარი მოთამაშეა; ჯგუფისა, რომელიც ლიზინგთან ერთად ბაზისბანკსა და BB დაზღვევას აერთიანებს. ჯგუფის სინერგია კლიენტებს ფინანსური პროდუქტების ყოვლისმომცველ ასორტიმენტს - არა მხოლოდ ლიზინგის, არამედ საბანკო და სადაზღვევო გადაწყვეტებს სთავაზობს. ეს ინტეგრირებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ჩვენი კლიენტების სხვადასხვა ფინანსური საჭიროებები ერთი ფანჯრის პრინციპით დავაკმაყოფილოთ, რაც სერვისების სრულ პაკეტს უზრუნველყოფს.

კომპანიის გამართულ, კარგად განვითარებულ გაყიდვების ქსელს და დაფარვის ფართო არეალს ბაზისბანკის ფინანსური ჯგუფი უზრუნველყოფს. ჩვენმა მრავალწლიანმა წარმატებულმა ოპერაციებმა, ბიზნეს საზოგადოებაში მოპოვებულმა ნდობამ და ფინანსურ შუამავლებთან გრძელვადიანმა პარტნიორობამ სალიზინგო ბაზარზე მთავარ მოთამაშედ გვაქცია. ჩვენ სისწრაფის, ხარისხისა და მოქნილობის რეპუტაცია მოვიპოვეთ - ეს ის სამი ძირითადი პრინციპია, რომლებიც ჩვენი ჯგუფის იდენტობას განსაზღვრავს.

კომპანიის სტრატეგიული აქცენტი მცირე და საშუალო საწარმოებზე (SME) აუცილებელია მუდმივი ზრდისთვის. ჩვენ გვესმის, რომ ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესი და ინდივიდუალური მეწარმე აწყდება დაფინანსების სირთულეებს, რომლებიც ხშირად საკუთარი კაპიტალით ან ტრადიციული საბანკო სესხების ლიმიტებით შემოიფარგლება. ლიზინგი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ შეზღუდვების გადალახვაში, რაც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს წვდომა მიიღონ მათთვის საჭირო აქტივებზე, დაზოგონ ადმინისტრაციული ხარჯები და ისარგებლონ ძლიერი ფინანსური პარტნიორის დაცვით.

მომავალში, BB ჯგუფი გეგმავს ჯვარედინი გაყიდვების ინიციატივებით კიდევ უფრო განავითაროს სალიზინგო შეთავაზებები და გაამყაროს ჩვენი, როგორც ინტეგრირებული ფინანსური ჰაბის პოზიცია. ფინანსური მომსახურების სრული სპექტრის - ლიზინგის, საბანკო და სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა და ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდება საშუალებას გვაძლევს, კლიენტებს დამატებული ღირებულება მივცეთ.

BB ლიზინგში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს ვიცავთ და მზად ვართ, ახალგაზრდა პროფესიონალებს შევთავაზოთ ზრდის შესაძლებლობები. ჩვენი კორპორატიული კულტურა ხელს უწყობს მომხმარებელზე ორიენტაციას, ინოვაციებს და გუნდურ მუშაობას, და საფუძვლად უდევს ჩვენს საერთო სურვილს შევქმნათ ორმხრივად მომგებიანი პროდუქტები და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი გამოცდილება.

მშობელი კომპანია

BB ჯგუფი მე-4 უმსხვილესი ფინანსური ჯგუფია საქართველოში. ბაზისბანკი, თავისი 30 წლიანი ისტორიით, ბაზარზე პოზიციონირებს, როგორც უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი, მე-3 ბანკის პოზიციის დაკავება აქვს განზრახული, მოქმედებს პასუხისმგებლობით და იძენს კლიენტების, პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების გრძელვადიან ლოიალობას.

ერთ-ერთი პირველი კომერციული ბანკია საქართველოში, რომელიც ფინანსურ ბაზარზე 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. თითქმის 30 წლიანი ისტორიის მქონე BB იმ ქართულ ბანკებს შორისაა, რომელმაც მოცულობის ზრდა და ბიზნესის იმპულსი, ბაზრის წილის მატება და მყარი წარმატებები შეინარჩუნა. ამას კი ბიზნესისა და რისკის გულმოდგინე მართვის მეშვეობით მიაღწია, რასაც მხარს უჭერს ჯგუფის კორპორაციული სტრატეგიის და ბიზნეს კულტურის მთავარი საფუძველი - ჯანსაღი კორპორაციული მმართველობა და ფოკუსი ბიზნესის გამჭვირვალობაზე.



ბიზნესის დაფინანსებით ბანკი მე-3 უმსხვილესი ბანკია, საცალო საბანკო მომსახურებით - მე-4. მისი სტრატეგიული აქცენტი ეხება საცალო და ბიზნეს სერვისების ყველა ძირითად სფეროში პოზიციების გაძლიერებას, ახალ წინადადებებს და უმაღლეს გადაწყვეტებს, რათა კომპანიის ძლიერ მხარეები მომხმარებელზე, მომავალზე ორიენტირებული ბანკის შენების ამოცანას მოახმაროს.

ჯგუფი 200 000-ზე მეტ ბიზნეს და საცალო კლიენტს ემსახურება. 40 ფილიალის ქსელისა და 900-ზე მეტი თანამშრომლისგან შემდგარი ძლიერი ჯგუფის მეშვეობით მისი მომსახურება მოიცავს ყველა რეგიონს.

მყარი კაპიტალის ბაზითა და დაბალანსებული, ძლიერი ფინანსური მხარდაჭერით, ჯგუფმა ბიზნესის კეთებაში უმაღლესი გამოცდილება დააგროვა და ბაზარზე ბიზნესის მხარდამჭერის კონკურენტული უპირატესობა მოიპოვა.

ორი შვილობილი კომპანიის, BB დაზღვევისა და BB ლიზინგის დახმარებითა და მრავალარხიანი სადისტრიბუციო პლატფორმის საშუალებით, კლიენტთა ყველა სეგმენტს ჯგუფი მორგებულ საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო მომსახურებას სთავაზობს. ამ ბიზნესხაზების კოორდინირებული ფუნქციონირება ქმნის იმ სინერგიას, რომელიც კლიენტთა ყველა სეგმენტისთვის ფართომასშტაბიანი ფინანსური სერვისების შეთავაზებას ემსახურება.



BB's და BB Group-ის საბოლოო აქციონერია ჩინური კონგლომერატი, უმსხვილესი ჩინელი ინვესტორი საქართველოში - Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. ჰუალინგ ჯგუფმა 2012 წელს ბანკის აქციების 90% შეიძინა, დღეს ის 91.6% -ის მფლობელია.

ჰუალინგ ჯგუფი ქართულ ბაზარზე 2006 წლიდან ოპერირებს. ჯგუფის ინტერესების სფეროები ფართო და ყოვლისმომცველია, მათ შორისაა ხის და სატყეო მრეწველობის დამუშავება და მოპოვება, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ფართომასშტაბიანი თანამედროვე კომერციული ბაზარი, სასტუმრო და ტურიზმი და ა.შ. ჯგუფის ხედვაა გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში საქმიანობის უპირატესობა, განვითარდეს „აბრეშუმის გზის“ პროექტის ინიციატივასთან ერთად და აღადგინოს საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ცენტრის ისტორიული როლი, რაც ჰუალინგის ბაზრებს თანდათანობით ორი რეგიონის შემაკავშირებლად აქცევს.

კომპანიის შესახებ

საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

2023 წელს საქართველომ მშპ-ის 7.5%-იან ზრდას მიაღწია. 2021 და 2022 წლებში ორნიშნა ზრდის საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მტკიცე დარჩა, რასაც მხარს ძლიერი სახელმწიფო და ფისკალური პოლიტიკა, გაზრდილი მოხმარება და ძლიერი ფინანსური სექტორი უჭერდა.

2024 წელს საქართველო აგრძელებს დაჩქარებულ ზრდას, პირველი 8 თვის განმავლობაში მშპ-ის 10%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მოსალოდნელია, რომ ზრდის ტენდენცია 2024 წელს შენარჩუნდება და 2025-2026 წლებში საშუალოდ 5% იქნება, რაც მოხმარებით იქნება გამოწვეული, რასაც მსყიდველუნარიანობა გააძლიერებს დაბალი ინფლაციისა და რეალური ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, რასაც დაკრედიტება დაუჭერს მხარს.

ზრდა შეიძლება შეაფერხოს გაზრდილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ და სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების ბოლოდროინდელმა დაძაბვამ.

წლიური ინფლაცია საქართველოში 2023 წლის შუა რიცხვებიდან 3%-ის მიზნობრივ დონეს (ამჟამად 1%-ზე დაბალი) დგას. სავარაუდოა, რომ 2024 წელს ინფლაცია მოკლევადიან პერსპექტივაში მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი დარჩება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იქნება მოსალოდნელზე დაბალი ფაქტობრივი ინფლაციისა და ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსით. თუმცა, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლა კვლავ შესამჩნევია.

გაზრდილი გაურკვევლობა ზრდის მაღალი ინფლაციის რისკს. გაზრდილი შიდა მოთხოვნა წარმოადგენს ინფლაციურ რისკს, რადგან დაკრედიტების სწრაფი ტემპი აჩქარებს მოხმარებას ინვესტიციებთან ერთად, რაც პოტენციურად ზეწოლას ახდენს ფასებზე, განსაკუთრებით ერთეული შრომის ღირებულების მუდმივი ზრდის ფონზე.

პოლიტიკურმა გაურკვევლობამ საარჩევნო ციკლის განმავლობაში შეიძლება კვლავ იქონიოს ზეწოლა ლარსა და საერთაშორისო რეზერვებზე.

ლიზინგის ბაზრის მიმოხილვა

ქართული ლიზინგის ბაზარი შედარებით მცირეა და მშპ-ის დაახლოებით 1%-ს შეადგენს, თუმცა მას აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების მსგავსად, ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. 2023 წლის ბოლოსთვის, საქართველოს ლიზინგის საერთო პორტფელი დაახლოებით 495 მილიონი ლარით შეფასდა, ხოლო ზრდა ძირითადად კორპორატიულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციებით იყო გამოწვეული. სს თიბისი ლიზინგმა ბაზრის დაახლოებით 85%-იანი წილით დომინანტური პოზიცია შეინარჩუნა, ხოლო BB ლიზინგი დაახლოებით 5%-იან წილს ფლობდა და მეორე ადგილზე იყო.

ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და წარმოება კვლავ ლიზინგის აქტიურ სექტორებად რჩება. მიუხედავად ამისა, განახლებადი ენერგიის სექტორი კაპიტალის მაღალი მოთხოვნის გამო ჯერ კიდევ განუვითარებელია. BB ლიზინგმა საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტებში პოტენციური შესაძლებლობები დასახა, რომლებიც მთავრობის კონტრაქტებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით უფრო მეტად ვითარდება.

ინდუსტრიის ანგარიშების უახლესი მონაცემების საფუძველზე, 2023 წელს საქართველოს ლიზინგის ბაზარმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა, რაც გლობალურ ტენდენციებსაც ესადაგება, სადაც ლიზინგი კვლავ პოპულარულ ფინანსურ ინსტრუმენტად რჩება. ისეთი კომპანიები, როგორიცაა თიბისი ლიზინგი, პორტფელი აქტიურად განავითარეს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში (MSME) და მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციებისა და პერსონალიზებული გადაწყვეტების წყალობით 28%-იანი ზრდა მოახერხეს. საერთო ჯამში, ლიზინგის სექტორის ზრდა საქართველოში უზრუნველყოფილია ეკონომიკური სტაბილურობით, სტრატეგიული ინვესტიციებით და პარტნიორობების გაფართოებით, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო მომარაგების ჯაჭვების ინტეგრაციას.

ადგილობრივ ავტოიმპორტიორებთან დადებული შეთანხმებების საშუალებით BB ლიზინგმა პოზიცია ავტოლიზინგის სექტორშიც გააძლიერა. კომპანიის მიერ ამოქმედებული სერვისები, რომლებიც ავტომობილების იმპორტს, რემონტსა და აშშ-ის აუქციონებიდან მათ ხელახლა გაყიდვას უკავშირდება, მის პორტფელის ზრდაზე დადებითად აისახა.

მიუხედავად ინფლაციური ზეწოლისა და ეკონომიკური გაურკვევლობისა, BB ლიზინგი 2024 წლისთვის პორტფელის 45-50%-იან ზრდას პროგნოზირებს. ამ ზრდის ძირითად სტრატეგიებს ბრენდის განვითარებაზე ფოკუსირება, ციფრული სერვისების გაუმჯობესება და ახალი ლიზინგის სეგმენტებში გაფართოება წარმოადგენს, რაც ლიზინგის გლობალურ ტენდენციებს შეესაბამება. 2023 წელს BB ლიზინგმა მოლაპარაკებები დაიწყო "ქართული ლიზინგის კომპანიის" კორპორატიული და საცალო პორტფელების შესაძენად, რაც 2024 წლის დასაწყისში დასრულდა. ამ სტრატეგიულმა ნაბიჯმა BB ლიზინგს ბაზრის წილის გაზრდის და კლიენტთა ბაზის დივერსიფიცირების საშუალება მისცა, რითაც ქართულ ლიზინგის ბაზარზე თავისი პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა.

2023 წლის შედეგები

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

BB ლიზინგმა ოპერირება დაიწყო 2019 წლის პირველ კვარტალში და მას შემდეგ ძლიერი ზრდა აჩვენა. 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების მოცულობა 32.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 21.8 მილიონი ლარის სოლიდური კაპიტალის ბაზას ემყარება, მათ შორის 4 მილიონი ლარის კაპიტალის ინექცია მისმა აქციონერმა, სს ბაზისბანკმა განახორციელა. ეს მუდმივი ფინანსური ვალდებულება ჰუალინგ ჯგუფის სტრატეგიული მხარდაჭერის და BB ლიზინგის მუდმივი გაფართოების პოტენციალის მიმართ ნდობის გამოხატულებაა.

საბაზრო პოზიცია და ზრდა

2023 წელს BB ლიზინგმა საქართველოს სალიზინგო ბაზარზე ძლიერი მეორე პოზიცია შეინარჩუნა. პორტფელის მუდმივი ზრდის შედეგად, კომპანიის ბაზრის წილი ოდნავ 5.2%-მდე გაიზარდა, რომელიც ახლა 26 მილიონ ლარს შეადგენს. ბაზრის წილის უმნიშვნელო ზრდა სტრატეგიული ინიციატივების წარმატებას აჩვენებს, რომლებიც კლიენტთა ჩართულობის გაძლიერებისა და ინდუსტრიაში BB ლიზინგის პოზიციის განმტკიცებისკენაა მიმართული.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის ბრუნვა სამშენებლო ტექნიკის ჩინელ მწარმოებლებთან, რაც ამ მწარმოებლებთან პარტნიორობის გაღრმავებას ასახავს. ეს გაფართოებული თანამშრომლობა BB ლიზინგს საშუალებას აძლევს ქართულ ბიზნესს წვდომა მისცეს მაღალი ხარისხის ჩინურ სამშენებლო აღჭურვილობაზე ხელსაყრელი პირობებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ამ სეგმენტში კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას.

პროდუქტების შედეგები და განვითარება

BB ლიზინგის სალიზინგო პროდუქტების მრავალფეროვანი პორტფელი აგრძელებს კლიენტების განვითარებადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. 2023 წელს მოთხოვნამ პროდუქციის ყველა სფეროში აჩვენა მცირე ზრდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტომობილების იმპორტის ლიზინგი. ავტოიმპორტის ლიზინგის პორტფელი გაფართოვდა პროდუქტის სტრუქტურის გაუმჯობესების გამო, მათ შორის კლიენტის სავალდებულო პირველი შენატანის 10%-მდე შემცირების გამო. ამ გაფართოებამ პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახადა კლიენტების ფართო სპექტრისთვის და ხელი შეუწყო პორტფელის ზრდას.

- **ავტოლიზინგი** BB ლიზინგი აგრძელებს ავტომობილების ლიზინგის კონკურენტუნარიანი ვარიანტების შეთავაზებას კერძო პირების და ბიზნესებისთვის, სადაც აქცენტი ეკოლოგიურ სატრანსპორტო გადაწყვეტებზე კეთდება. კომპანიის ლიზინგის მოქნილმა პირობებმა და გარემოსდაცვითი მდგრადობისადმი ერთგულებამ ხელი შეუწყო ამ პროდუქტის პოპულარობას. კლიენტებს შეუძლიათ ახალი ან მეორადი მანქანების ლიზინგით სარგებლობა ადგილობრივი ბაზრიდან ან მანქანების იმპორტი აშშ-დან გაუმჯობესებული პირობებით.
- **ძირითადი საშუალებების ლიზინგი** მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SMEs) ზრდის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად რჩება. BB ლიზინგი სთავაზობს გადახდის მოქნილ გრაფიკს, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს კლიენტის შემოსავლების ციკლზე ან ბიზნესის სეზონურობაზე, რაც მას მიმზიდველ ვარიანტად აქცევს იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ განაახლონ ან შეიძინონ მანქანები და აღჭურვილობა.
- **უკულიზინგი**: BB ლიზინგი განაგრძობს იურიდიული პირებისთვის უკულიზინგის გადაწყვეტების შეთავაზებას, მაქსიმალური ოდენობით 500 000 ლარი. ციფრული და

პირდაპირი მარკეტინგის არხების საშუალებით კომპანია კვლავ ამ პროდუქტის გაზრდაზე ზრუნავს, რათა ფართო აუდიტორიას მისწვდეს.

- **APMA პროექტის ლიზინგი** ანუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგი: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან (APMA) თანამშრომლობა კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებს აგროლიზინგის პროდუქტების განვითარებაში, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებასა და გადამამუშავებელ საწარმოებს ემსახურება. ამ პროდუქტით BB ლიზინგს წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაციაში.
- **ლიზინგი პროექტის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში:** პროგრამა Enterprise in Georgia-სთან თანამშრომლობა კვლავ უაღრესად მნიშვნელოვანია მეწარმეობისა და ბიზნესის გაფართოების მხარდასაჭერად. BB ლიზინგი გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქნილი სალიზინგო გადაწყვეტების მიწოდებაში, რათა ბიზნესს დაეხმაროს გაფართოებაში, ხელახლა აღჭურვაში ან მოდერნიზაციაში.

ბაზარი და ეკონომიკური გარემო

საქართველოში ლიზინგის ბაზარი, რომელიც გავლენას ახდენს უფრო ფართო ეკონომიკურ პირობებზე, როგორიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ზომიერი ზრდა, განაგრძობს დაფინანსების მოქნილი გადაწყვეტების შეთავაზებას. BB ლიზინგის სტრატეგიული პოზიციონირება, ბაზისბანკის ძლიერ მხარდაჭერასთან და ჰუალინგ ჯგუფის საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად, კომპანიას საშუალებას აძლევს მდგრადი ზრდის შენარჩუნებით გაუმკლავდეს ეკონომიკურ გამოწვევებს.

პარტნიორობა და გეოგრაფიული დაფარვა

BB ლიზინგმა გააძლიერა პარტნიორობა ძირითად საერთაშორისო მწარმოებლებთან, განსაკუთრებით სამშენებლო ტექნიკის ჩინელი მწარმოებლების რეგიონალურ პარტნიორებთან. ამ გაღრმავებულმა თანამშრომლობამ გამოიწვია ბრუნვის გაზრდა და ქართული ბიზნესი უზრუნველყო მაღალი ხარისხის აღჭურვილობაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობით, რაც BB ლიზინგს იმ საწარმოების სანდო პარტნიორად აქცევს, რომლებიც თავიანთი ოპერაციების მოდერნიზებას ცდილობენ.

კომპანია აგრძელებს ფართო გეოგრაფიული დაფარვის შენარჩუნებას, ფოკუსირებულია ძირითად ქალაქებზე, როგორიცაა თბილისი, რუსთავი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და მათი მიმდებარე ტერიტორიები.

ტექნოლოგია და ინოვაცია

BB ლიზინგის ციფრულ ტრანსფორმაციაზე ფოკუსირება გაგრძელდება 2023 წელს, აქცენტი კეთდება ციფრული მარკეტინგის არხების გამოყენებაზე, ვებსაიტის ფუნქციონალის გაძლიერებაზე და პირდაპირი მარკეტინგის საშუალებით კლიენტთა ჩართულობის გაუმჯობესებაზე. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს სალიზინგო გადაწყვეტების მეტი ხელმისაწვდომობის და ყველა კლიენტისთვის გამოყენების მეტი სიიოლის უზრუნველყოფას.

სამომავლო ხედვა

BB ლიზინგის მომავალი წლების ზრდის სტრატეგია ორიენტირებული რჩება ბაზრის ლიდერთან არსებული სიცარიელის შემცირებაზე. ბაზისბანკის და ჰუალინგ ჯგუფის მყარი მხარდაჭერით, კომპანია გააგრძელებს პარტნიორობისა და პროდუქტის გაუმჯობესებას, რათა შეინარჩუნოს ზრდის კურსი.

ფინანსური შედეგები

2023 წელს BB ლიზინგმა განაგრძო ზრდის მყარი კურსით სვლა და დინამიური ბიზნეს გარემოს მიუხედავად, ბაზარზე თავისი პოზიცია კიდევ უფრო გააძლიერა. კომპანია კვლავ ფინანსურად ძლიერია და ძალას ავლენს როგორც სტაბილურობის, ისე გაფართოების გზით. BB ლიზინგის აქტივები 32.9 მლნ ლარამდე გაიზარდა (2022 წლის 22.8 მლნ ლარიდან), ფინანსური ლიზინგის პორტფელში შესამჩნევი 49.6%-იანი (წ/წ) ზრდა დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რომელმაც 26.2 მლნ ლარს მიაღწია (2022წ: 17.5 მილიონი ლარი). ეს შედეგი ხაზს უსვამს ზრდისა და საოპერაციო სრულყოფილებისადმი კომპანიის მდგრად ერთგულებას.

BB ლიზინგი, როგორც ბაზისბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანია, განუხრელად ასრულებს ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებს და მის მომსახურებას სალიზინგო პროდუქტების გაფართოებული ასორტიმენტის მეშვეობით ავსებს. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომით, კომპანია კვლავ გრძელვადიან პარტნიორობასა და გამჭვირვალობაზე აკეთებს აქცენტს, რაც პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრაქტიკის საფუძველია. BB ლიზინგის წვლილი ჯგუფის დაბეგვრამდე მოგებაში 2.7 მილიონი ლარი იყო, რაც 33.6% წლიურ ზრდას წარმოადგენს და ჯგუფისთვის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს.

შემოსავლებისა და მოგების ზრდა

BB ლიზინგის შემოსავალს ძირითადად კვლავ მისი სალიზინგო ოპერაციები განაპირობებდა, სადაც ლიზინგიდან ფინანსურმა შემოსავალმა 5.9 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2022 წლის 3.7 მილიონი ლარიდან შთამბეჭდავი 58.5% წლიური ზრდაა. სხვა შემოსავლების ნაკადები მოიცავდა 337 ათას ლარს საბანკო დეპოზიტების პროცენტიდან, ხოლო სადაზღვევო კომისიებიდან და სხვა საოპერაციო შემოსავლებიდან შემოსავალმა 205 ათასი ლარი შეადგინა. შემოსავლის ეს მრავალფეროვანი ნაზავი კომპანიის პორტფელში შემოსავლის მაქსიმიზაციაზე ფოკუსირებას ასახავს.

რისკების მართვა და აქტივების ხარისხი

კომპანიამ დიდი ყურადღება გაამახვილა რისკების მართვაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი წლის განმავლობაში შეადგენდა 234 ათას ლარს და ოდნავ აღემატებოდა 2022 წლის დონეს (197 ათასი ლარი), რაც საკრედიტო რისკის მართვის მიმართ გონივრულ მიდგომას ასახავს. BB ლიზინგი აგრძელებს მჭიდრო მონიტორინგს და უმოქმედო აქტივების სწრაფად ამოღებას. 2023 წელს, შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები ზღვრულად გაიზარდა 1.4 მილიონ ლარამდე (2022 წლის 1.3 მილიონი ლარიდან); ამოღების ეფექტურმა პროცედურებმა მინიმუმამდე დაიყვანა ნებისმიერი გახანგრძლივებული გავლენა ბალანსზე.

მომგებიანობა და კაპიტალის ზრდა

2023 წელს BB ლიზინგის წმინდა მოგება 2,69 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 2022 წლის 2,01 მილიონი ლარიდან 34%-იან ზრდას ასახავს. კომპანიის ამონაგები საშუალო კაპიტალზე იყო 14,3%, რაც ხაზს უსვამს მისი კაპიტალის გენერირების შესაძლებლობებს. 4 მილიონი ლარის სააქციო კაპიტალის ინექციამ მთლიანი კაპიტალი 21.8 მილიონ ლარამდე გაზარდა, რაც 2022 წელს 15.1 მილიონი ლარი იყო.

ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის ვალდებულებები 11 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც 2022 წლის 7,7 მლნ ლარიდან 43%-იანი ზრდაა და კომპანიის გაზრდილი სალიზინგო პორტფელის დასაფინანსებლად სესხების 45%-იანი ზრდითაა გამოწვეული. ამ დაფინანსების უმეტესი ნაწილი ქართული ბანკებიდან მოდის, სესხები კომპანიის მთლიანი ვალდებულებების 95%-ს აფინანსებს. ამ მძლავრმა დაფინანსებამ BB ლიზინგს საშუალება მისცა გაეგრძელებინა თავისი ოპერაციების მასშტაბირება და ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ბაზრის პირობები და სტრატეგიული ფოკუსი

ლიზინგის მთლიანმა ბაზარმა საქართველოში 2023 წელს მდგრადობა აჩვენა, რასაც მხარს გაჯანსაღებული ეკონომიკა უჭერდა. საავტომობილო და სამშენებლო ტექნიკის ლიზინგის მოთხოვნა კვლავ მაღალი იყო, რაც გამოწვეული იყო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გაზრდით და მზარდი კერძო სექტორით. კომპანიის ავტოლიზინგის პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რაც გამოწვეულია პროდუქტის გაუმჯობესებით, როგორიცაა კლიენტის სავალდებულო საწყისი შენატანის მოთხოვნის შემცირება.

BB ლიზინგის 2024 წლის სტრატეგიული მიზანია შეინარჩუნოს პორტფელის სტაბილურობა მდგრადი ზრდის დროს. კომპანია მიზნად ისახავს ამას მიაღწიოს კლიენტების ფრთხილად შერჩევით, პროდუქტის გაუმჯობესებული შეთავაზებებით და რისკების მართვაზე მუდმივი ფოკუსირებით.

კორპორაციული მმართველობა

კომპანია BB ლიზინგის მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. ის წარმართავს აქციონერთა საერთო კრებას. კრება იღებს კომპანიისთვის ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა: წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, აქციების ბაზარზე გატანა, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და მისი ბიუჯეტის დამტკიცება, წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება, წმინდა მოგების განაწილება და გამოყენება, კაპიტალის ზრდა/შემცირება.

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის პოლიტიკას, აძლევს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს მის დირექტორატს. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. იგი ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ

მიმართულებებზე, უზრუნველყოფს საიმედო და ეფექტური შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით, მაგრამ მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორს და მისი მოადგილეებს და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას, ირჩევს კომპანიის აუდიტორს. საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები. საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის შესახებ მოახსენებს საერთო კრებას.

დირექტორატი საქმიანობას წარმართავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული საქმიანობის პოლიტიკის შესაბამისად, ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორის (რომელიც ხელმძღვანელობს დირექტორატის მუშაობას) და და გენერალური დირექტორის ორი მოადგილისგან - კომერციული და ფინანსების მიმართულებებით. გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილეების ხელმძღვანელობის და სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს მათი უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღების და კომპანიის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის უფლებას. მათ კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ რომელიმე მათგანი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია კომპანიას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. დირექტორატი კომპანიის წინაშე პასუხს აგებს სოლიდარულად და ინდივიდუალურად, მთელი თავისი აქტივებით, პირდაპირ და უშუალოდ.

BB ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

მი ზაიქი - თავმჯდომარე

სს "BB ლიზინგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობის პარალელურად მი ზაიქი არის სს „ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე და „BB დაზღვევის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო. 2011 წლიდან დღემდე მი ზაიქი სინძიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო.

დავით ცაავა - წევრი

BB ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2017 წლის დეკემბრიდან. ამავე პერიოდიდან დღემდე ბაზისბანკის სხვა შვილობილი კომპანიის: „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018: ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დავით ცაავას საფინანსო სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკში კარიერა 2004 წელს საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი, 2008 წლამდე, კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2010 წლებში კორპორაციული მიმართულების დირექტორად დაინიშნა, 2010-2011 წლებში იყო გენერალური დირექტორი.

დავით ცაავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმის და ფინანსების ბაკალავრის ხარისხი მიიღო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

ლი ხვეი - წევრი

სს “BB ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის პარალელურად ლი ხვეი არის სს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით და ბაზისბანკის სხვა შვილობილი კომპანიის: „BB დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2015-2018: სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბუღალტრის და საკრედიტო ოფიცრის პოზიციებზე. აქვს მუშაობის და მართვის მდიდარი გამოცდილება და კარგად იცნობს საბანკო ბიზნესს. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო.

ლი ხვეის ჩინეთის ფინანსური უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს.

BB ლიზინგის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

კონსტანტინე სულამანიძე, გენერალური დირექტორი

სს“BB ლიზინგის“ და სს „BB დაზღვევის“ გენერალური დირექტორი. კონსტანტინე სულამანიძეს საბანკო, სადაზღვევო და ლიზინგის სფეროებში, ასევე ფინანსური სექტორის საზედამხედველო სააგენტოებში მმართველობით პოზიციებზე მუშაობის 22 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. 2018 წლიდან დღემდე არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრიც. 2016-2018 წლებში ხელმძღვანელობდა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს. 2008-2014 წლებში იყო „პროგრეს ბანკის“ გენერალური დირექტორი. 2005-2008 წლებში საერთაშორისო საბანკო ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის“ წევრ „ბანკ რესპუბლიკაში“ მუშაობდა უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის იყო დაკრედიტების მიმართულების დირექტორი. 2002-2005 წლებში „ვითიბი ბანკში“ სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობდა. კონსტანტინე სულამანიძე ფლობს დოქტორის ხარისხს ფინანსებსა და საბანკო საქმეში. 2015 წელს ბიზნესის ადმინისტრირების MBA ხარისხი ჰალტის

საერთაშორისო უნივერსიტეტში (Hult International Business School) (ბოსტონი, აშშ; ლონდონი, გაერთიანებული სამეფო) მიიღო.

ლია ასლანიკაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე

2018 წლის დეკემბრიდან დღემდე: "BB ლიზინგის" გენერალური დირექტორის მოადგილე. 2017-2018 წლებში: "BB ლიზინგის" გენერალური დირექტორი. ბაზისბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2012 წლიდან დღემდე. 2017 წლიდან 2023 წლის მარტამდე: ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიის, „BB დაზღვევის" გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით. ლია ასლანიკაშვილს საბანკო სექტორში მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება აქვს. 1999-2002 წლებში ბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერი იყო, 2002-2005 წლებში, ამავე დეპარტამენტს ხელმძღვანებლობდა. 2005-2007 წლებში ამგაროშსწორების დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში, 2007-2008 წლებში კი ხაზინის დეპარტამენტის უფროსი გახდა. 2008-2012 წლებში ის ფინანსური დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. ლია ასლანიკაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული.

მალხაზ ხარჩილავა - გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციული მიმართულებით

„BB ლიზინგის" დირექტორის მოადგილეობამდე (2018 წლის დეკემბრიდან) მალხაზ ხარჩილავა ბაზისბანკის ბიზნესის დეპარტამენტში აგრობიზნესის ჯგუფს ხელმძღვანელობდა (2017-2018). 2015-2016 წლებში ბაზისბანკის მარკეტინგის და პროდუქტების განვითარების მენეჯერი იყო და აგრომიმართულებას უძღვებოდა. 2007 წლიდან 2014 წლის ჩათვლთ მალხაზ ხარჩილავა პროკრედიტ ბანკში საკრედიტო, მარკეტინგის და აგრობიზნესის სფეროებში მუშაობდა. მას საბანკო სფეროში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს. მალხაზ ხარჩილავამ ეკონომიკის თეორიაში ბაკალავრის ხარისხი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, გამოყენებით ფსიქოლოგიაში მაგისტრის ხარისხი კი -საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA).

რისკის პროფილი და რისკების მართვის სისტემა


BB ლიზინგი რისკების მართვას სპეციალური კომიტეტის მეშვეობით არეგულირებს. ლიზინგის კომიტეტი თავის საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის შიდა სამართლებრივი აქტებით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისად და დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ახორციელებს. კომიტეტი საკრედიტო განაცხადზე გადაწყვეტილებას იღებს ორ დონეზე. კომიტეტის დონეებია: სალიზინგო კომპანიის დირექტორატი (გასაცემ თანხაზე ≤ 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით) და სამეთვალყურეო საბჭო (გასაცემ თანხაზე 100 000< აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით). კომიტეტს მოეთხოვება, სათანადოდ დაასაბუთოს არასტანდარტული ფასი და გამონაკლისი პირობები. ფასის შემცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომერციული მარჟის მომგებიანობის შენარჩუნების ფარგლებში. კომიტეტი ასევე ვალდებულია, განახორციელოს საკრედიტო რისკების (სასეხო პორტფელის სტრუქტურა, კონცენტრაციის და სესხების ვადაგადაცილების ანალიზი, დაწესებული ლიმიტების დაცვის კონტროლი და სხვა) შეფასება. საკრედიტო კომიტეტის თითოეულ დონეზე გადაწყვეტილება მიიღება ამ კომიტეტის წევრთა


ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის იმ ჯგუფის სასარგებლოდ, რომელსაც ეთანხმება გენერალური დირექტორი. ლიზინგის საგანი უმეტეს შემთხვევაში ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას. ეს ამცირებს დაზიანების, დაკარგვის, გაუჩინარების,არასამართლებრივი მოპყრობის რისკებს. ლიზინგის საგნის შეფასება ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკებისგან დაზღვევის მიზნით. შეფასების დროს სალიზინგო საგნის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სალიზინგო ინვესტიციის თანხა არ სცდებოდეს საგნის სალიკვიდაციო ღირებულებას. გონივრული თანამონაწილეობა რისკების დაზღვევის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან თანამონაწილეობით რეგულირდება სალიზინგო საგნის საბოლოო რისკი. გაცემის შემდგომი მონიტორინგი მნიშვნელოვანი პროცესია და ხორციელდება დადგენილ ვადებში, რათა სალიზინგო საგნის მდგომარეობა სათანადოდ იქნას შეფასებული. კომპანია „BB დაზღვევა“, როგორც BB ჰოლდინგის წევრი, სალიზინგო საგნის ხელსაყრელ პირობებში დაზღვევის გარანტორია. კლიენტებისთვის მაქსიმალური სარგებელი მიიღწევა ფინანსური მომსახურების სრული სპექტრის ერთი ჯგუფისგან მიღებით.

სალიზინგო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მონიტორინგი მოიცავს ლიზინგის გაცემის შემდეგ ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის კონტროლს და ვალდებულების დაფარვის პროცესზე დაკვირვებას, ასევე, კლიენტის მდგომარეობის პერიოდულ შესწავლას, შესაძლო პრობლემების პრევენციის ან/და მათ ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით. სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის მონიტორინგს ახორციელებს აქტივების მართვის მენეჯერი სტანდარტულად 3 თვეში ერთხელ. შინაარსობრივად მონიტორინგი შესაძლოა დაიყოს სამ ნაწილად: ა) ვიზუალური მონიტორინგი (ფოტოსურათების გადაღება და მისი ფაილინგი რომელზეც პასუხისმგებელია აქტივების მართვის მენეჯერი); ბ) ტექნიკურ-ფუნქციური დათვალიერება (სალიზინგო საგნის ექსპლუატაციის პირობების მონიტორინგი და სპეციალური ფორმის შევსება; გ) დაბალრისკიანი აქტივების გეგმიური დისტანციური მონიტორინგი; რაც სიძლიერის გამომხატველია.

რისკების მართვის მძლავრი მიდგომის შედეგად, ჩვენ წარმატებით შევქმენით მყარი პორტფელი 0% რისკის ქვეშ (PAR) 2023 წლის ბოლოსთვის, რაც ხაზს უსვამს ჩვენს ძლიერებასა და ლიზინგის პასუხისმგებლიანი პრაქტიკის მიმართ ვალდებულებას.

BB ლიზინგის ორგანიზაციული სტრუქტურა


სამეთვალყურეო
აუდიტი
გენერალური
კომერციული
მარკეტინგი და
პროდუქტების
ავტოლიზინგის
ბიზნეს
ქოლცენტრი
რისკების
რისკები
იურიდიული
აქტივების
ადმინისტრაციის
საინფორმაციო
ფინანსური
ბუღალტრული
ადამიანური
რესურსების



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241443275
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.10.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო შოშიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599531441
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	91556029728424

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაცხრა ოქტომბერს, მე, ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. №9, ვადასტურებ მთარგმნელის ეკატერინე კანდელაკის (დაბადებული 08/09/1974 წ. პირადი №01006012815, მცხოვრები: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 54) ხელმოწერის ნამდვილობას. სანოტარო მოქმედება შესრულდა მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N1. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბრიტანული საბჭოს მიერ გაცემული კემბრიჯის სერტიფიკატი №0043147990, აკრედიტაციის №501/1423/2. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების შესახებ, მან დამიდასტურა ასეთი გარემოების არარსებობის შესახებ. მე გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხსიმგებელია თარგმანის სიზუსტეზე და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

29.10.2024, I, notary public Nino Shoshiashvili, whose notary bureau is located at the following address: №9, Leselidze str., Tbilisi, certify that the signature of the interpreter Ekaterine Kandelaki (Date of birth 08/09/1974, personal №01006012815. Domicile: apartment 54, building 2, II quarter, Dighomi mass Tbilisi), is genuine. The notarial act was performed at the following address: N1 Ketevan Tsamebuli Ave. Tbilisi. The interpreter has presented a document proving her knowledge of the English language, Cambridge English Language Assessment Certificate №092461, Accreditation №501/1423/2 issued by the British Council. I, the Notary, have warned the interpreter that she is responsible for the accuracy of the translation and for the liability that may result from inaccurate translation. She has confirmed that she is fluent in English and ensures the accuracy of the translation.

გადახდილია საზღაური - 57.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების 31.3-ე მუხლის საფუძველზე, 35.00 ლარი სანოტარო აქტის სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებისათვის, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. №507 დადგენილების 34-ე მუხლის თანახმად, დღგ - 16,56 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, 5.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. №507 დადგენილების 39.1-ე მუხლის თანახმად, სულ - 113,56 ლარი.

57.00 GEL has been paid, as the fee for a notary service pursuant to Article 31.3 of the Resolution №507 of the Government of Georgia of December 29, 2011 "On Approval of the Amounts of Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms of Service", 35.00 GEL for performing a notarial act outside the notary bureau, pursuant to Article 34 of the Resolution №507 of the Government of Georgia, VAT – 16,56 GEL according to Article 166 of the Tax code of Georgia, as well as 5.00 GEL as a fee for registration of notarial acts in the electronic notary register, according to Article 39.1 of the Resolution №507, in total – 113,56 GEL.

ნოტარიუსი
Notary Public

ნინო შოშიაშვილი
Nino Shoshiashvili

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241443680
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.10.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო შოშიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599531441
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	76468179196824

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაცხრა ოქტომბერს, მე, ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. №9, ვადასტურებ მთარგმნელის ეკატერინე კანდელაკის (დაბადებული 08/09/1974 წ. პირადი №01006012815, მცხოვრები: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 54) ხელმოწერის ნამდვილობას. სანოტარო მოქმედება შესრულდა მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N1. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბრიტანული საბჭოს მიერ გაცემული კემბრიჯის სერტიფიკატი №0043147990, აკრედიტაციის №501/1423/2. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების შესახებ, მან დამიდასტურა ასეთი გარემოების არარსებობის შესახებ. მე გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხსიმგებელია თარგმანის სიზუსტეზე და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

29.10.2024, I, notary public Nino Shoshiashvili, whose notary bureau is located at the following address: №9, Leselidze str., Tbilisi, certify that the signature of the interpreter Ekaterine Kandelaki (Date of birth 08/09/1974; personal №01006012815. Domicile: apartment 54, building 2, II quarter, Dighomi mass Tbilisi), is genuine. The notarial act was performed at the following address: N1 Ketevan Tsamebuli Ave. Tbilisi. The interpreter has presented a document proving her knowledge of the English language, Cambridge English Language Assessment Certificate №092461, Accreditation №501/1423/2 issued by the British Council. I, the Notary, have warned the interpreter that she is responsible for the accuracy of the translation and for the liability that may result from inaccurate translation. She has confirmed that she is fluent in English and ensures the accuracy of the translation.

გადახდილია საზღაური - 142.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების 31.3-ე მუხლის საფუძველზე, 35.00 ლარი სანოტარო აქტის სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებისათვის, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. №507 დადგენილების 34-ე მუხლის თანახმად, დღგ - 31.86ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, 5.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. №507 დადგენილების 39.1-ე მუხლის თანახმად, სულ - 213.86 ლარი.

142.00 GEL has been paid, as the fee for a notary service pursuant to Article 31.3 of the Resolution №507 of the Government of Georgia of December 29, 2011 “On Approval of the Amounts of Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms of Service”, 35.00 GEL for performing a notarial act outside the notary bureau, pursuant to Article 34 of the Resolution №507 of the Government of Georgia, VAT – 31.86 GEL according to Article 166 of the Tax code of Georgia, as well as 5.00 GEL as a fee for registration of notarial acts in the electronic notary register, according to Article 39.1 of the Resolution №507, in total – 213.86 GEL.

ნინო შოშიაშვილი
Nino Shoshiashvili

ნოტარიუსი
Notary Public